ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით | №29 (1730) | 3 — 9 აგვისტო. 1999 წ. | ● ფასი 50 თეთრი



მეორე გვერდი

## „მარგიანს ვერავინ ვერასდროს ვერ გამოიჭერს. პირიქით, ყველა იქეთ მყავს გამოჭერილი...“

### ლიპიანთა კოალიცია



თვით დიდი ჯვაროსნული და მსოფლიო ომების დროს არ იყო ისეთი კოალიციობანა, ახლა რომ ჩვენშია. ბევრი ეძებს და ვერ პოულობს თავის თანამოაზრე პარტიას, ვინც პოულობს, სიხარულით ამცნობს სოფელ-ქვეყანას, არიქა, გვეშველა, კიდევ ერთი კოალიცია შეიქმნაო.

თამაზ ნადარეიშვილი და ირაკლი წერეთელი (ორი „ლიპოსანი“) ანუ აფხაზეთის განთავისუფლების პარტია და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ერთად იბრძოლებენ არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად და არა მარტო არჩევნებში გამარჯვება სურთ — აფხაზეთის დაბრუნებაც. მაგრამ დაიბრუნებს კი ირაკლი წერეთელი „ნატო, ნატო გვიშველის“ ძახილით და თამაზ ნადარეიშვილი მხოლოდ ქადილით აფხაზეთს, მომავალი გვიჩვენებს.

### „გალიაში პარტიები სხედან“

ამომრჩეველთა მოსყიდვის მცდელობისათვის გათვალისწინებულია 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. თუ უზენაესი სასამართლო მსგავს ფაქტს დაადასტურებს, შესაძლოა, დამრღვევი პარტიის არჩევნებიდან მოხსნის საკითხიც კი დადგეს. ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტებზე ლაპარაკი მხოლოდ პრეზიდენტის მიერ არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების ჩატარებამდე შეიძლება.



პრეზიდენტის ამ ბრძანებულების შესრულების შემდგომ, ციხიდან თუ „განწირული“ ხმები შემოგვესმა: „გალიაში პარტიები სხედანო“, არ გაგვიკვირდეს.

## კიდევ ერთხელ ქართული ჯარის სავალალო მდგომარეობაზე

მესამე გვერდი

## ფრაგმენტები ოტიასთან საუბრებიდან



მე-12 გვერდი

## გურული „ავაზაკები“ და „მცირე რევოლუცია“ ლანჩხუთში

მე-11 გვერდი

## ყველაზე დიდი სირცხვილი საქართველოსი

ელექტრონული ვერსია http: // www.opentext.org.ge/sakartvelo

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### ერიდეთ თავგადაპარსულებს!

მსოფლიოში ათასნაირი ხერხი არსებობს ჯიბის ქურდების დასასჯელად. ძველ მსოფლიოს რომ თავი დავანებოთ, ახლაც, მაგალითად, ირანში ბაზრის შუაგულში დგას დიდი კუნძი და ნაჯახი. ვისაც კი სხვისი ჯიბისკენ გაეპარება თვალი, ეგრევე სტაცებენ ხელს, კუნძზე დაადებინებენ „გასახმობ მარჯვენას" და თითებს ნაჯახით სახალხოდ მოკვეთენ (წარმოიდგინეთ, ჩვენში ეს კანონი რომ მოქმედებდეს და „დეზერტირების ბაზარში" კუნძი იდოს, რამდენი თითი დაგროვდებოდა!). ეს „აზიური სამართალი" შესანიშნავად მოქმედებს ირანში. ისე, რომ ხალხი სახლის კარებს არც კეტავს.

ჩვენში ქურდთა ამ კატეგორიის დასჯის მეთოდზე, ეტყობა, ქალაქის პოლიციის შეფმა სოსო ალავიძემ ბევრი იფიქრა, იფიქრა და ბოლოს მოიფიქრა: ყველა ჯიბის ქურდს თავს გადავპარსავო.

ასე რომ, ქალაქში თუ დაინახეთ „თავგადაპარსული სულიერი", ერიდეთ და თავი შორს დაიჭირეთ!

### აბა, ვინმე გაგვეკაროს!



თუ კომუნისტების დროს ბავშვებს საბჭოთა კავშირის ჰიმნს და „ალსდექ, კრულვითა დაღდასმულოს" გვაზეპირებდნენ, ახლა დროება შეიცვალა. თბილისის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით სექტემბრიდან ქალაქის ყველა სკოლის IV კლასში ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციას შეასწავლიან.

აბა, ბავშვებო, თქვენ იცით, კომპლექსი არ იყოს, „აბა ვინმე გაგვეკაროთ", კომბალი კი არა, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია აუფრიალეთ თვალწინ!

### გეშინოდეთ განრისხებული ქალის!

როდესაც ოთხმა პოლიციელმა არყის უკანონო გამოხდისათვის დასავლეთ კენიელი ერთი ქალის დაპატიმრება განიზრახა, ქალმა არც აცია, არც აცხელა და ტანსაცმელი შემოიძარცვა. ამის შემხედვარე პოლიციელები თავქუდმოგლეჯილნი გაიქცნენ.

საქმე იმაშია, რომ აფრიკაში ქალები უკიდურესი მრისხანების და აღშფოთების გამოსახატავად საჯაროდ შიშვლდებიან;

ღმერთს მადლობა უნდა ვუთხრათ, ჩვენი ქალები აფრიკელ ქალებს რომ არ ბაძავენ, თორემ, ხომ წარმოგიდგენიათ, ქმრებზე, დედამთილებზე, მულებზე, ცხოვრებაზე განრისხებული ქალები რას იზამდნენ.

### სიურპრიზები აჭარიდან



აქამდე თუ მხოლოდ მითქმა-მოთქმით და სავარაუდოდ ამბობდნენ ასლან აბაშიძის შესაძლო პრეზიდენტობაზე, მართალია, მთლად ვერა, მაგრამ „თითქმის მთლად" გამოაშკარავდა. ლომის ზოდიაქოში პლანეტების შესვლა „ასლან-ლომისთვის" სასიკეთოდ მიიჩნიეს „ნორჩმა ამლორძინებლებმა" და მათ ყრილობაზე საჯაროდ განაცხადეს სურვილი — ასლან აბაშიძეს კენჭი ეყარა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის.

მართალია, ბატონმა ასლანმა ჯერჯერობით კი თავი შეიკავა, მაგრამ „ვინ იცის, რა აქვს გულში", და კიდევ რა ახალ სიურპრიზს შემოგვთავაზებს.

მანამდე კი ყარსის ხელშეკრულების ცხვირწინ აფრიალებამ „ცენტრი" დაშოკა და დიდი პროტესტი და აღშფოთება გამოთქვა. ისე, თუ არქივებში ქექვას გავაგრძელებთ, ისეთი ხელშეკრულებები შეიძლება ვიპოვოთ, სულ თავში ვიცეთ ხელები.

### თუ კარგი გზები გვინდა, არჩევნები ყოველ წელს გავმართოთ

წლის ბოლომდე თბილისის მერია დედაქალაქის ქუჩების მნიშვნელოვანი ნაწილების შეკეთებას აპირებს. ამ მიზნისათვის ბიუჯეტში 6 მილიონ 1650 ათასი ლარია გათვალისწინებული.

ეს ნამდვილად არ არის ურიგო საქმე, რაც უნდა ვიფიქროთ, რომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებით არის განპირობებული, რათა მმართველი პარტია და ხელისუფლება ქვეყნის აღმშენებლის სახით წარდგეს საარჩევნო კამპანიაში.

ადრე თუ დანგრეული გზების შეკეთებას ამა თუ იმ ქალაქში ცკ-ს მდივნების სტუმრობას უკავშირებდნენ და ნატრობდნენ მათ ჩამოსვლას საკუთარ ქალაქებში, დღეს გზების კეთილმოწყობის იმედი არჩევნების მოახლოებაზეა დამოკიდებული. სამწუხაროა, რომ არჩევნები მხოლოდ ოთხ-ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება, რის გამოც სამანქანო გზების კეთილმოწყობა და წესრიგში სრულყოფილი მოყვანა ვერ ხერხდება.

## ინტერვიუ

ექსკლუზიური ინტერვიუ

### ავთანდილ მარგიანი:

# მარგიანს ვერავინ ვერასდროს ვერ გამოიჭერს. პირიქით, ყველა იქეთ მყავს გამოჭერილი...

**— ბატონო ავთანდილ, პანტელეიმონ გიორგაძის განცხადებამ — აფხაზეთს უფლება აქვს ჩაატაროს არჩევნები, აირჩიოს პრეზიდენტი და პარლამენტიო, არა მარტო საზოგადოების გაოცება-აღშფოთება გამოიწვია, არამედ თვით სახალხო პატრიოტულ-გაერთიანებაშიც არეულობა და დაბნეულობა შემოიტანა. შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?**

— ჩვენ ცხადია, რეაგირება მოვახდინეთ ამასთან დაკავშირებით. შეცდომებისგან დაზღვეული არავინ არ არის, მაგრამ ეს ჩანაწერი ჩვენ ხელმეორედ ვნახეთ, პანტელეიმონ გირგაძემ იგივე რუსულ ენაზეც გაიმეორა. როგორ გითხრათ, აღშფოთებული ვარ ძალიან, ასაკოვანი კაცი რომ არ იყოს, უმკაცრეს სასჯელს იმსახურებს ნამდვილად. თავს ლაფი დაგვასხა არა მარტო ჩვენ, მთელს საქართველოს. ჩვენს ქვეყანაში ამდენი ადამიანი დაიღუპა, ასეულობით ათასი ოჯახი წვალობს რაღაც ერთი მუჭა ბანდიტებისა და სეპარატისტების გამო და როგორ შეიძლება ამას ამართლებდეს საბჭოთა გენერალი და დღეს სახალხო პატრიოტული კავშირის ნიღაბს ამოფარებული კომუნისტებისათვის უკვე მიუღებელი პიროვნება?!

**— როგორ გგონიათ, რამ ათქმევინა ასაკოვან გენერალს ეს სიტყვები?**

— „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისო" — ნათქვამია. აი, ამან ათქმევინა.

**— თქვენ შეხვდით პანტელეიმონ გიორგაძეს?**

— პანტელეიმონ გიორგაძის საკითხი განვიხილეთ სახალხო-პატრიოტულ კავშირში შემავალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლიდერთა საბჭოზე, დავგმეთ და გამოვყავით სპეციალური კომისია ამხანაგ ევგენი ჯულაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც სპეციალურად ჩამოფრინდა მოსკოვიდან. ლობე-ყორეს მოედო პანტელეიმონი, მის ნათქვამს მისივე მეგობარი გრიგოლ ონიანი ამტკიცებს, ეს იმიტომ თქვა მან, რომ აფხაზეთში არძინბას ნაცვლად კომუნისტები მოვიდნენო. მაგათთვის კომუნისტობაც ნიღაბია, სხვათა შორის, ეროვნულობაც ნიღაბია და არაფერი არ აწუხებთ ქვეყანაზე საკუთარი კუჭის მეტი. რა დროის კომუნისტებია? კომუნისტებმა შექმნეს საქართველო? ან ჩვენ გვაჯობებენ ეგენი კომუნისტურ მშენებლობაში, თუნდაც შევარდნაძეს, იგივე პატიაშვილს, იგივე მარგიანს, რომლებმაც ძალიან ბევრი გავაკეთეთ, როცა ერთად ვიყავით მთელი საბჭოთა ხალხი? რომ დავიშალეთ, ისინიც დასუსტდნენ და ჩვენც. ახლა ჩვენ ვმუშაობთ ახლანდელ ევროკავშირზე უფრო კარგი კავშირის შესაქმნელად, სადაც ჩვენი ხალხები წარსულის ტრადიციებზე დაყრდნობით ახალ დიდ მომავალს ააშენებენ. ამას, რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგეები ბევრი ჰყავს. პირველ რიგში სეპარატისტები, მაგრამ კარგად ვიცით, პატარა შენაკადი დიდ მდინარეს ვერასოდეს ვერ შთანთქავს. ეს პირიქით ხდება. ჩვენ დიდი მდინარის ნაწილი ვართ, რომელიც დიდი ბედნიერების ოკეანეში ჩაედინება.

**— პანტელეიმონ გიორგაძის ეს „გამოხდომა" შესაძლოა წინასწარ დაგეგმილ-განსაზღვრული ქმედება ყოფილიყო კომუნისტური ორგანიზაციის საბოლოოო კრახისათვის გამიზნული? ვინმეს დავალებით ხომ არ მოქმედებდა ბატონი პანტელეიმონი? მის პიროვნებაში ეჭვი ხომ არ შეგეპარათ?**

— მე პანტელეიმონ გიორგაძეს ვიცნობ 10 წელიწადზე მეტია. ძალიან მოკლე ხანი ერთად ვიმუშავეთ, როცა მე საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის ცეკას პირველი მდივანი გახლდით, პანტელეიმონ ბატონი იქ დამხვდა თანაშემწედ უშიშროებისა და სამხედრო საკითხებში. მე ძალიან კარგი წარმოდგენა მქონდა მასზე.

ბავშვობიდან მიყვარს სამხედროები. ჩვენს საგვარეულოში დედულეთში სულ სამხედროები მყავდნენ, ძალიან ცნობილი ხალხი. ბიძაჩემმა ლეონტი იოსელიანმა პირველმა დასვა სამხედრო თვითმფრინავი სვანეთის ტერიტორიაზე. მეორე ბიძა წყალქვეშა ნავის კაპიტანი, იაროსლავ იოსელიანი — ლეგენდარული გმირი იყო. ბაბუაჩემის ძმა ნიკოლოზ მარგიანი იყო ტაშკენტის დივიზიის მეთაური რუსეთის იმპერიის დროს. სამხედრო პირი, სამხედრო ფორმა ალბათ სტალინისგან მიყვარს. მასში ვხედავ მე წესრიგს, ერთგულებას, პატიოსნებას და თავდადებას. პანტელეიმონიც ასეთი კაცი მეგონა, მაგრამ, ვაი, რომ ფუჭი გამოდგა ჩემი ფიქრები.

**— ედუარდ შევარდნაძეც კომუნისტებში მოიხსენიეთ საუბარში: პანტელეიმონი და მისნაირები, მე, პატიაშვილს და შევარდნაძეს კომუნიზმის მშენებლობას ვერ გვასწავლიანო...**



— ბატონი ედუარდი იყო ერთ-ერთი მაღალი რანგის კომუნისტური მოღვაწე, რომელმაც დაინახა, რომ უკეთესი გზა არსებობს, ვიდრე კომუნისტური იდეები, ამისათვის არ ვძრახავთ, მაგრამ ერთი-ორი სიტყვა მაგასაც არ ეპატიება: შავი ჭირი იყო ისაო. მე ვუთხარი პირში, არ ხართ მართალი-თქო. რა თქმა უნდა, ის წყობა ნაკლოვანებებით იყო, მაგრამ... მასზე უკეთესი ჯერ ვერავინ შექმნა საქართველოში, რაც შევარდნაძემ გააკეთა 13 წლის განმავლობაში საქართველოში. როცა უკეთესს გააკეთებს, მერე დავიჯერებთ.

**— ბატონო ავთანდილ, თქვენ სახალხო-პატრიოტული გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი ხართ. დღეს კომუნისტურ გაერთიანებას პატრიოტულს უწოდებთ. თქვენი ცხოვრების მანძილზე კომუნისტების სიკეთეში ეჭვი არასოდეს შეგპარვიათ?**

— როგორ გეკადრებათ, სახალხო-პატრიოტული გაერთიანება მარტო კომუნისტები არ არიან. აქ ბევრი ღირსეული პარტია და საზოგადოებაა თავმოყრილი.

კომუნისტები, როგორც ასეთი, საუკეთესო ორგანიზაცია იყო თავის დროზე, მაგრამ მის მამათავარს მარქსს ასე აქვს დაწერილი — ჩემი ცხოვრება არ არის დოგმაო. შემოქმედებითია ეს და სამწუხაროდ ზოგი საწყალი ისე ჩამორჩა ამ ცხოვრებას, ისიც კი არ სჯერა, რომ დედამიწა ბრუნავს. კომუნისტური პარტია ყველგან არის მოწინავე. ის არის სოციალური სამართლიანობის განსახიერება და შიგნით ყველა პარტიაში არის ხოლმე რაღაც სარეველა, რომელსაც ვერ ავცდებით.

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

## რ ე პ ლ ი კ ა

# დღესაც ლენინს უმღერიან?!...

არ გვეგონა, დღეს, დამოუკიდებელ საქართველოში, თუ კიდევ ვინმე იფიქრებდა ნორჩი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაზე. მწარედ ვცდებოდით თურმე, — უფიქრიათ კიდეც და მესამე კლასელთათვის კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურაც გამოუციათ, რომელშიც უამრავი ლექსი თუ მოთხრობაა მიძღვნილი ლენინისადმი, პარტიისადმი, რუსქართველთა ძმობისადმი და ა.შ.

საინტერესოა, ვინ გამოსცა ეს წიგნი, რა მიზნით, მაგრამ უფრო საინტერესო ისაა, რომ მის სატიტულო ფურცელზე შავით თეთრზე აწერია: რეკომენდებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერო. საეჭვოა, სამინისტროს გაეწია რეკომენდაცია ამ წიგნისთვის. უფრო გვგონია, რომ ეს პირატული გამოცემაა (გამოცემულია შარშან) და თუ ეს ასეა, მაშინ ყველა გზით უნდა ვებრძოლოთ ამ პირატებს, რათა მსგავსი რამ არ განმეორდეს.




**უსმინეთ ლენინს!**
*(ნაწყვეტი)*

ჰქვია ბელადი,
კიდევ? — მამა,
და კიდევ? — ბრძენი
და გამარჯვება
გრიგალებში გამოვლენილი...
ჩვენ ამ სიტყვებით გვასწავლიან
ვლადიმერ ლენინს.
ჩვენ, ვისაც ერთხელ არ
გვინახავს
დიდი ლენინი.

**ჯანსულ ჩარკვიანი**

**მაისი**

სიცოცხლეს კვირტში ჩასახულს,
ყვავილთა თვალის გახელას,
სითბოს, სიყვარულს, გაზაფხულს
მაისი ჰქვია სახელად.
ფართოდ გავაღოთ ფანჯარა,
გაზაფხულს შევხვდეთ პირველი,
გულის ბუდეში ჩამჯდარა
დღეს სიხარულის ფრინველი.
მოვდივართ რუსი, ქართველი,
შვილნი სხვადასხვა ერისა,
პარტიის სიბრძნის ნათელით
ალალი ძმობა გვეღირსა!

**იოსებ ნონეშვილი**

# ყველა გზა საქართველოს პრეზიდენტთან მიდის

*„მოდით, კაცურად მაინც ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა" ედ. შევარდნაძე.*

სიმართლე გითხრათ, მემკვდარუნება, ცუდი ვწერო და ვაკრიტიკო ბატონი პრეზიდენტი, მაგრამ რა ვქნათ, რომ იგი ხალხის ხმას არ უსმენს. წერეთ და იკითხეთო, — დამკვიდრა პრაქტიკად და ამის შემდეგ არა მარტო მისი უმართებულოდ გაკეთები საქმეების, არამედ პიროვნების ლანძღვა-გინებამაც ზღვარს მიაღწია. ჩემი ცხოვრება კაცურად განვვლე, არავის ვალში არა ვარ. ბევრს შეეშალა, ზოგიერთს ჰგონია, თითქოს მე რაიმეთი დავალებული ვარ მისგან, მაგრამ იგი ცდება. ალალი იყოს ის შრომა და ამაგი, რომელიც მე ცხოვრების მანძილზე ახლობლებს, ნაცნობ-უცნობებს მივაგე. ადამიანი ამქვეყნად სახელისთვის და კეთილი საქმეების საკეთებლად მოდის. კაცი სინდის-ნამუსის ქუდით უნდა დაიარებოდეს ტიალ ქვეყანაზე. კარგი ჰქმენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებაო. მამაპაპური რწმენის ალმასრულებელ კაცს ძალზე მწყინს და ვერ ვიგუები, როცა პრეზიდენტი მხოლოდ და მხოლოდ დაპირებებით (რომელიც ტყუილებში გადაიზარდა) გვკვებავს და ერთ დროს აყვავებული საქართველო, თავისი სახელოვანი მამულიშვილებით დააჭკნო და მილიონ ნახევარზე მეტი ადამიანი აიძულა მიგრირებით უცხოეთში გადახვეწილიყო.

ახლობლები და კეთილისმყოფელები მთხოვენ, მირჩევენ, მემუდარებიან შევეშვა პრეზიდენტის მიერ ქართული ქვეყნის ნაკლოვანებათა მხილებას, ამბობენ, თავი დაანებე, მაინც არაფერი არ გამოვა, რაზე სძულდები, აუცილებლად შენზე შურს იძიებსო.

თქვენ წარმოიდგინეთ, უკვე გაჩნდა პირველი სიმპტომები. მიმდინარე წლის 16 იანვარს გაზეთ „საქართველოში" დაიბეჭდა ჩემი ვრცელი სტატია, რომელშიც ქვეყნის პირველ კაცს სამართლიანად წავუყენე რამდენიმე ბრალდება (ჩემის ღრმა რწმენით, დასაბუთებული). იქვე დავაყენე საკითხი იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტიდან დაწყებული რიგითი სახელმწიფო ორგანოს მუშაკით დამთავრებული, მათი ვინაობა, წარმომავლობა გამჭვირვალე უნდა იყოს.



პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, მინისტრისა თუ სხვათა ვინაობას მოსახლეობა ჭორის დონეზე კი არ უნდა ისმენდეს, არამედ გაცხადებული უნდა იყოს მის ბიოგრაფიაში. პიროვნების მონაცემები პრესითა და ტელევიზიით უნდა იყოს ცნობილი. ბატონი პრეზიდენტი ასე რომ მოქცეულიყო, დამერწმუნეთ მე, მხცოვანი და წინდახედული კაცი მწვანე, შემოუსვლელი, ცხოვრებისეული სკოლა გაუვლელი და მლიქვნელობის მიდრეკილების მქონე ახალგაზრდის ლანძღვის ობიექტი არ შევიქმნებოდი. საუბარია გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" ერთ-ერთი განყოფილების გამგეზე, თამაზ ლომსაძეზე. საქმის არსი ასეთია: ზემოთ მოხსენიებული გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებული საკმაოდ კრიტიკული და ობიექტური წერილი თარგმანის სახით (ჩემგან დამოუკიდებლად) დაიბეჭდა რუსულენოვან გაზეთში „სვეტ". მედროვემაამებლებმა საქმე ნახეს და იგორ გიორგაძის პიროვნება, „სვეტ"-ის გვერდებზე მოთავსებული წერილები და მათი ავტორები ბერაში გაგვატარეს. გარკვეულ მოსაზრებათა გამო, ყური ყველაზე ძლიერ მე ამიწიეს. ახალგაზრდა, ტუჩებზე რძეშეუშრობელი კაცი წინდაუხედავად მლანძლავს, ღირსებებს მყრის და ჩემს საქმიანობას ეჭვების სამოსელში ხვევს. ბატონი თამაზი თავისი შეურაცხმყოფელი პასკვილით ახლო მომავალში წარსდგება მართლმსაჯულების წინაშე იმის დასასაბუთებლად, რომ ვინაიდან მე პრეზიდენტი ვამხილე გადაცდომებისა თუ დანაშაულებების (ჩემის აზრით დანაშაულობებზეა წერილში საუბარი) გამო, საზოგადოების წევრთა შორის სიმახინჯე ვყოფილვარ. ავტორი ჩემი წერილის კრიტიკისათვის სათაურად იყენებს რუსულ ანდაზას (თანაც ბრჭყალების გარეშე) "семья не без урода". შემდეგ მას მოსდევს მეორე, არანაკლებ შეურაცხმყოფელი ბრალდება, "обзывающий себе академиком". შემდგომ, როგორც იტყვიან, მადა ჭამაში მოსული აგრძელებს: "Да и просыл он на всю страну главным фамилеводом".

საკუთარ თავზე უხერხულია საუბარი, მაგრამ დამწყებ მლიქვნელს ძალა თუ არ აჩვენე, სიბრიყვეს აგრერიგად იოლად ვერ მოიშლის. მე ვამაყობ იმით, რომ საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ თავის კრებაზე ერთხმად ამირჩია აკადემიკოსად, მაკურთხა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ და მე-5 ნომრით ჩამაბარა აკა-

*გაგრძელება მე-6 გვ.*

# კიდევ ერთხელ ქართული ჯარის სავალალო მდგომარეობაზე!

მრავალჯერ დაიწერა იმ სავალალო მდგომარეობის შესახებ, რომელიც გვაქვს საქართველოს სამხედრო ძალებში. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ფაქტია — ქვეყნის ხელისუფლები რატომღაც დაინტერესებული არ არიან ძლიერი, ბრძოლისუნარიანი ქართული ჯარის შექმნით (?). ერთი შეხედვით ამ „უცნაურ" ფაქტს, ჩემის აზრით აქვს სრულიად მარტივი და ლოგიკური ახსნა: სამწუხაროდ, ქვეყნის (მისი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის) მიზნები და ინტერესები აშკარად არ ემთხვევა მისი მმართველი ფენის ინტერესებს — მოსახლეობის უმრავლესობა, ახალი დროის შესაბამისად, ეროვნული იდეებისა და ინტერესების დაცვა-გატარებითაა დაინტერესებული და ამით ცოცხლობს; ხოლო მმართველი ფენა (პრეზიდენტით დაწყებული სოფლის გამგებლით დამთავრებული) „უფროსის" ნაბაძვით მოძველებული, კოსმოპოლიტური იდეებითა და პრინციპებით მართავს ქვეყანას. ამასთან არავითარ ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ ახლა სხვა დროა, რომ ინტერნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის დრო წარსულს ჩაბარდა.

აქედან იწყება და მომდინარეობს ინტერესთა სრული შეუთავსებლობა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობასა და მმართველ ფენას შორის. და რომ არა ბატონ შევარდნაძის განუზომელი სიყვარული ძალაუფლებისადმი და უნიკალური ნიჭი მისი შენარჩუნებისა, მართვის მსგავსი, ანტიხალხური, ანტისახელმწიფოებრივი მეთოდების მქონე ვერც ერთი გუნდი (პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტი) ერთი წლითაც ვერ გაჩერდებოდა სახელმწიფოს მართვის სადავეებთან.

ძალიან დასანანია, რომ პრეზიდენტის ასეთ ნიჭსა და სიყვარულს ძალაუფლებისადმი ქართველი ერისთვის, დღეს-დღეობით, უბედურების, ოლატაკისა და იმედგაცრუების გარდა არაფერი მოუტანია, მიუხედავად მრავალგზის დაპირებისა!

ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას უცნაური და გაურკვეველი პოზიცია უკავია სამხედრო ძალების მიმართ; შეიძლება ითქვას — ჯარის პრობლემებზე განგებ „თვალის დახუჭვია" და მათი სრული იგნორირების პოზიცია. აღარავინ ლაპარაკობს ჯარის დაკომპლექტებაზე, შეიარაღება-აღჭურვაზე და გაძლიერებაზე; საუბარია ოფიცრებისა და მათი ოჯახების ელემენტარულ ფიზიოლოგიურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე — კვებაზე და შიმშილის საფრთხისგან მათ გადარჩენაზე.

ვერ დაასახელებთ ვერც ერთ დროს, ვერც ერთ ქვეყანას — მონათმფლობელობიდან მოყოლებული დღემდე — სადაც ასე ილახებოდეს სამხედრო პირთა ინტერესები, მათი სხედრული თავმოყვარეობა, როგორც ეს ხდება დღევანდელ დემოკრატიულ (?!) საქართველოში!

იქნებ გინახავთ სადმე, გსმენიათ ან წიგნში წაგიკითხავთ, რომ ომიდან გამოსული, დამარცხებული მთავარსარდალი საკუთარი შეიარაღებული ძალების ... შემცირებაზე ფიქრობდეს (?!) და მათ თითქმის ერთი წლის განმავლობაში (უფრო ზუსტად — 8 თვის განმავლობაში) არათუ ხელფასებს, კვებისა და გზის ხარჯებსაც არ უხდიდეს, ხოლო ... სამსახურში დაგვიანებისა ან გამოუცხადებლობის



შემთხვევაში მათ მკაცრად სთხოვდნენ პასუხს? სწორედ ასეთი მდგომარეობაა დღეს საქართველოში! დარწმუნებული ვარ, ის ერთადერთი ქვეყანაა ამ მხრივ!

სმენითაც პირიქით მსმენია: დამარცხებული ქვეყანა მთელ რესურსებს ჯარის ყოველმხრივ უზრუნველყოფისთვის წარმართავს და მის გაძლიერებას ცდილობს. შედეგად აღწევს მიზანს — იბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს და აღიდგენს შელახულ სახელს. ასე მოიქცა ხორვატთა სარდლობა — ერთ წელიწადში თითქმის ოცჯერ გაზარდა სამხედრო ხარჯები და გაიმარჯვა სერბების წინააღმდეგ ომში!

... ამას წინათ ქ. თბილისში მუხიანის დასახლებაში ორი სამხედრო პირი, არცთუ დაბალი ჩინის მქონენი ... ბაზრობაზე პამიდორს ყიდიდნენ (?!) ერთს — უშუალო გამყიდველს — სამოქალაქო ფორმა ეცვა, მეორეს — გვერდიდან რომ ეხმარებოდა — სამხედრო ფორმა. როდესაც გაკვირვება და სინანული გამოვთქვი, მიპასუხეს: ჩვენი ოჯახები შიმშილობენ, იძულებული გავხდით, ვივაჭროთ, ყაჩაღობას ეს ვარჩიეთ, მეტი გამოსავალი ვერ ვნახეთო. სამსახურში უფროსმა იცის და ხელს გვიწყობს. სამაგიეროდ მასაც ვეხმარებით პურის ფულითო (?!).

ხელისუფალთა უთავო, დანაშაულებრივი მართვის გამო ასე ძალით გავაჭრებულ-გაჩარჩებული ჯარით გვინდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება?

თავდაცვის მინისტრზე აღარ ვსაუბრობ: როგორც მინისტრი, მისი გაკეთებული, თუნდაც საკუთარი უწყების ინტერესების დასაცავად ნათქვამი ერთი სიტყვაც არავის გაუგია. თუმცა, ამბობენ, ოფიცერთა ხელფასებისთვის განკუთვნილი თანხებით ...ზღაპრულ რემონტს აკეთებს თვით სამინისტროშიო (!!), ხოლო ოფიცრები რომ უხელფასობით შერცხვენილი, დამცირებულნი არიან მეუღლეების, შვილების, ნათესავ-მეგობრების თვალში, ეს, როგორც ჩანს, მეტ-ნაკლებად ან სულაც არ აღელვებს. აშკარაა — ბატონ თევზაძის მოწოდება სხვა რამეა!

რაც შეეხება საქალაქო ტრასპორტით სამხედრო პირთა მგზავრობას: თუ გაჩერებაზე სამხედრო დგას, მძღოლები საერთოდ არ აჩერებენ ავტობუსებს; ხოლო ჩასვლის დროს ჯიუტად და შეურაცხმყოფელი ფორმით სთხოვენ გადახდას. მიუხედავად ამისა, დარწმუნებით შეიძლება თქმა — საფასურს იხდის ოფიცერთა 5%, 95% ვერ იხდის, რადგან არა აქვთ. ხომ შეიძლებოდა ეს საკითხი ოფიცერთა სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო და პრობლემაც აღარ იარსებებდა. ხელისუფლებამ შეიარაღებულ ძალებს ეს ელემენტარული შეღავათიც კი არ მიანიჭა!

ახლა თვითონ განსაჯეთ როგორია ხელისუფალთა დამოკიდებულება სამხედრო ძალების მიმართ და საერთოდ — თვლიან თუ არა მას ყურადღების ღირსად და საჭიროდ?

მოყვანილი მაგალითებიდან არ ჩანს, რომ ასე იყოს! და ეს მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა თითქმის საომარ მდგომარეობაშია გარე მტრებთან თუ შიდა სეპარატისტულ დაჯგუფებებთან; როცა მუდმივად, ყოველდღე გვესმის მუქარა და შეურაცხმყოფელი გამოთქმები მათი მხრიდან! ასეთ დროს შეიარაღებული ძალების მნიშვნელობისა და როლის იგნორირება, მათი ჩაყენება ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც დღეს იმყოფებიან, ქვეყნის ღალატი და დივერსიაა მის წინააღმდეგ! ჯარისადმი ასეთი მიდგომა დანაშაულია!

ვინ უნდა აგოს პასუხი ყოველივეზე, თუ არა ქვეყნის პრეზიდენტმა? საეჭვოა, მან არ იცოდეს ოფიცრებზე რვა თვის გაუცემელი ხელფასის შესახებ! რატომ არ სრულდება მისი საახალწლო „საზეიმო დაპირება" — „ამ წელში ხელფასებს ყოველთვიურად და დროულად მიიღებთო". ნუთუ ნორმალურია, როცა ხალხი ეგუება პრეზიდენტისგან სიტყვის გატეხვას?

მე მინდა მჯეროდეს პრეზიდენტის, მაგრამ ასეთ პირობებში ეს შეუძლებელია. ამ ფონზე მიდის წინასაარჩევნო კამათი, ვინ აირჩიოს ხალხმა — „საქართველოს აღორძინების კავშირი" თუ „მოქალაქეთა კავშირი". ნუთუ პოლიტიკოსობა და განსაკუთრებული ნიჭი უნდა იმის გარჩევას, ვის მისცენ ხმა — მათ, ვინც ხალხს ყოველთვიურად ურიგებს პენსიებსა დახელფასებს, თუ მათ, ვინც ამას სანატრელს გაუხდის ხალხს და 8 თვის განმავლობაში ადამიანებს პურის ფულსა და სამსახურში მოსასვლელ რამდენიმე თეთრსაც კი პრობლემად უქცევს?

ყველა ადამიანი თავის სავალ გზას თვითონ აკეთებს! ასევე ითქმის ხელისუფლებაზეც — ხალხის თანაგრძნობის იმედი მათ ნაკლებად უნდა ჰქონდეთ, რადგან მას დამსახურება უნდა!

ხელისუფლება უფრო მეტად უნდა ინტერესდებოდეს ჯარის პრობლემებით!

***ზორბეგ საგინაშვილი***

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### რა გვეშველება ამ საძაღლეთში



თბილისში მაწანწალა ძაღლები ისე მომრავლდნენ, რომ ზოგჯერ მაფიოზებივით ერთმანეთს ებრძვიან ამა თუ იმ უბანში გავლენის სფეროების მოსაპოვებლად და არის ერთი გნიასი და კბილთა ღრჭენა ზოგჯერ მთელი ღამის განმავლობაში, რაც არა მარტო მოზრდილებს უშლის ნერვებს და ამ ცხოვრების ძაღლურ წესზე კიდევ აფიქრებს, არამედ პატარა ბავშვების ფსიქიკასაც ამახინჯებს მუდამ შიშისა და დაძაბულობის ატმოსფეროში ჩაგდებით. ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ ამ უპატრონო ძაღლების ნაკბენისაგან ზოგი შეიძლება ცოფმორეულიც დაიარება თბილისის ქუჩებში, რადგან ცოფის წამალი ბევრჯერ არ იშოვება. ცოფს თუ გადაურჩი, ჩამოხეული შარვლის ტოტებზე ან სულაც სახლში უშარვლოდ მისვლაზე უნდა იოცნებო. მოკლედ, თბილისი ლამის ძაღლების საუფლო გახადეს, სადაც ადამიანები უპატრონობით და შიმშილით გამწარებული ძაღლების გემრიელ ლუკმად მოიაზრებიან. როდემდე უნდა ვიყოთ მუდამ აგრესიის მსხვერპლნი ეს ქართველები? ჯერ აფსუებს და ოსებს ახოცვინეს ჩვენი თავი, ახლა ძაღლებს მიუგდეს საჯიჯგნად. რა ჰქვია ამას, თუ არა დიდი უპატრონობა, სადაც ტაძარს ეშმაკები ეპატრონებიან, ხოლო ქვეყანას შესაძლოა დამატებით სახელად საძაღლეთი უწოდონ იმ რეალობიდან გამომდინარე, რაც დღესდღეობით არის ჩვენთან.

### დააჩოქებს ოსურ სეპარატიზმს ეკონომიკური ბლოკადა?




1 აგვისტოდან ცხინვალისა და რუსეთის მიმართულებით ტვირთების გატანა-შემოტანა იკრძალება. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ცხინვალის რეგიონის ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცევა, იგი დიდ დარტყმას მიაყენებს გორის და ქარელის რაიონებსაც, რადგან მისი მოსახლეობის ერთი დიდი ნაწილი თავს ირჩენდა ამ სავაჭრო არტერიაზე კომერციული საქმიანობით. რა თქმა უნდა, ეს არის ოსური სეპარატიზმისათვის ეკონომიკური დარტყმის მიყენება, მაგრამ რამდენად ეფექტური იქნება იგი, ამას დრო აჩვენებს, მითუმეტეს, ოსებს გახსნილი აქვთ რუსეთთან როკის გვირაბი კავშირის დასამყარებლად, რაც მათ მთლიანად რუსეთისაკენ გადართავს. ასე რომ, ამ ცალმხრივი ბლოკადით დიდი ვერაფერი დააკლდება ცხინვალის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას, თანაც თუ გავითვალისწინებთ ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურების კორუმპირებულობასაც, მაშინ ნათელი გახდება, რომ ამ გადაწყვეტილების სიკეთე ქვეყნისათვის მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

### შემოდგომაზე ერთ-ერთი დაეცემა

აღორძინების ახალგაზრდული კავშირის I ყრილობაზე ერთმა ახალგაზრდა საჩხერელმა კაცმა, რომლის გვარიც არ მახსენდება, ისტორიული ფრაზა წამოისროლა: ჩვენ ასლან აბაშიძეს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად ვაყენებთ და მხარი დაგვიჭირეთო, რასაც დარბაზი ოვაციებით შეხვედრია. თუ ეს წინადადება ასლან აბაშიძემ მიიღო, მაშინ ბათუმურ ალიანსსა და მმართველ პარტიას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უნდა ველოდოთ, რადგან ქვეყნის მეთაურის სკამი ერთია, რომელზეც ორი კაცი ვერაფრით დაჯდება. ასე რომ, შემოდგომაზე გავხდებით მომსწრე საარჩევნო ბრძოლის ველზე ერთ-ერთის დაცემისა.

### ეს რა დაბალი ლობე ვართ



ამერიკელებმა თბილისში თავიანთი საელჩოს წინ საკმაოდ მაღალი და ფართო კედელი აღმართეს, რითაც იქვე გამავალი გზაც შეავიწროვეს და საერთოდ, დიდი გაღიზიანება გამოიწვიეს ქართველებში. ამერიკა რომ მსოფლიოს განაგებს და მათ შორის საქართველოსაც, ამ შუა გზაზე აგებული კედლითაც ჩანს. აბა, სხვას ვის მისცემდნენ უფლებას შუა ქუჩაში კედლების აღმართვისა, თუ არა ამერიკელებს. საწყენი ის არის, რომ ჯერ არც ერთ ქვეყანაში შუა ქუჩაში კედლების აშენება არ უცდიათ ამერიკელებს. ეს მხოლოდ საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, შეძლეს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქართველო ჩვენი ხელისუფლების წყალობით მტრისა და მოყვრის თვალში დაბალ ლობედ არის მიჩნეული, რომელსაც მაშინ გადააბიჯებენ თავზე, როცა მოესურვებათ.

მეორე გვერდიდან

## ავთანდილ მარგიანი:

# მარგიანს ვერავინ ვერასდროს ვერ გამოიჭერს. პირიქით, ყველა იქეთ მყავს გამოჭერილი

რაც არ უნდა კარგად დაამუშავო ბოსტანი, ხომ შენია და ხელს არავინ გიშლის, სარეველა მაინც ამოვა. იმ სარეველას კი კულტურულ მცენარეებს ნუ გადავაყოლებთ. კომუნისტურ პარტიაში არის მშრომელთა საუკეთესო ნაწილი, კომუნისტურმა პარტიამ საქართველო გაიყვანა იმ გზაზე, რასაც ჰქვია ეროვნული გზა. უკეთესი მომავლის მქონე პარტიები შეიძლება არსებობენ დღეს, მაგრამ ერთობის გარეშე არაფერი გამოვა. თუ ერთობა იქნება, მაშინ კომუნისტური პარტიაც სასარგებლო იქნება და სხვა პარტიებიც. თუ ცალ-ცალკე ვიქნებით, მაშინ უკანსვლის მეტი არაფერი გველოდება.

**— რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ბრძანეთ, თუ შევარდნაძე დამიძახებს თავისთან, მე სამსახურად მზად ვარო. რამდენად გულწრფელი იყო ეს განცხადება და აზრი ხომ არ შეგცვლიათ მას შემდეგ? გაქვთ თუ არა სურვილი, თუკი პრეზიდენტი მოგიხმობთ, ისევ მის გვერდით დადგეთ?**

— მე შევარდანძემ დამიძახა გაზაფხულზე, ვიყავით ერთად, ვისაუბრეთ. მეუბნებიან, შევარდნაძეს ხომ არ ემდური რამეშიო. მე ვამბობ, არაფერში, გარდა იმისა, რომ მეტი შეუძლია და თავის შესაძლებლობებს არ იყენებს და აბლაბუდას ქსელში გაეხვია-მეთქი. უნდა მოიშოროს ეს სამარცხვინო ტვირთი მოქალაქეთა კავშირის. არ სჭირდება ედუარდ შევარდნაძეს არვითარი პარტია. ის თვითონ არის პარტია თავის ხალხთან ერთად. არც ერთ მოქალაქეს შევარდნაძეზე უკეთესი კანდიდატურა არ ჰყავს, თუ ის თავის შესაძლებლობებს სწორად გამოიყენებს. რაც შეეხება ჩემს მის გვერდით დგომას, მან იცის ძალიან კარგად, სადაც ვარ. მან ერთხელ დამიდასტურა, რომ ხედავს ჩემს დამსახურებას. მე მადლობელი ვარ. მირჩევნია, პირადად ის იყოს საქმის კურსში, ვიდრე ვილაც. მის მიმართ ჩემი ერთგულება ჩემი ხალხის საპატივცემულოდ მქონდა ყოველთვის და თუ საჭირო ვიქნები და, ალბათ, ეს ასეც მოხდება, რადგან ვატყობ ჩემზე უკეთესები მის გვერდით არ ტრიალებენ საქმიდან გამომდინარე, მე მის გვერდით ვიქნები.

**— ვინც მოსკოვში შევარდნაძეს სტუმრობდა და ასე ვთქვათ, მის საქართველოში ჩამოყვანაში ლომის წილი დაიდო, დღეს ყველა ნანობს თავის საქციელს. თქვენ?**

— მე მოსკოვში მასთან კი არ ვიყავი, იქ პარტია შევქმენი ვალერი კვარაცხელიასთან ერთად. ბატონი ვალერი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ ავირჩიეთ, ედუარდ შევარდნაძე კი საპატიო თავმჯდომარედ.

ამისათვის ვალერი კვარაცხელია დააპატიმრეს, ჩვენ კი ბრძოლა არ შევწყვიტეთ და საზოგადოებრივი აზრი მოვამზადეთ პოლიტიკური ხაზით შევარდნაძის საქართველოში მოწვევისათვის. მაშინ მარტო არ ვიყავით, მაგრამ ძირითადი წამყვანი ძალა საქართველოს დემოკრატიული კავშირი გახლდათ. კიდევ რომ განმეორდეს იგივე მდგომარეობა, უფრო ენერგიულად შევუდგებოდით შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებაზე მუშაობას. სულ სხვა საკითხია, მაშინ როგორი იყო, ახლა როგორია, მაგრამ დღეს ვინც მას ებრძვის, რომ მის ადგილზე მოვიდეს, იმას შევარდნაძე მაინც ჯობია. ამას ვამბობ იმის მიუხედავად, რომ ისინი უფრო არიან ჩემი მეგობრები, ვიდრე შევარდნაძე. ჩვენი ყველას ვალი ის გახლავთ, რომ შევარდნაძის ყველა შესაძლებლობა სწორად გამოვიყენოთ, მაგრამ თვითონაც უნდა მოგვცეს ამის საშუალება. ჩვენ ვისაუბრეთ, კიდევ გვქნება შეხვედრები. მე ვუთხარი მას და გეუბნებით თქვენც, მას კიდევ აქვს დრო, რომ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ხელმძღვანელად დარჩეს.

ამერიკაში მიმიწვია 80 კომლმა ებრაელმა, სუფრაა გაშლილი, თამადა ვარ. კლინტონის და შევარდნაძის სადღეგრძელო შევსვი, ერთი ებრაელი წამოხტა, შემთვრალი იყო, თავის დროზე მინისტრობისას შევარდნაძეს დაუჭერია, მე მაგისიო, სულ უწმაწური სიტყვებით ლანძღა. მე გავაჩუმე , მაგის დრო არ არის ახლა-მეთქი. არა, ბატონო, ავთანდილ, სხვა რამეს ვამბობ, არ მიყვარს, არ ვცემ პატივს, მაგრამ ვინც დღეს შევარდნაძის შესაძლებლობათა გამოყენების წინააღმდეგია საქართველოში, ის საქართველოს მტერიაო. მეც არ ვეფერები, ეს ასეა.

**— ამბობენ, რომ შევარდნაძეს მარგიანი ისე ჰყავს გამოჭ-**



**ერილი, ხმას ველარ ამოიღებსო.**

— ბებიამაგათისამ. მარგიანს ვერავინ ვერასდროს ვერ გამოიჭერს. პირიქით, მე მყავს იქეთ გამოჭერილი ყველა, მაგრამ არ ვიკადრებ რალაცეებს. ეს მე და შევარდნაძეს, ჩვენს ურთიერთობებს არ ეხება.

**— ბატონო ავთანდილ, ამბობთ, რომ თქვენსა და პრეზიდენტს შორის ჰარმონიული, კარგი ურთიერთობაა. პროკურატურა კი წლების განმავლობაში ჩხრეკდა თქვენს საქმეებს და დარღვევებს ეძებდა. მაინც რას გედავებოდნენ სამართალდამცავები?**

— 4 წელი ჩხრიკეს ჩემი საქმეები, 4000 დოკუმენტი შეისწავლეს, 12 კაცი დააკავეს, 3 გაასამართლეს. ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა სამართალდამცავი ორგანოს ხელმძღვანელმა ბატონ ედუარდს მოახსენა, ხელშესახები წერტილიც კი ვერ ვნახეთ მარგიანის პირადი ანგარებითი ხასიათის დარღვევების შესახებო. ოფიციალური დოკუმენტი მაქვს აგერ და წაგაკითხებთ.

**— გენდობით.**

— ასე მოუვიდა კორუფციის კომისიას, რომელიც პირშავი დარჩა და ის იქნება მალე დასაპატიმრებელი. მე ბატონ ედუარდს ვუთხარი, როგორც კი თქვენ ანტიკორუფციულ კომისიას შექმნით თქვენთან, მე ხომ გენდობით, მაგრამ მაინც ტელევიზიით გამოვალ და მოგმართავთ სამ პიროვნებაზე, პირდაპირ ადგილებს დაგისახელებთ, სახლებს, ყველაფერს, შესწავლა აღარ დაგჭირდება იმათი, ვისთანაც გქონიათ საქმე, ნახავთ-თქო. მისთვის ჩვეული ხელის დაქნევით დამიდასტურა, მაგრამ ჯერ-ჯერობით 4 თვე გავიდა. მე არ დამისახელბია ისინი. როგორც შექმნის კომისიას, მე ტელევიზიით გამოვალ და ვეტყვი, ბატონო ედუარდ, აბა, ჩაიწერეთ გვარები და სახელები. იმ სამთაგან ერთ-ერთი გია ბარამიძეა — ისე სამივე მოქალაქეთა კავშირის წევრია — „მოქაქეები“. აბა სხვა „ქაქს“ არავინ არ ჭამს საქართველოში. „მოქალაქეები“ არიან, რომლებმაც შეცდომაში შეიყვანეს შევარდნაძე, ქართველი ხალხი და ნამდვილად, როგორც ბოლშევიზმის მწვანე ჭირი ისე მოევლინენ საქართველოს. ახლა ვითომ დაიყვნენ, ვითომ მწვანეები ცალკე გავიდნენ... სად იყვნენ მაშინ, როცა ბალები აჩეხეს და „ბენზინკალონკები“ ჩადგეს. ესენი არიან მწვანეები? 1992 წელში შევარდნაძე მე მთავაზობდა მაგათთან გაერთიანებას. მე ამას



გავაკეთებდი? მათ გვერდით დავდგებოდი, ვინც ჩემი ქვეყანა სიბნელეში ჩატოვა? ვინც ხუდონჰესი გამიჩერა, ვინც რუსთავის გზა და ზესტაფონი გამიჩერა, ვინც საქართველოს გლეხს ბაზარში მოსვლის საშუალება მოუსპო, ვინც აფხაზეთი და სამაჩაბლო დამაკარგვინა, იმას მე თანადგომას გამოვუცხადებდი? და ეს ყველაფერი ამათი — მოქალაქეთა კავშირის ბრალია. ამბობენ, იქ ზოგი კარგებიც არიანო, „ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“ ხომ გაგიგიათ. ზუსტად ერთნაირად არიან ყველა ამოსვრილნი. ჩრდილში მოკალათდნენ და ეროვნულ ნილაბს ამოეფარნენ. მე რომ მოქალაქეთა კავშირში ვიყო და ვინმეს ლანძღვა დაუწყოთ, არ გავარკვევდი, რაშია საქმე. გაყუჩებულან, ვითომ აქაც არაფერი და ქაფავენ ამ ფულებს. ყველაფერს უკან მოვატანინებთ. ფული ეკუთვნის ვინც სსრკ-ს დროს საქმიანად „საქმოსნობდა“, ფული ეკუთვნის მეწარმეებს, ვისაც თავისი პროდუქცია მოაქვს ბაზარზე, ვინც ააგუგუნებს ქარხნებს, ვინც აამუშავებს გიგანტურ ფაბრიკებს საქართველოში...

**— ბატონო ავთანდილ, ფაბრიკა-ქარხნების ამუშავებაზე თამამად და რიხიანად კი საუბრობთ, მაგრამ კერძო საკუთრებას და კომუნისტურ პარტიას როგორ წარმოიდგენთ ერთად?**

— კერძო საკთრების მომხრე თვითონ სტალინი იყო პირველი. ლენინის სიკვდილის შემდეგ, 1924 წელს, იგი ბევრი რამისგან განთავისუფლდა. ლენინს მე კომპარტიასთან არ ვაიგივებ. მძულდა კიდეც, რომ იცოდეთ, ცნობისათვის, რადგანაც სტალინს ულალატა ბოლოს. მუხანათობა ჩაიდინა. აირჩიეთ სხვა პირი, ოლონდ სტალინს რომ ჰგავდეს ყველაფრითო. რა კარგია! სტალინმა 1924 წლის 31 მარტს თქვა, დღეს ჩვენ გვჭირდება ახალი ტიპის ადამიანები, რუსული რევოლუციური გაქანების და ამერიკული საქმიანობის. რა იქნებოდა ეს ამერიკული საქმიანობა? არენდა, იჯარა, კოლმეურნეობა, არტელი. აი, ამ გზაზე გავიდა ყველაზე დიდი გიგანტი ჩინეთი და რა ცხოვრება ააშენა?! რომელიც ამ გზას ვერ გაჰყვა? აბა, ინდოეთი ნახეთ. ამ გზაზე გავიდა კუბა, მთელი მსოფლიო ებრძვის, დასავლეთის სფერო, მაინც მაგრად უჭირავს თავი. მექსიკა ნახეთ, სულს ლაფავს. მთავარი ის კი არ არის, რომელ მანქანაში ზიხარ, მთავარია, ვინ მართავს ამ მანქანას. რეგვენმა ახალი მანქანა შეიძლება პირდაპირ მიაფშვნას სადმე, ძველ მანქანას კი



მძღოლი ბოლომდე მიიყვანს და შეიძლება გაარემონტოს კიდეც. „თუ კაცი გონიერია, სოფელი ლონიერია“.

**— ბატონო ავთანდილ, პროკურატურამ საბოლოოდ დაასრულა თუ არა თქვენი საქმის ჩხრეკა?**

— კი დაასრულა, მაგრამ „ვენაცვალე მაგ შენს თვალებს, ჩუმჩუმად რომ მითვალთვალებს“-ო, ჯერ არ მორჩენილა. არიან ვილაცეები, თვალთვალი რომ ვერ დაასრულეს. როცა დარწმუნდნენ, რომ მე დამნაშავე არ ვიყავი, ყველა ორგანოს ხელმძღვანელმა ღირსეულად აღიარა ეს, პარლამენტის კომისიის გარდა. 6-7 საათი ვმჯდარვარ გამოძიების პროცესში. უშიშროება, შსს, პროკურატურა, თვით კონტროლის პალატაც კი იყო ჩართული. ყველა ყველაფერში გავარკვიე. ბოლოს დავრწმუნდი, რომ ამ ორგანოებში ადამიანური კულტურა ძალიან მაღალ დონეზე ასულა. ღირსებას არავინ არ შეგილახავს ასეთ შემთხვევაში. ვახტანგ გოგუაძეს ვამშვიდებ, ძალიან კარგად ექცევიან, ნუ გეშინია, შედი და რამდენ ხანსაც გინდა იჯექი-თქო.

მე რაზეც მედავებოდნენ პარლამენტმა დააკანონა — ჯართის საზღვარგარეთ გატანა. მე ჯართი არ გამიტანია, ხორბალზე გავცვალე. მეორეც, ბუნებრივი აირის უზბეკეთიდან შემოტანაზე მედავებოდნენ. მე ბუნებრივ აირში ჩაი გავუცვალე 2 დოლარად 1 კილოგრამი და იმათ მესამედ ფასში ვართმევდი. 58 მლნ. დავფარე ვალი.

500 მლნ-ის ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს იმათ, ვინც ჩემს მიერ მიღებული მექანიზმი შეაჩერა. ეს ბატონმა ედუარდმაც აღნიშნა ორჯერ. სხვათა შორ მე ველოდები, რომ პრეზიდენტ დასჯის მათ, ვინც ეს პროვოკაცია წამოიწყო.

**— ყველა ტერორისტული ა ტი თუ მცდელობა ხელისუფლებ მხრიდან კომუნისტებს დაბრალ და. ასე ვთქვათ, ხელი მათ შ ახოცეს. რა გრძნობას იწვევს ე თქვენში? გული არც ამან აგ ყარათ პრეზიდენტსა და დღევან დელ ხელისუფლებაზე?**

— მაგაში არ ვეთანხმებ ისინი ღამეში შავ კატას ეძებ ახლა რატომ აბრალებენ კომუნისტებს? კომუნისტებს იარაღ არა აქვთ. რომ დააბრალებ, იარ ალი ხომ უნდა მოიტანონ საიდ ანმე? მტკიცება ხომ უნდა არს ბობდეს? ვითომ ვერ გაიხსნ საქმე. ცოტაც და გაიხსნება არადა არც არასდროს გაიხსნ ბა. ეს იმას ჰგავს, მაჩაბელმ გურიაში ქალი გააუპატიურა დ ქუთაისში ვილაცას დაბრალდა რა შუაშია კომუნისტები? კომუნისტურ პარტიაში ყველაზე წესი ერი, პატიოსანი ხალხია. აქ ლაპარ კი გაქვთ, ალბათ, იმაზე, ტერ აქტში მონაწილეობას პანტელე იმონ გიორგაძეს რომ აბრალებდ ნენ. არადა, პანტელეიმონი ტერ ორიზმში გამრევი კაცი არ არი რაც შეეხება შვილს რომ იცავ ეს ადამიანური პოზიციებიდან გა ვუგოთ. შვილს დღეში 100-ჯერ შეუძლია მოატყუოს მოყვარულ მამა. ისე, იქაც ეჭვი მეპარებოდ 28 აგვისტოს ტერორისტულ აქტ ში იგორის მონაწილეობაზე დ რატომ: 1500 კაცს გვაბრალებდ ნენ. მათ შორის მეც და რახა მეც მაბრალებდნენ, სხვებზეც ტყუილი მეგონა. 1500 კაცი თუ მონაწილეობს, ეს ტერორისტუ ლი აქტი კი არა სახალხო აჯან ყება ყოფილა. ბოლო მომენტში რა მოხდა არ ვიცი. ერთი კ ფაქტია, ყვირიან, ყვირიან. მჩხა ვანა კატა კი თაგვებს ვერ დაიჭ ერს. თუ მართლა თაგვის დაჭ ერა უნდათ, ყვირილს თავი დაანებ ბონ. სამძებრო მუშაობა მე არ გამიგია ხმაურით — ამას ვეძებ იმას ვეძებო. გაზეთებში ვი აფრთხილებს ვინმეს — გეძებო პირიქით, გაჩუმდებიან და „ჭკუ „თავი მოჩრა“, ხომ გახსოვთ ფილმიდან?.

**— დღევანდელ ალიანსებზე რას იტყვით?**

— ალიანსი არაქართული სი ტყვაა და მაგის მნიშვნელობა კარგად არ მესმის. გამიგია სამ ხედრო ალიანსი, მაგრამ როცა ეს სხვაგვარად გადაკეთდება, რა ლაა... ისე, ძალიან ჭრელი ალიან სებია, ყველაზე კარგი ალიანსი ქართველ და სხვა ამომრჩეველ უნდა ჰქონდეს, რომ ამ აჭრელე ბულ ფერებში არ დაიბნენ და სწორი გადაწყვეტილება გამ ოიტანონ. ათი წელია ნავარჯიშე ბი ვართ და ბევრს ნუ მოვ ტყუვდებით. მე არ ვამბობ, რომ ყოველთვის მოვტყუვდებით. რო ცა ხალხმა გამსახურდია პრეზი დენტად აირჩია, არ შემცდარან, მაგრამ მისი პარტია რომ აირ ჩია, მაშინ კი მოტყუვდა. შევარდ ნაძის მიმართ სწორად ფიქრობდ ნენ 1992-შიც, 1995-შიც, მაგრამ მოქალაქეთა კავშირი ვის რაში სჭირდება?

ალიანსები არც ერთი არ არის მყარი. არ შეიძლება შეეზარდოს ერთმანეთს მუხა, ვაშლი, მსხალი. ისე ამ ალიანსებში ყველაზე მეტად პატიაშვილი შეიძლება დაზარალდეს. მისი ფასი ბევრმა არ იცის და მისი ღირსება დამოუკიდებელი, შეუვალი, ეროვნული კაცისა არ უნდა დაიკარგოს. „ხარი ხართან რომ დააბაო“, ლმ ერთმა არ ქნას ასე რომ დაემართოს.

**მანანა ლოგჯანიძე**

# საქართველოს სახალხო ფრონტი მოგმართავთ ეროვნულ პარტიებს

*მოგმართავთ საქართველოს ეროვნული, მაშასადამე — პატიოსნური და დემოკრატიული მიმართულების პარტიებს*

*ზოგნი ძალიან სუსტნი ბრძანდებით, ზოგნი — შედარებით მრავალრიცხოვანნი და ორგანიზებულნი. მაგრამ ეს, რასაც ახლა მოგახსენებთ, ყველას გეხებათ. ყველამ იცით, რომ შევარდნაძისა და მისი პარტიის ხელისუფლების გაგრძელების შემთხვევაში საქართველო უკანასკნელ ძაფამდე გაიყიდება, აგრეთვე განადგურდება სტრატეგიულად, დემოგრაფიულად და მორალურად. ისიც იცით, რომ იგივე მოხდება, თუ შევარდნაძის პარტიამ და „აღორძინებამ" ერთად საპარლამენტო უმრავლესობა მოიპოვეს. ისინი ერთად განახორციელებენ იმას, რაც დღეს რუსეთის (და არა მხოლოდ რუსეთის) მთავარი ინტერესია საქართველოში, სახელდობრ:*

*— საქართველოს „ფედერალიზაციას" ანუ მის დაგლეჯას ისტორიულ კუთხეებად;*
*— საქართველოში „ოსეთის" დაკანონებას (რაც ამ ტერიტორიის მომავალ დაკარგვას ნიშნავს);*
*— იურიდიულ კაპიტულაციას აფხაზეთში;*
*— რუსეთის ბაზების დაკანონებას (რაც ნიშნავს საქართველოს გარდუვალ ჩაბმას დიდ ომში და განადგურებას);*
*— საქართველოს მრავალმხრივ მიბმას რუსეთისა და ბელორუსიის კავშირზე;*
*— საქართველოსა და კავკასიის ხალხებს შორის სისხლიანი კონფლიქტის პროვოცირებას.*

*საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზაა პარლამენტის უმრავლესობაში ეროვნული (და, მაშასადამე, პატიოსნური და დემოკრატიული) მიმართულების ადამიანთა მისვლა. ამიტომ კეთილინებეთ და შექმენით ერთიანი საარჩევნო ფრონტი და ერთი სია, რათა ქართველი პატრიოტის არც ერთი ხმა ტყუილად არ დაიკარგოს. თუ გინდათ, გაუწიეთ ანგარიში ერთმანეთის რიცხობრიობას, ფინანსურ სიძლიერეს, ადგილობრივ ორგანიზაციათა რაოდენობას, პარლამენტში მონაწილეობას და სხვა ნებისმიერ ფაქტორებს, მაგრამ იცოდეთ: თქვენი ვალია ისეთი თვითორგანიზაცია მოახდინოთ, რომ ხალხმა იცოდეს, ხმა ვის — ანუ რომელ ერთ ბლოკს — მისცეს. ამ გაერთიანებული მოქმედების კონკრეტულ ფორმას (პროექტის სახით) მოგაწოდებთ „საქართველოს" შემდეგ ნომერში. ამჯერად გაახლებთ ეროვნული (და, მაშასადამე, პატიოსანი და დემოკრატიული) პარტიებისთვის მისაღებ საერთო პოზიციას რამდენიმე ძირითად საკითხზე. თუ შეგიძლიათ კამათი ამ თემაზე, ვიკამათოთ! თუ შეგიძლიათ შენიშვნა მოგვაწოდოთ, მოგვაწოდეთ! თუ არა, მაშინ დაეთანხმეთ მას და აღარ თქვათ, ჩვენს შორის სერიოზული პოლიტიკური განსხვავება არსებობსო!*

**საერთო პოზიციის ყველაზე მოკლე და მარტივი ფორმულირება შემდეგია:**

**1. არავითარი კაპიტულაცია აფხაზეთში;**
**2. არავითარი ახალი ავტონომიები (აჭარისა და აფხაზეთის გარდა) საქართველოში;**
**3. რუსეთის ბაზების გაყვანა;**
**4. საქართველოს გამოსვლა „ესენგედან".**

**ველით თქვენს აზრს და პრაქტიკულ ნაბიჯებს. გთავაზობთ სამოქმედო პროგრამის რამდენიმე პუნქტს ცოტა გაშლილი სახით.**

## ეკონომიკის გაჯანსაღება

**საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება მოხდება სამ ეტაპად.**

I ეტაპი

საქართველოს ქონების განიავების **შეჩერება.** ამისთვის

ა) ჩერდება საგარეო სესხების აღება ყველა სხვა ფორმით, გარდა ერთადერთისა: ეს ფორმაა გამჭვირვალე ანუ საჯარო ფორმა: წინასწარ ცხადდება ვისგან აიღება სესხი სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო გარანტიით, რას ჰხმარდება იგი, რა ვადებში და ვისი პასუხისმგებლობით. ეს საჯაროობა გრძელდება სესხის გახარჯვის და გადახდის მთელი დროის მანძილზე.

ბ) წყდება მსხვილ ობიექტთა პრივატიზება ყველა სხვა ფორმით გარდა ერთისა. ეს ფორმაა იგივე გამჭვირვალობა და საჯაროობა, რაც სესხთა აღების დროს. იგი ვრცელდება ტენდერებზეც და აუქციონებზეც. წინასწარ ქვეყნდება (წელიწადში ორჯერ) ობიექტთა პრივატიზაციის დასაბუთებული სტრატეგიული გეგმა. ქვეყნდება ოფიციალური ანგარიში მომხდარი დარღვევების და დამნაშავეთა მიმართ მიღებული ზომების შესახებ.

კანონმდებლობითი წესით დგინდება სახელმწიფოსგან გატაცებული დიდი ქონების კომპენსაცია დამნაშავეთა ქონების კონფისკაციის გზით (და მათ მიერ გასხვისებული ქონების კონფისკაციის გზით).

სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ოფიციალურად მიიჩნევა განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მოხელედ და მკვეთრად იცვლება მისი დანიშვნის წესი.

II ეტაპი (იგი იწყება პირველის პარალელურად)

საქართველოს შიგნით წარმოების სტიმულირება, ამისთვის

ა) იქმნება (შეძლებისდაგვარად) იაფი კრედიტის სისტემა წარმოების დასახმარებლად სოფლის მეურნეობასა და მრეწველობის დარგში. იქმნება (შეძლებისდაგვარად) წარმოებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მასალებით (საწვავი და სხვა) მომარაგების კონკურენტუნარიანი სისტემა, რომელიც მზადაა, რომ საჭიროების შემთხვევაში წარმოება დაიცვას მაფიური მონოპოლიების მოქმედებისაგან. ამ სისტემათა მოქმედება გამჭვირვალეა.

ბ) ძირფესვიანად იცვლება საგადასახადო კანონმდებლობა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების სტიმულირების მიმართულებით.

გ) შინაგან ბაზარზე საქართველოს მწარმოებელთა ხელშეწყობის მიზნით ტარდება ზომიერი პროტექციონისტული პოლიტიკა.

III ეტაპი. საქართველო ორიენტაციას იღებს მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (ღვინო, ხილი და ხილის კონსერვი) და მეცნიერებატევადი სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის განვითარებაზე, ამასთან ერთად — თავისი შინაგანი მოხმარების მაქსიმალურად დაკმაყოფილებაზე საკუთარი პროდუქციით. საქართველოსთვის არაა აუცილებელი, რომ იყოს ზეგანვითარებული მსოფლიოს სანედლეულო და სამომსახურეო დანამატი (როგორც ამას დღევანდელი ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობს). საქართველოს დაახლოება დასავლეთთან დაემყარება არა ეკონომიკური ნიველირების (დაქვემდებარების) კურსს, არამედ ფრთხილი და გონივრული სტრატეგიული თანამშრომლობის კურსს.

IV ეტაპი. ეკონომიკის გაჯანსაღების II ეტაპის განხორციელებისთანავე შესაძლებელი ხდება საბიუჯეტო ხარჯების გაღება სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული მიმართულებებით. ესენია

ა) თავდაცვა და უშიშროება

ბ) ჯანდაცვა, სოცდაცვა და განათლება

გ) ინვესტიციების პროგრამა (ინფრასტრუქტურის განვითარება)

დ) სახელმწიფოს ვალდებულებათა ძალიან ნელი მოხდა მოქალაქეთა წინაშე (მეანაბრეთა დაკმაყოფილების ჩათვლით, პროპორციული სისტემით, მრავალწლიანი პროგრამის ფორმით).

## „ესენგეში" ყოფნის შედეგები საქართველოსთვის და ამ ორგანიზაციიდან საქართველოს გამოსვლის მექანიზმი

I. „ესენგეში" საქართველოს ყოფნის შედეგად

— არსებობს საქართველოს მიმართ რუსეთის განსაკუთრებული დაინტერესების და საქართველოსთან დაკავშირებული პრობლემების დარეგულირებაში რუსეთის განსაკუთრებული მონაწილეობის ფორმალური საბაბი (რომელიც, რა თქმა უნდა, ყოველთვის შეიძლება იქნას გამოყენებული საქართველოს დამოუკიდებლობის საზარალოდ). კონკრეტულად: საქართველოს ემუქრება ჩათრევა „ესენგეს" სხვადასხვა „სივრცეებში", სამხედროს ჩათვლით, რაც ნიშნავს მონაწილეობას გარდაუვალ დიდ საერთაშორისო შეიარაღებულ შეტაკებებში, გარანტირებულად წაგებულის (რუსეთის) მხარეზე.

— „ესენგეში" საქართველოს ყოფნა განაპირობებს ზეგანვითარებული დასავლეთის მიერ საქართველოსადმი ეკონომიკური პოლიტიკის იმ სტანდარტის გამოყენებას, რომელიც შემუშავდა ჯერ სსრკ-სთვის, შემდეგ რუსეთისათვის. ეს პოლიტიკა არ გულისხმობს საწარმოო ძალათა განვითარების სტიმულირებას და, ამდენად, იგი საქართველოსთვის ნაკლოვანია. იგი არ შეიცვლება და ვერ შეიცვლება მანამდე, სანამ საქართველო „ესენგეშია".

II. „ესენგედან" საქართველოს გამოსვლის მექანიზმი მოიცავს

— პარლამენტის დადგენილებას 1994 წლის მარტის პარლამენტის დადგენილების („ესენგეს" წესდებასთან საქართველოს შეერთების) ბათილად ცნობის შესახებ (იგი მიღებულ იქნა ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუმცა ეხებოდა ორგანულ კანონს „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" და, ამდენად, საჭიროებდა ხმათა ორ მესამედს). ამ ფორმით საქართველო ასცდება „ესენგეს" წესდებით გათვალისწინებულ გრძელვადიან პროცედურას.

III. „ესენგედან" საქართველოს გამოსვლა პერსპექტივაში შეიცავს

— რუსეთთან და რუსულ ბიზნესთან ურთიერთსასარგებლო ეკონომიკურ ურთიერთობათა შეუზღუდავ განვითარებას, (აგრესიული პოლიტიკური მიზნებისათვის ეკონომიკურ ურთიერთობათა გამოყენების საშიშროების მოხსნის ან შემცირების წყალობით).

## საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის აუცილებლობა და მექანიზმი

I. ამ ბაზების არსებობა ხიფათს უქმნის

— საქართველოს საგარეო მშვიდობიანობას. საქართველოში რუსული შეიარაღებული ძალების ყოფნა აიძულებს (და საბაბს აძლევს) სხვა ქვეყნებს საქართველოსკენ შეტევაზე ორიენტირებული შეიარაღებული ნაწილები იყოლიონ ჩვენ საზღვრებთან და მიზანში ამოღებული ჰყავდეთ (სარაკეტო და საჰაერო დარტყმებისათვის) ჩვენი ტერიტორია.

— საქართველოდან სხვა ქვეყანაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ თავდასხმის განხორციელების შემთხვევაში საქართველო ჩაითვლება აგრესორად და დაზარალებულ ქვეყანას უფლება ეძლევა საქართველოს წინააღმდეგ ომის და მისი ოკუპაციისა.

— საქართველოს ტერიტორია რუსეთის მიერ გამოიყენება თავისი შინაგანი ომებისათვის (მაგ. ჩეჩნეთის დასაბომბად), რითაც იქმნება საფუძველი ქართველი ხალხის მიმართ და საქართველოს მიმართ რუსეთის ხალხთა მტრობისათვის (და მათი შემდგომი მონაწილეობისათვის საქართველოს წინააღმდეგ ომებში აფხაზეთში და სხვაგან).

— რუსეთის ბაზების სახით საქართველოში „სახურავის" ქონა საშუალებას აძლევს რუსეთის სპეცსამსახურებს (პირველ ყოვლისა — გრუ-ს) საქართველოში დაუსჯელად იყოლიოს ყოვლისშემძლე ორგანიზებული აგენტურა და არეგულიროს საქართველოს შინაგანი პროცესები, ხელოვნური დესტაბილიზაციის შექმნის ჩათვლით.

— ზურგში რუსეთის ბაზების ყოლის პირობებში საქართველოს არ შეუძლია წარმატებული პოლიციური მოქმედება სეპარატისტების წინააღმდეგ.

II. რუსეთის ბაზების გაყვანის მექანიზმი მოიცავს:

— საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 1 ივნისის დადგენილების ამოქმედებას საქართველოდან რუსეთის შეიარაღებულ ძალთა გაყვანის შესახებ

— ნოტას (ნოტებს) რუსეთისადმი მისი ბაზების გაყვანის შესახებ

— (რუსეთის უარის ან პროცესის შეყოვნების შემთხვევაში) გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მიმართვას (მიმართვებს).

— რუსეთის ბაზებს შორის მიმოსვლის რეგლამენტაციას და ამ მიმოსვლის თანდათან მკვეთრ შემცირებას (სრულ ბლოკირებამდე) პოლიციის გამოყენებით.

## საგარეო პოლიტიკისა და საქართველოს შინაგანი სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ძირითადი პრინციპები

საქართველოსათვის არსებული საშიშროებები და, შესაბამისად, მათგან საქართველოს დაცვის ამოცანები ამ დარგში ორგვარია: არის საქართველოს იურიდიული (სამართლებრივი) ინტერესების დაზარალების საშიშროება და საქართველოს ფაქტობრივი (სტრატეგიული, ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა) მდგომარეობის გაუარესების საშიშროება. შესაბამისად, საქართველოს თავისი ძირითადი სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის ორი ძირითადი მიმართულება აქვს, ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ სხვადასხვა (ურთიერთდამოუკიდებელი). ესენია: ა) საქართველოს სამართლებრივი ინტერესების დაცვა (ანუ: არავითარი იურიდიული უკანდახევა ან, მით უმეტეს, კაპიტულაცია). ეს ძირითადად პარლამენტის, პრეზიდენტის, საგარეო საქმეთა სამინისტროს ამოცანაა.

ბ) საქართველოს ფაქტობრივი ინტერესების დაცვა (ეკონომიკური, ტერიტორიული, სამხედრო, წესრიგდაცვით და სხვა სფეროებში) მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიის საყოველთაოდ ცნობილ მეთოდთა გამოყენებით (ეს, ამ ინსტანციების გარდა, ალმასრულებელი ხელისუფლების ყველა სხვა შტოს ამოცანაცაა).

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის მიმართულება ზემოთქმულის პირდაპირ საწინააღმდეგოა. მისი მიმართულებაა:

— ჯერ კატასტროფის ორგანიზება ფაქტობრივი მდგომარეობის სფეროში (მაგალითად: სოხუმის ჩაბარება მტრისათვის 1993 წელს, ცხინვალის გაწმენდის ოპერაციის ჩაშლა 1992 წელს, საქართველოს ეკონომიკის დანგრევა 1992-1999 წლებში და სხვა), ხოლო შემდეგ

— უკვე არსებული კატასტროფის საბაბით იურიდიული დათმობის (უკან დახევის, კაპიტულაციის, ...) განხორციელება (მაგალითად: აფხაზეთში რუსეთის „სამშვიდობო" ძალების მიყვანა, „ესენგეში" შესვლა და არძინბას ხროვის აღიარება მოლაპარაკებათა „მხარედ"; ოსი სეპარატისტების აღიარება „ოსურ მხარედ" და უკანონო „სამხრეთ ოსეთის" ფაქტობრივ არსებობაზე სამართლებრივი რეაგირების არმიცემა; დანგრეული ქართული ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ობიექტთა გაყიდვა არარეალისტურ დაბალ ფასებად).

საქართველოს სამართლებრივ ინტერესთა აბსოლუტურად შეუვალი (უკანდაუხეველი) დაცვა არსებული მძიმე მდგომარეობის ფონზე საქართველოს ერთგული ხელისუფლების (ანუ ეროვნული და, მაშასადამე, დემოკრატიული ხელისუფლების) პირველი ამოცანაა (და, ამავე დროს, საქართველოს დასავლელ მეგობართა უყოყმანო რეკომენდაციაა).

## პოლიტიკა ცხინვალის ზონაში

I. ცხინვალის ზონაში „ოსეთად" წოდებული ტერიტორიულ-პოლიტიკური. ერთეულის (მით უმეტეს — „რესპუბლიკის") შექმნის დაკანონება დაუშვებელია. ეს იქნება ორი „ოსეთის" არსებობის ცნობა და, მაშასადამე, მსოფლიოს წინაშე მათი „გაერთიანების" ამოცანის დაყენება. საქართველოს შეუძლია (და იგი ვალდებულია) მასზე ზეწოლა ამ მიმართულებით („ოსეთი" დააკანონეთო) მოიგერიოს შემდეგი ორი ძირითადი არგუმენტით:

1. არ არსებობს მსოფლიოში მიღებული (უფლებადაცვითი) ნორმა, რომელიც ამბობდეს, რომ ეროვნულ უმცირესობას მიეცეს ტერიტორიული ავტონომია იმის გამო, რომ მან ამა თუ იმ ზონაში მოსახლეობის უმრავლესობა შეადგინა. არ შეიძლება საქართველოს მიუყენო ისეთი ნორმა, რომელიც არაა ოფიციალურად დაფიქსირებული, როგორც საყოველთაო, ანუ მთელი მსოფლიოსთვის (ან: ამა თუ იმ კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის) სავალდებულო ნორმა.

2. ასეთი ნორმა ვერ იარსებებს (ვერ დაკანონდება) იმიტომ, რომ მისი შემოღებით მთელ მსოფლიოში გაჩნდებოდა ეთნიკური წმენდის (ე. ი. გენოციდის) პოტენციური კერები. სახელდობრ, ეთნიკური ჯგუფები (უმცირესობები და უმრავლესობები) დაინტერესებულნი გახდებოდნენ სხვა (მოპირისპირე) ჯგუფთა დემოგრაფიული წინსვლის (გამრავლების) აღკვეთაში, რადგან დემოგრაფიული წინსვლა ტერიტორიული სტატუსის შეცვლის სამართლებრივ საფუძვლად იქნებოდა აღიარებული.

თქმულიდან გამომდინარე, 1922 წელს ოკუპანტი ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შექმნილი „სამხრეთ ოსეთის" გაუქმება საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ (11.XII 1990) საბოლოოა და შეუქცევადი. ეს არის საქართველოს შინაგანი საქმე, რომელიც ვერ გახდება საერთაშორისო ურთიერთობათა საგანი.

II. ცხინვალის ზონის ოსური მოსახლეობის (60 ათასი სული), ისევე როგორც მთელი საქართველოს ოსი მოსახლეობის (ყველა ერთად — 160 ათასი სული) ინტერესების დაცვა და მისი ორგანული მონაწილეობა საქართველოს ერთიან ცხოვრებაში მიიღწევა ორი გზით

ა) ოსი ეროვნების ყველა მოქალაქის პირადი უფლებების დაცვით, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებით და დემოკრატიის ყველა სხვა მექანიზმთა განვითარებით, რაც საქართველოს ყველა მოქალაქისთვის საერთო ინტერესია და საერთო პრობლემაა (და არა ოსებისთვის სპეციფიკური პრობლემა).

ბ) საქართველოს ოსი მოსახლეობისათვის, ისევე როგორც ყველა სხვა ეროვნული ჯგუფისათვის, ფუნქციური ავტონომიის (ანუ არატერიტორიული ავტონომიის) შეუზღუდავი განვითარებით. ფუნქციურ ავტონომიაში შედის, როგორც მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, კულტურული ავტონომია (დედაენაზე სწავლა, კულტურული ინიციატივების თავისუფლება და სხვა), აგრეთვე ეკონომიკური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სხვა სახის თვითორგანიზაციის ნებისმიერი ფორმები ნებისმიერი კანონშესაბამისი მიზნის მისაღწევად. ამგვარი (ფუნქციური) ავტონომია მოიცავს ყველა ეროვნულ ჯგუფს (და არა მხოლოდ კომპაქტურად მაცხოვრებელ ადგილობრივ უმრავლესობებს), იგი უსაფრთხოა სახელმწიფოსთვის და პერსპექტიულია მსოფლიოსთვის.

III. დღეს არსებული უკანონო სეპარატისტული „ხელისუფლების" და შეიარაღებული ბანდების უვნებელყოფის პირველი და აუცილებელი პირობებია

ა) რუსეთის „სამშვიდობო" მისიაზე უარის თქმა და ცხინვალის ზონიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანა

ბ) აბსოლუტურად ხისტი (ურყევი) პოზიცია საკითხის სამართლებრივი მხარის მიმართ (არავითარი იურიდიული დათმობა სეპარატისტებისადმი და მათი საერთაშორისო დამცველებისადმი).

## აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა

საქართველოს ეროვნული და, მაშასადამე, დემოკრატიული ხელისუფლება ვალდებულია და მას შეუძლია (არსებული ხელისუფლება კი ვალდებულია, მაგრამ არ შეუძლია და არც სურვილი აქვს) აფხაზეთის პრობლემა გადაჭრას შემდეგი ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

1. აფხაზეთი არ არის აფსუების ეთნიკური ტერიტორია. იგი ქართველი ერის ეთნიკური ტერიტორიაა, რომელზედაც, უკვე მრავალი საუკუნეა, ქართველ ტომებთან ერთად აფსუებიც ცხოვრობენ. ეს ისტორიული მეცნიერებისთვის ცნობილია. ეროვნული თვითდასახელება „აფსუა" არ არის იგივე სიტყვა, რაც „აფხაზი" და, ამგვარად, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმის სათქმელად, რომ აფხაზეთი აფსუების ქვეყანაა, ქართველებისა და საქართველოს მიერ დაკავებული. შესაბამისად, არ არსებობს არავითარი ანალოგია ქართულ-აფსუურ ურთიერთობებსა და რუსულ-ჩეჩნურ ურთიერთობებს შორის. საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია ეს მდგომარეობა ოფიციალურად გააცნოს მსოფლიოს (რაც ე. წ. „საპროპაგანდო ომის" სანახევროდ მოგებას ნიშნავს) და თავისი ოფიციალური პოლიტიკა ამ მეცნიერულად დასაბუთებული პოზიციის თანახმად წარმართოს.

2. აფხაზეთის ტერიტორიაზე სამართლიანია და აუცილებელია, რომ ხდებოდეს როგორც ქართველი ხალხის, ისე აფსუა ხალხის (რაც უნდა მცირე იყოს იგი) სრული თვითრეალიზაცია მყარ საკანონმდებლო ფორმულირებათა შესაბამისად. აფხაზეთის, როგორც პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულის, მიზანთა ოფიციალური განსაზღვრა შეიცავს ამ პუნქტს, ისევე როგორც საქართველოს მთლიანი სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის ოფიციალურ აღიარებას ამ ტერიტორიაზე საწარმოებელი პოლიტიკის ამოსავალ მიზნად. ამ ტერიტორიაზე მთლიანად და მის კონკრეტულ ცალკეულ რეგიონებში კერძოდ ქართველი და აფსუა მოსახლეობის ეთნიკური (ეროვნული) ინტერესების გარანტიას ცალსახად დააფორმულირებს კანონი. აფხაზეთის, როგორც მთლიანის, მიმართება დანარჩენ საქართველოსთან განისაზღვრება სახელმწიფოს საერთო ინტერესების მიხედვით და აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესების თანასწორად გათვალისწინების პრინციპის მიხედვით.

აფხაზეთის ტერიტორიის სახელმწიფოებრივი მოწყობისა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან აფხაზეთის ხელისუფლების კომპეტენციათა გამიჯვნის ზემოხსენებულ განსაზღვრას უნდა ჰქონდეს არა ე. წ. „აფხაზურ მხარესთან", საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკებებზე წარსადგენი პროექტის სახე, არამედ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ერთპიროვნული გადაწყვეტილების სახე. მისი ტექსტი მრავალჯერ და დეტალურად უნდა იყოს შეჯერებული ყველა არსებულ უფლებადაცვით ნორმებთან (როგორც უკვე კოდიფიცირებულთან, ისე ჯერ „დაუწერელთან") და იგი განხილული უნდა იყოს მრავალ კონსულტაციაში მსოფლიოს აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებთან. საქართველოს ხელისუფლების ფიზიკური მოქმედება აფხაზეთში მისი იურისდიქციის აღდგენის მიმართულებით უნდა იყოს ამ უკვე ცნობილი გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების ღონისძიება.

3. აფხაზეთის პრობლემის გადაჭრაში ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია აფხაზეთიდან ლტოლვილი მოსახლეობის ინტერესთა რეალიზაციის აუცილებლობა და ამ მოსახლეობის ადამიანური პოტენციალი. შესაბამისად, ხელისუფლების ამოცანაა

ა) ამ მოსახლეობის სოციალური დაცვა შინ დაბრუნებამდე

ბ) ამ მოსახლეობის ქმედუნარიანობის დაცვა და ამაღლება

გ) ამ მოსახლეობის ჯანსაღი სულისკვეთების დაცვა.

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ

ა) აფხაზეთის პრობლემის ფინანსირება უნდა ხდებოდეს იმ მაქსიმალური ხარისხით, რაც სახელმწიფოს შეუძლია

ბ) სახსრები უნდა მიდიოდეს, შეძლებისდაგვარად, პრობლემასთან (და არა უშუალოდ დაზარალებულ მოსახლეობასთან), ხოლო დაზარალებული მოსახლეობა მაქსიმალურად უნდა იყოს ჩაბმული ამ პრობლემისთვის განკუთვნილ საქმიანობაში (სამხედრო წვრთნა, სტრატეგიული გზების მშენებლობა და სხვა) და ძირითად თანხას უნდა იღებდეს ხელფასის სახით, და არა მიზერული დახმარების სახით, როგორც ახლაა. (დახმარების სახით იგი უნდა გაიცემოდეს მხოლოდ იმათზე, ვინც ზემოხსენებულ პროცესებში ვერ დასაქმდა).

4. აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია, პოლიტიკურ ნაბიჯების პარალელურად, ან ძალით, ან ძალის არსებობის ფონზე.

5. საქართველოს ეკონომიკური გამოჯანსაღების პირველი საფეხურიდანვე (იხ. ზემოთ) იწყება შეიარაღებული ძალის შექმნა.

6. საქართველოს მდგომარეობა აფხაზეთში საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენამდე ითვლება არაორდინარულ (განსაკუთრებულ) მდგომარეობად და სახელმწიფოს უკლებლივ ყველა ამოცანა იდეოლოგიურად განსაზღვრულია როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ამოცანისადმი დაქვემდებარებული ამოცანები.

## სტრატეგიული ორიენტირების შერჩევა

1. საქართველოსთვის ოპტიმალური სამხედრო-სტრატეგიული ორიენტაციაა ნეიტრალიტეტი, სახელდობრ, აქტიური ნეიტრალიტეტი (ანუ აქტიური მოქმედება მეზობელ ქვეყნებსა და გლობალურ ძალებს შორის ძალის უსაფრთხო ბალანსის დამყარებისა, შენარჩუნებისა და საურთიერთო კონტროლის მიზნით). ნეიტრალიტეტის დამოუკიდებლად ვერდაცვის და, მაშასადამე, ბლოკირების აუცილებლობის შემთხვევაში საქართველოსთვის დასაშვებია ბლოკირება მხოლოდ ზეგანვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოების ალიანსთან (ნატო).

2. საქართველოს ყოველგვარი მიმხრობა ამა თუ იმ სამხედრო ძალისადმი შესაძლებელია მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრულ და წინასწარვე სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებით (ორმხრივით ან მრავალმხრივით) დაფიქსირებული ფორმით.

3. მეზობელი (ძლიერი) ქვეყნების (რუსეთი, თურქეთი, სპარსეთი) ინტერესების გათვალისწინება და ანგარიშგაწევა საქართველოს მიერ თავისი სტრატეგიული კავშირების განსაზღვრის პროცესში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საქართველოს მიმართ ამ ქვეყნების მხრიდან ტერიტორიული შევიწროების, შინაგან საქმეებში ჩარევის ან აგრესიის სხვა ფორმებით ზეწოლის გამომრიცხავი იურიდიული და ფაქტობრივი გარანტიები განჭვრეტადი ისტორიული მომავლის ფარგლებში.

*25.VII.99 წ.*

# ყველა გზა საქართველოს პრეზიდენტთან მიდის

*მესამე გვერდიდან*

დემიკოსობის დამადასტურებელი დიპლომი. რაც შეეხება ფრაზას, თითქოს მე ქვეყანას მოვდე და ვიძახე, მთავარი გვარმცოდნე ვარო, სისულელე და მტკნარი სიცრუეა. ხალხმა თავად იცის ვინ ვინ არის. ერთი კია, ბატონმა თამაზ ლომსაძემ დაასახელოს მეორე ქართველი ონომასტიკოსი (მკვლევარი), რომელსაც 12000 გვარის ისტორია ჰქონდეს გამოკვლეულ-შესწავლილ-გამოქვეყნებული.

დავუბრუნდეთ ჩემს სტატიას, რომელიც გაზეთ „საქართველოდან" გაზეთ „სვეტში" გადაიბეჭდა.

ედ. შევარდნაძე საკუთარი სურვილით ჩამოვიდა საქართველოში და მიჩოჩდა პრეზიდენტის სკამამდე. იგი არავის არ ჩამოუყვანია და არც კალთები დაუხევიათ. ზოგიერთი გვარები (რომლებსაც დღეს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი წყევლა-კრულვით მოიხსენიებს მისი ჩამოყვანაში გაწეული სამსახურისათვის) იყო ფარი, რომლებმაც ჩახერგილი გზა გაუწმინდეს, შემდგომში კი, მისი ჩვეული წესის თანახმად უმრავლესობა გვერდიდან ჩამოიცილა. მე ადრე დავწერე, მიუხედავად იმისა, რომ უკმაყოფილო ვიყავი მისი პარტიის ცეკას პირველი მდივნობით, რომელმაც პარტიულ მშენებლობაში ბევრ სიგლახეს დაუდო სათავე, მაინც დავუჭირე მხარი. ოჯახურ კრებაზე (6 კაცის მონაწილეობით) აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ხათრი არ გამიტეხეს და ედ. შევარდნაძის მხარდამჭერთა რიგებში ჩავდექი. ეს მხოლოდ მე ვიცი, რის ფასად დამიჯდა. ბევრი მეგობარი ჩამომცილდა, ბევრმა კი ალმაცერად დამიწყო ცქერა. რატომ სწყინს ბატონ თამაზ ლომსაძეს, როცა ვწერ, რომ მე, როგორც ერისა და ქვეყნის პატრიოტმა კაცმა, ქართველმა მამულიშვილმა (ეს რომ ასეა, ამას ჩემი გაბედული სიმართლის თქმაც და ნაკეთებ-ნალვაწი საქმეებიც ადასტურებს) პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის იმედი დავკარგე და არ მივიჩნევ ჩემს ხელმძღვანელად. ეს სიტყვები ძლიერ აშმაგებს მედროვე ახალგაზრდას და პრეზიდენტის ნაცვლად აცხადებს: **"...ой, что творится! По всей Грузии следует обьявить траур и ждать, когда господин Ахуашвили сойзволит помириться с президентом".** იცით, რას გეტყვით, ბატონო თამაზ! თქვენი გაზეთისათვის და თვით პრეზიდენტისათვისაც კაპიკია თვით ჩემნაირი ადამიანების ფასი. ჩვენ ვცხოვრობთ ხელისუფლების ხელში, რომელიც ავტორიტარულ-ვოლუნტარისტული მმართველობისაკენ იხრება და ატარებს შენიღბული დემოკრატიისა და დიქტატურის ნიშნებს. „ფორმით — ლიბერალურ-დემოკრატიულს, შინაარსით — ანარქიულ-დიქტატორულს. ასეთია საქართველოს ხელისუფლების თანამედროვე სახე". (იხ. იგორ კვესელავა, საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტაციის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1999, გვ. 32). ქვეყანაში, სადაც პირველი პირიდან დაწყებული, თქვენი გაზეთით დამთავრებული, არავინ უწყის, სად გაშპა მილიარდები, 98, 132, 102 მილიონი დოლარი და ა.შ., რომელ ადამიანურ ფასეულობებზეა საუბარი? ერთი კია, რომ წინდახედული ადამიანები იმედს არ კარგავენ, სჯერათ, რომ ახლო მომავალში მათ ეზოშიც შეაბიჯებს გაზაფხული და ისტორია ყველას თავის წილს მიუზღავს, ისტორიაში არაფერი იკარგება. ეს მუქარა როდია, იგი ხვალინდელი დღეა. როგორც კი პრეზიდენტსა და მასთან დროებით ანგარებით შეყუყულთ მოენგრევათ ბუდე, მაშინათვე დედა შვილს რომ ვერ აიყვანს, ისეთი ამბების მოწმენი გავხდებით. ყველა დამნაშავე და კორუმპირებული ჩამოშაქრავს საიდან რამდენი მოიპარა, სადა აქვს შენახული და ვისთან ერთად „აყაჩაღებდა" საქართველოს მშვიდობიან მოსახლეობას. „აღდგომა და ხვალეო". მოდით, დამნაშავეთათვის მოსალოდნელი ტრაგიკომიზმით აღსავსე დღეები დროებით გვერდით გადავდოთ და დაწყებული თემის თხრობა განვაგრძოთ.

ბოლო ხანებში მასმედიის ფურცლებიდან არ გადადის მასონობისა (მასონიზმის) და კოსმოპოლიტიზმის საკითხები. იწერება და იკითხება, საქართველოს მართავს არა პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ შევარდნაძე, არამედ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომ ომისშემდგომი ამერიკული ალენდალესისეული დოქტრინით გათვალისწინებული პროგრამის რეალიზება საქართველოში, ამერიკის ემისარ მოხამედ ალავიმ აღასრულა. ხელთ შეგვრჩა გეოგრაფიული ტერმინი „საქართველო", გაყიდული უძრავ-მოძრავი ქონებით, ძალით წართმეული აფხაზეთითა და სამაჩაბლოთი. რომ თვით საქართველოს პრეზიდენტი და მისი „აქტივი" გადამთიელები არიან და სწორედ ამის გამოა, რომ წაგვართვეს მამის სახელი, წაგვართვეს ეროვნება, შური იძიეს თვით ცნებაზეც კი — ქართველი ერი. რუსული და ქართული მასმედიის თანახმად, ედ. შევარდნაძე წინაპრებით და დედით ებრაელია. რუსულმა ჟურნალ-გაზეთებმა ყურები გამოუჭედა ხალხს, წერენ და სვამენ კითხვას, ვინაა წარმომავლობით ედ. შევარდნაძე, მართლა ებრაელია თუ?!... არაფერი ულირს და სხვათა შორის, მოვალეცაა ქვეყნის სათავეში მდგომი კაცი გამოეხმაუროს, თქვას სიმართლე და გაანელოს მოქალაქეთა ესოდენ ცხოველი ცნობისმოყვარეობა. ხალხი იმასაც ამბობს, რომ ესეც უცხოური ძალებიდან მოდის, როცა მან არაქართველთა გუნდი შექმნა და მათი ხელით ანგრევს საქართველოს. იქნებ დადგა დრო იმისა, რომ ცოტა ხნის წინათ გაზეთ „თვალთაიში" დაბეჭდილ წერილს გამოეხმაუროს ზურაბ ჟვანია, ირ. სარიშვილი-ჭანტურია, მიხეილ სააკაშვილი, კობა იმედაშვილი და ა.შ. კიდევ ბევ გვარშეცვლილზეა საუბარი ამასწინათ გაზეთ „თვალთაიში" გამოქვეყნებულ ხსენებულ წერილში.

ვილაცა ხეპრე, პირდაუბანელი და ჭაში მჯდომი თანამემამულე გიხირდება და ნიშნის მოგებით გეუბნება, „მერე რა, რომ მავანი და მავანი, მათ შორის პრეზიდენტი, არაა ქართველიო". რეგვენი ქართველი თავისი ჭკუით, რომელშიც ბელურაც კი ვერ დაისველებს ასოს, ხაზს უსვამს და ბრალად გდებს ნაციონალისტობას, თავად ინტერნაციონალიზმის გადასახედიდან გიპირისპირდება. ინტერეროვნული მაშინაა კარგი, როცა არ ობლდება საკუთარი, მშობლიური, მამა-პაპური, „ჯერ თავო და თავო და მერმე ცოლო და შვილოო"-თი იკვებება.

ქვეყანა სწორი გზით რომ მიდიოდეს, აღმშენებლობას ჰქონოდა ადგილი, უახლესი თუ არა შორეული პერსპექტივა მაინც რომ ჩანდეს, წარმოიდგინეთ, სადაურობა-წარმომავლობის საკითხი არც დადგებოდა. ამას ემატება ის უნიათობა, რომელიც სახეზეა და რომელსაც თავს ვერ ართმევს პრეზიდენტი და მისგან ცივნიავმიუკარებელი მოქალაქეთა კავშირი. პრეზიდენტს მზე და მთვარე მოქალაქეთა კავშირზე ამოსდის, ხალხს კი (დიდ უმრავლესობას) იგი არ დაენახვება, კარგა ხანია იგი „მოღალატეთა კავშირად" მოინათლა.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე მარტო კოდორის კი არა, ბევრ საკითხებში ვერ ერკვევა. ყველაზე დიდი მინუსი კი ისაა, რომ იგი მლიქვნელებზე, მედროვეებსა და ხშირად შემთხვევით ადამიანებზე აგებს თავის პოლიტიკას. ყველაზე მთავარი და დამღუპველი, როგორც პირადად მისთვის, ისე ქვეყნისათვის, ისაა, რომ ვერ იტანს ცინცხალ გონებას, ხალხის წიაღიდან დროთა ვითარებაში გამოსულ, ლიდერის თვისებებით გამორჩეულ ადამიანს. აქ ჩვენ მისი ნამოქმედარით ადამიანებს ჭრილობებს აღარ გავუხსნით და არც მას დავუმძიმებთ საქმეს, ისე კი სულ უახლესი მოვლენებიდან ყურადღებას გავამახვილებ შემდეგ მომენტებზე. საქართველოში „კოკა-კოლას" გაღმერთების დღიდან მოყოლებული, მაგინებელი ბევრი ჰყავს, მადლიერი კი ცოტა. პრესის მიხედვით, „კოკა-კოლას" მილიონები აქვს აღებული სესხად და სახელმწიფო გადასახადების ცუდი გადამხდელია. ამბობენ, „კოკა-კოლას" იმისათვის აფარებენ ხელს, რომ ამჯერადაც „მოქალაქეთა კავშირი" მისგან ელის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასო. აღნიშნული ჭორია თუ მართალი, ვერ გეტყვით, მაგრამ რაღაცა ძაღლის თავი ღრმად რომაა ჩამარხული, ეს უდავოა. ბატონი პრეზიდენტი „კოკა-კოლას" ბუზს არ უფრენს, აქეთ კი თოფაძეს გადაეკიდა. 16 ივლისს ფირმა „ყაზბეგის" პრეზიდენტ გოგი თოფაძის სახელით ვაკის სასამართლოში სარჩელი შეიტანა მეწარმეთა მოძრაობის "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" წევრმა, ფირმა „სამების" პრეზიდენტმა, ზურაბ ტყემალაძემ. სარჩელი შეტანილია საგადასახადო დეპარტამენტის წინააღმდეგ, რომელმაც ფირმა „ყაზბეგს" ყადაღა დაადო. ტყემალაძე აცხადებს, რომ ყადაღის დადების უფლება მხოლოდ სასამართლო კომპეტენციაში შედის. გოგი თოფაძე აცხადებს, რომ მისი შევიწროება საეჭვოდ დაემთხვა, პოლიტიკური მოძრაობის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ჩამოყალიბებას, ხელისუფლებას კი, მხოლოდ დღეს გაახსენდა, რომ თოფაძეს საგადასახადო ინსპექციის 2 მლნ ვალი აქვს.

ედ. შევარდნაძემ ჩვეული ილეთი გამოიყენა და თავის ერთ-ერთ საორშაბათო ბრიფინგზე განაცხადა: „თოფაძემ თავისი პარტიის ჩამოყალიბების შესახებ თავიდანვე მკითხა. მე, რა თქმა უნდა, მივესალმე მის წინადადებას. მაგრამ, თუ მას მართლაც ამდენი ვალი აქვს საგადასახადოსი, ამის პატიება არ შეიძლება. ასეთი მრეწველი, საინტერესოა, როგორ აპირებს საქართველოს გადარჩენას", ჩვეულებისამებრ პრეზიდენტმა ეს სიტყვები იქედნურად წარმოსთქვა და როგორც მარგალიტები, „სიბრძნის ყულაბაში შეინახა". ბატონ პრეზიდენტს ვუსვამთ კონტრშეკითხვას, ქვეყანას, რომელსაც უგუნური პოლიტიკის გამოისობით 3,5 მილიარდზე მეტი ვალი აქვს (ქვეყნის გარეთ და შიგნით), რა პირით ეუბნება თანამემამულეებს, — „აი, კიდევ ერთხელ გვენდეთ, აგვირჩიეთ და 4-5 წელიწადში ოქროებში გაცხოვრებთო".

ყველა ხედავს, თუ როგორ ძალაობს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი, ბატონი ბაკურ გულუა. თუ როგორი სავალალო მდგომარეობაა სოფლად, ეს ყველამ იცის. ჩავარდნებთან ერთად, მას გადაცდომებსა და კორუფციაშიც ადანაშაულებენ, ასეთი კაცი კი პრეზიდენტმა, ჯერ იყო თანხმობის დარბაზის უფროსად დასვა, ამჟამად რეფორმატორთა კავშირიც შეაქმნევინა. პრეზიდენტის ბაგედან ქებისა და სახოტბო სიტყვების მეტი არაფერი ისმის. აკადემიკოსი არჩილ კერესელიძე ბრძანებდა: „ბატონი ბაკური თურმე სპეციალობით მშენებელი ინჟინერი ყოფილა და მიკვირს პირდაპირ, როგორ იკისრა სოფლის მეურნეობის ამ ურთულესი ცოცხალი სამყაროს მართვა, მშენებელმა ინჟინერმა, რომელსაც ელემენტარული ცოდნაც კი არა აქვს მიღებული სოფლის მეურნეობის, პირდაპირ რომ იტყვიან, უთვალავ და ურთულეს დისციპლინებზე. სოფლის მეურნეობის გამოჩენილი სწავლულები ხომ დაჟინებით მოითხოვდნენ, სოფლის მეურნეობის ყველა დისციპლინების ჩაბმას კვლევებში ცოდნის მისაღებად, რომ შემდეგ კარგად ემართათ სოფლის მეურნეობა. სხვათა შორის, ასეთი კურიოზი არსად გაგვიგონია, რომ სოფლის მეურნეობას არასპეციალისტი მართავდეს და ისიც მშენებელი ინჟინერი".

აქ, ჩვენს სინამდვილეში მსგავსი კურიოზები ერთეული როდია. ეს უბრალოდ ბატონ ედუარდ შევარდნაძის ხელწერაა. თანამდებობებზე შემთხვევითი ადამიანების დანიშვნისათვის მან შექმნა „ერთგულ" დამჯერთა უმრავლესობა „მოქალაქეთა კავშირის" სახით და მათ გვერდით ამოუყენა სატელიტური პარტიები, ე.წ. დუბლები. ერთ-ერთი ასეთი დუბლის სახე საბოლოოდ გამჟღავნდა ბოლოსწინა საპარლამენტო სესიაზე, სადაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ შეტანილ 7%-იანი ბარიერის საკითხს იხილავდნენ. ალბათ, ბევრმა იხილა, თუ როგორ ჩაეხუტნენ ერთმანეთს (გამარჯვების შემდეგ) უმრავლესობისა და ედპ-ს წევრები. ესეც ხელწერაა. ხშირად ცნობილ მიზეზთა გამო, პრეზიდენტი ველარ ხსნის დანიშნულ პირს და ამ შემთხვევაში მის წინააღმდეგ უერთგულეს პირებს მიუშვებს ხოლმე. ამის კლასიკური მაგალითია ედპ-ს მიერ ბაკურ გულუას საწინააღმდეგოდ გახსნილი ცეცხლი, რომელმაც კულმინაციას მიაღწია და აჭარის „ბაბუს" ხასიათის კაცის (რომლის წინაშეც ყველა უნებლიედ თავს იხრის, მონიწებით და სასოებით) წინააღმდეგ, რატომ კარგი აგიგიაო. რაც უფრო ვუახლოვდებით არჩევნებს და იზრდება „აჭარის ლომის" იმიჯი, ცენტრიდან მატულობს დაწოლა, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ აღორძინების პროცესმა არ მოიცვას საქართველო, თავად აჭარის ლიდერს კი დაუკარგონ აღმშენებლობისა და განახლების პათოსი. საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ აღიარებულ აჭარის თავკაცს, პოლიტიკოსს, დახვეწილი გემოვნების მქონე ესთეტს, შესანიშნავ მეოჯახეს, მამას და ბაბუას, ნაცვლად იმისა, რომ მხარში ამოუდგნენ, საქმით შეეხიდონ, მისგან მტრის ხატის შექმნას ცდილობენ და ყოველდღიურად ახალ-ახალ ცილისწამებისათვის იმეტებენ. ბატონი პრეზიდენტი სიტყვით ამბობს სათქმელს, აღიარებს, რომ აჭარის გამო მღელვარების საფუძველი არ არსებობს, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენ თვითონ აქ, ცენტრში, რაიმე არ მოვიმოქმედეთო. ამ ნათქვამის იქით საქმე აღარ მიდის. ჯერ არ გამიგონია, რომ პარლამენტიდან მართლაც და მიხოების, შალიკოებისა და გეურქებისათვის ეთქვას, — წინ ზიხართ, უკან დაჯექითო.

წინამდებარე წერილში მხოლოდ ზღვიდან ერთი წვეთის აღნიშვნა შევძელით. თამაშისა და დაბალანსირების პოლიტიკა დამღუპველი რომაა, ამის მაგალითად საქართველო გვიდევს წინ. აღელვების ნიადაგზე ბატონ ვახტანგ რჩეულიშვილის მიერ „მოქალაქეთა კავშირის" მისამართით ნათქვამი ჭეშმარიტება „მოქალაქეებო მოღალატეები ხართ, ქვეყანა დაღუპეთო", მე 14 თვის წინათ ვთქვი სატელევიზიო გადაცემაში, თამრიკო ცაგარეიშვილის „რეტროპერსპექტივა" რომ ჰქვია. მიკვირს და გამკვირვებია, ტელევიზიის პირველმა არხმა, რომელმაც თითქმის მთლიანად ამოშიგნა ჩემი ნათქვამი, როგორ დატოვა სიტყვები: „დიახაც, საჭიროა, რათა ხალხმა გაითვითცნობიეროს, რომ მოქალაქეთა კავშირმა დაღუპა საქართველო".

... ეს ისეთი აქსიომაა, რომელსაც მტკიცება აღარ ესაჭიროება.

***იაკობ ახუაშვილი***
*საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*

## მკითხველის საყურადღებოდ!

გაზ. „საქართველოს" 27 ივლისის პუბლიკაციას სიგარეტის იმპორტთან დაკავშირებით მოჰყვა არა ერთი მკითხველის, მათ შორის შესაბამისი სამსახურის დაინტერესება განხილული საკითხით. საჭიროა განმარტება საქართველოს სახალხო ფრონტის პოზიციისა ამგვარი პუბლიკაციების მიმართ. იგი შემდეგია:

ის, რომ საქართველოს ეკონომიკას სახელისუფლებო სტრუქტურებთან შეზრდილი მაფიები ღრღნიან, სამწუხაროდ, ჩვენი მხრიდან ეჭვს არ იწვევს. ეს, სამწუხაროდ, უდავო ფაქტია. ყოველი დოკუმენტი, ცნობა, მინიშნება თუ სხვა სახის ინფორმაცია გამოქვეყნებულ უნდა იქნას, ვინაიდან მუდამ არსებობს იმის მაღალი ალბათობა, რომ ამ მონაცემის არმონაწილეობა შესაბამისი სფეროს მაკონტროლებელ ინსტანციათა საქმიანობის პროცესში ისევ და ისევ მაფიების ზემოქმედების შედეგია.

ამ პუბლიკაციათა შემდგომი გამოყენება, მათი წონისა და მნიშვნელოვნობის განსაზღვრის ჩათვლით, სათანადო ორგანოთა ამოცანაა.

გაზეთის კურსი სწორად მიმაჩნია და იგი გაგრძელდება.

***ნ. ნათაძე***

# გიორგი მთაწმინდელი და XXI საუკუნის ბავშვები

დღევანდელ საქართველოში პარტიებით, ორგანიზაციებით და ფონდებით ვერავის გააკვირვებ. არც მათი საქმიანობაა, ასე თუ ისე, დაფარული. ზოგი ეროვნულ საქმეს აკეთებს, ზოგიც — თავის საქმეს იკეთებს, ზოგი ხალხისათვის ზრუნავს, ზოგიც — საკუთარი თავისთვის. ამ „პარტიობაორგანიზაციობანაში" ჩვენი ყურადღება მიიქცია ფონდმა, რომლის პროგრამის გაცნობის შემდეგაც დავრწმუნდით, რომ მას შეუძლია აკეთოს ნამდვილად კეთილშობილური, ეროვნული საქმე.

ამ ბოლო წლებში თბილისის ქუჩებში მათხოვარი ბავშვი რომ გამოჩნდა, ქვეყნის დიდი უბედურების და ტრაგიზმის მაჩვენებელი იყო. დღეს, მათხოვარი და მაწანწალა ბავშვების საკითხი მთელი ქვეყნის სატკივარია. ქართული ხასიათიდან გამომდინარე, არასოდეს ყოფილა ჩვენში ხელგამოწვდილი, დახმარების მთხოვნელი ბავშვები. სოფელში თუ იყო ვინმე გაჭირვებული და უდედმამო, მასზე თვითონ სოფელი ზრუნავდა და პატრონობდა, კარდაკარ სიარული არ სჭირდებოდა. არც ქალაქად იყო ყოველ ნაბიჯზე „დამეხმარეთ, დამეხმარეთ" — გულისშემძვრელი ძახილი.

„ქუჩის კარიერის გენერლებისთვის" ცალკე დეპარტამენტია შექმნილი და ის ზრუნავს მათზე (როგორ ზრუნავს, ქუჩებს ეტყობა), მაგრამ არის სხვა კატეგორია ბავშვებისა, რომელსაც განსხვავებული მიდგომა და ყურადღება სჭირდებათ.

ჩვენში 80 წელზე მეტია არსებობს ბავშვთა სახლები, სადაც იზრდებიან და სწავლობენ 18 წლამდე ე.ი. სანამ ზრდასრული პიროვნებები არ გახდებიან, შემდგომ კი მათი ბედი, ხშირ შემთხვევაში, გაურკვეველია. ადრე, როცა ფაბრიკა-ქარხნები მუშაობდა, ხდებოდა მათი დასაქმება, ახლა კი...

სწორედ ასეთ მოზარდთა ბედის გადაწყვეტაზე ფიქრობს ფონდი „მრეველი". მათ შეიმუშავეს პროგრამა, რომელსაც ანალოგია არ მოეპოვება და ძირითადად ქართულ, ეროვნულ მენტალიტეტზეა აგებული. სწორედ ამიტომაც არის ეს პროგრამა საინტერესო. უცხოური კანონების პირდაპირ, „გადმოქართულებას", ხშირ შემთხვევაში, სასარგებლო შედეგები არ მოაქვს. პროგრამას, პროექტს თუ კანონს, რაც უფრო ღრმა ფესვები აქვს ქართული, მით უფრო ამართლებს (არ ვართ წინააღმდეგი ევროპული სამართლის და კანონების, მაგრამ ქართულ ხასიათს უნდა მორგება, რადგან არც ისე ევროპელები ვართ, სადღაც, გულის კუნჭულში აზიური ცეცხლი მაინც გვაქვს).

ფონდ „მრევლის" პროგრამა ითვალისწინებს მზრუნველობასმოკლებულ ბავშვთა სრულფასოვან კომლად ჩამოყალიბებას. კომპაქტურად დასახლებულ სოფელში იქმნება საადაპტაციო ცენტრი „ნერგები", სადაც ბავშვს ოჯახურ ატმოსფეროში ცხოვრების, ცნობიერების ამაღლების, ცოდნის გამოცდილების, ხელობის დაუფლების შესაძლებლობა მიეცემა. ერთი წლის შემდგომ კი ფსიქოლოგიურად მომზადებული, ახალ ცხოვრებას ფონდის მიერ მისთვის სოფლად შეძენილ სახლში — „ახალ ოჯახში" დაიწყებს.

საქართველოს პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა ახალ იდეას და შესაბამის სამინისტროებს მისი განხორციელებისათვის კონკრეტული წინადადებების მომზადება დაავალა. იდეა ყველამ მოიწონა, მაგრამ, როგორც ამ პროექტის ავტორი, მარინა კოშაძე გულისტკივილით აღნიშნავს, არავითარი ფინანსური დახმარება არ ყოფილა არც ერთი ორგანიზაციისაგან თუ სამინისტროსაგან. ეს მით უფრო გულსატკენია, როცა ასეთი ბავშვი (მზრუნველობას მოკლებული, რომელიც ბავშვთა სახლში ცხოვრობს და შეგნებული ცხოვრებისათვის მზადაა) სულ სამოცია. თან მათი სოფლებში ჩასახლებისათვის დიდი თანხებიც არაა საჭირო.



„ჩვენ დახმარებისათვის მივმართეთ სხვადასხვა ორგანიზაციებს — მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობას, „ჯეოსელის" გენერალურ დირექტორს, საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, რომლებმაც სახსრების უქონლობის გამო დახმარება ვერ გაგვიწიეს, მაგრამ შეგვპირდნენ, როგორც კი მოგვეცემა ამის შესაძლებლობა, დაგეხმარებითო" — აღნიშნა ქალბატონმა მარინამ.

მიუხედავად ამისა, ფონდი ფარხმალს არ ყრის და რკინის ქალამნებჩაცმული დადის რაიონიდან რაიონში, სოფლიდან—სოფელში, რომ როგორმე დადებით შედეგს მიაღწიოს. პირველი მათი გამარჯვება იყო ცაგერის რაიონში 13 წლის ბავშვის ჩასახლება, რომელსაც ერთმა ოჯახმა სახლ-კარი ნაკვეთიანად გადასცა და მეურვეობას უწევს. ეს ბავშვი დღეს თავს ბედნიერად გრძნობს და კმაყოფილია პირობებით.

ფონდი ძირითადად შემოწირულობებზეა. პირველი, ვინც დახმარება გაუწია „მრევლს", საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი დანიელი და საქენერგოს გენერალური დირექტორი, ემზარ ჩაჩხიანი იყვნენ.

ქველმოქმედება და გაჭირვებულისათვის ხელის გაწვდება ქართველ მოღვაწეებს ყოველთვის ახასიათებდათ. თუნდაც ილია ჭავჭავაძის, სარაჯიშვილის, ხოშტარიას გახსენებაც კმარა. დღევანდელ პოლიტიკურ მოღვაწეებს თუ ბიზნესმენებს არ აწყენდათ თავიანთი წინაპრებისათვის მიებაძათ და ქველმოქმედებით ახალგაზრდებისათვის დახმარება გაეწიათ.

...

და ერთიც —

XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელმა ათონის მთაზე 80 უპატრონო ბავშვი წაიყვანა ქართლიდან.

XXI საუკუნის დამდეგს კი, 60 ბავშვისთვის თავშესაფრის მიცემა გვიჭირს.

***ამრიტა ჯანაშია***

თვალსაზრისი

# ყველაზე დიდი სირცხვილი საქართველოსი

ცნობილმა მწერალმა და ისტორიკოსმა, ბატონმა ლევან სანიკიძემ ამ რამდენიმე წლის წინათ გამოსცა წიგნი „ქართველთა 309 სირცხვილი“, რომელშიაც აღწერილია ის საბედისწერო ნაბიჯები, რაც ათასეული წლების მანძილზე ქართველობას გადაუდგამს შინაურ ცხოვრებაში და რომელნიც შეიძლება მოინათლონ, როგორც „სირცხვილი“, თუმც ასეთი „სირცხვილები“ არც სხვა ერებისთვისაა უცხო.

მეოცე საუკუნეში, აგერ ჩვენს თვალწინ, კიდევ ბევრი სამარცხვინო და სასირცხვილო ქმედება ჩავიდინეთ, რომელთაც, უბრალოდ რომ ვთქვათ, უნდა ჩაგვაფიქრონ მაინც, თუკი საწუთროს გზა-სავალზე შემდგომი არსებობა გვინდა.

ყველა იმ სასირცხვილო საქმეებიდან, რაც კი ოდესმე ქართველობას ჩაუდენია, ყველაზე საბედისწეროდ და სამარცხვინოდ მიგვაჩნია ოთხგზისი დარბევა-აწიოკება სამეგრელოსი, თანაც „გმირული ლაშქრულით“ — „ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდაო“.

კუთხეებს, სამეფო-სამთავროებს შორის ურთიერთმტრობა, შუღლი, ერთმანეთის დარბევა, როგორ არ ყოფილა, მაგრამ მათ იცოდნენ, რომ ორივე მხარე ქართული იყო, ქართველები ებრძოდნენ ერთმანეთს.

ავიღოთ თუნდაც ავადსახსენებელი ბაზალეთის ომი. ორივე მხარემ იცოდა, რომ ქართველი იყო და ქართველს ებრძოდა. მართალია, არც ეს გახლავთ დიდი შელავათი, მაგრამ, იმასთან შედარებით, რაც სამეგრელოში ხდებოდა, მაინც „პროგრესულია“.

ყველაზე დიდი ტრაგედია ისაა, რომ ეს გზაკვალაბნეული „მეომრები“ ისე იქცეოდნენ და მღეროდნენ, როგორც მტრის ქვეყანაში.

გაუცხოება ამაზე შორს ვერ წავა.

ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ ამ საბედისწერო და შორსმიმავალმა ფაქტმა ქართველობა სათანადოდ არც კი შეაშფოთა და თითქმის მიივიწყა კიდევაც.

რამდენადაც მახსენდება, მხოლოდ ბატონი გიორგი გაჩეჩილაძე რამდენჯერმე შეეხო ამ ფაქტს და თითქმის ამით დამთავრდა ყველაფერი; მაგრამ ბატონ მურმან ლებანიძის ავადსახსენებელმა ლექსმა კვლავ განაახლა მოუშუშებელი ჭრილობები და კარგი იქნება, თუ ახლა მაინც გამოვიტანთ სწორ დასკვნებს.

არადა, ყველაფერი ეს ხომ იმპერიული ძალების მიერ კარგად მოფიქრებული ნაბიჯებია, ე.წ. საქართველოს იმპერიის დაშლისა. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმპერიული ძალების წყალობით ჩვენს შეგნებასა და შემეცნებაში უკვე ლამის მკვიდრად მოიკიდა ფეხი მტრის მიერ შემოგდებულმა ტერმინებმა — „საქართველო და აფხაზეთი“, „საქართველო და სამხრეთ ოსეთი“. ახლა დღის წესრიგშია მორიგი — „საქართველო და აჭარა“, „საქართველო და ჯავახეთი“...

ნურც ის გაგვაკვირვებს, თუ უახლოეს ხანში სრულიად ახალი ნაღმი „საქართველო და სვანეთი“ შემოაგდონ; კოდორის ხეობაში მომხდარი, რაღაც ამის მომასწავებელია.

ამიტომ, ფრთხილად, ჩემო საქართველოვ! როცა მტერი შეძლებს ჩვენს შემეცნებაში, გამოთქმაში, გაგებაში დაამკვიდროს — „საქართველო და სამეგრელო“, ჩათვალე, რომ ეს დასასრულის დასაწყისი კი არა, უკვე დასასრული იქნება.

აი, ამიტომ მიმაჩნია იგი, არა მარტო ყველაზე დიდ სირცხვილად, არამედ ყველაზე დიდ საბედისწერო შეცდომადაც.

დღეს საკვირველი აღარაფერი არაა, ქართველობას ეროვნება წაართვეს, ამით მთელი ისტორიული წარსული წაართვეს და ხალხს ჯერ კიდევ ვერ გაუცნობიერებია ამ ნაბიჯის ვერაგობა და შორს გამიზნულობა; თუ ერთეულებს არ ჩავთვლით, ხმა არავინ აიმაღლა და ასე აგრძელებს არსებობას უკვე ეროვნებადაკარგული ქართველობა.

რასაკვირველია, თუ ზემოთნახსენებ, შემოგდებულ თუ შემოსაგდებ, ტერმინებსაც ჯეროვნად არავინ მიაქციოს ყურადღება და უმტკივნეულოდ დაამკვიდრონ ცნობიერებაში.

მერე უკვე ყველაფერი გვიან იქნება?



ჩვენი ყველაზე დიდი ბედნიერებაა ის, რომ ქართველობა ესაა ღვთაებრივი სამების — ქართების, სვანებისა და ზანების (მეგრელ-ჭანების) ერთება.

ეს ერთება და ერთიანობა ძალიან ბევრ საიდუმლოს ინახავს, რომელთა ამოხსნა და გაცხადება ასე აშინებდა და აშინებს იმპერიულ ძალებსა თუ ყველა ჯურის შინაურ და გარეულ ქართველთ მოძულეს.

ამ ღვთაებრივი სამების ერთების ეროვნული თვითშეგნება უხსოვარ დროსაა წარმოშობილი.

ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა, რომ ჩვენს მეცნიერებს (ვგულისხმობ ქართველოლოგებს), რომელნიც ეროვნული სულისა და იდეოლოგიის მესაჭეებს უნდა წარმოადგენდნენ, მცირე გამონაკლისის გარდა, იმპერიული ძალების ზეგავლენის წყალობით, აშინებდათ და დღესაც აშინებთ ქართველი ერის ისტორიული ფესვებისაკენ მიხედვა, აშინებთ სვანურისაკენ მიხედვა, აშინებთ ზანურისაკენ მიხედვა; არადა, ყველაფერი ეს ხომ ჩვენი ამოუწურავი სიმდიდრეა.

პირდაპირ საოცარია — ერთის მხრივ, უმდიდრესი ქართული ცივილიზაცია და კულტურა: მსოფლიო ენა (მარის სიტყვებია) და ამ ენაზე 16 საუკუნოვანი ბრწყინვალე ლიტერატურა; ისტორიულად დადასტურებული 25 საუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა; ბერძნულ წყაროებში და არქეოლოგიურ მასალებში შემონახული დიდებული კოლხური კულტურა; ადრესამიწათმოქმედო „მტკვარ-არაქსის“, თრიალეთის, კოლხეთის ბრწყინვალე არქეოლოგიური კულტურები; იდუმალი კავშირები შუმერებთან, ეგვიპტელებთან, ხათებთან, ურარტუელებთან, ეტრუსკებთან, პირინეის იბერებთან, კრეტა-მიკენის კულტურასთან და ა.შ.

მეორეს მხრივ — ქართველოლოგთა ერთი ნაწილის ნიჰილიზმი ყოველივე ამისადმი, რაც საშუალებას აძლევს ქართველთმოძულეებს გააყალბონ ჩვენი ისტორია და შექმნან ბუნებაში არარსებული, ქართულისაგან განსხვავებული „აფხაზეთის ისტორია“, ამტკიცონ აფსუების, ადიღეელების, ოსების აბორიგენობა საქართველოში, მიითვისონ სამხრეთისა და „ოსმალეთის საქართველოს“ (ილიას ტერმინია) ისტორია და კულტურა (ტერიტორიებზე აღარას ვამბობ).

ამ ასპექტით მინდა შევეხო ცნობილი მეცნიერის, ბატონ ალექსანდრე ონიანის წერილს „პური მეპურემ უნდა აცხოს“ („ლიტ. საქ., 5-12 თებერვალი, 1999), რომლითაც ბატონი ალექსანდრე რატომღაც უყოყმანოდ დგება ანტიქართველების ბანაკში (ვგულისხმობ საკითხებისადმი მიდგომას და სტილს).

ჩვენში ძალიან დაბალია კამათის კულტურა, ხშირად იგი ოპონენტის ლანძღვა-გინებაში გადაიზრდება ხოლმე. ჩვენ შორს ვართ ასეთი პოლემიკისაგან, მაგრამ მადლობას მოვახსენებთ რა ავტორს ჩვენს სტატიაზე გამოხმაურებისათვის, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთ მომენტს შევეხოთ, რადგან მათ უშუალო კავშირი აქვთ წინამდებარე წერილის თემასთან.

სანამ ბატონ ალ. ონიანის წერილს შევეხებოდეთ, მინდა ერთი შედარება შევთავაზო მკითხველს, ქართველ მეცნიერთა იმ ნიჰილიზმის დასადასტურებლად, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ და ვაჩვენოთ, თუ რა მაღლა დგას მეზობელი ხალხების მეცნიერთა პატრიოტიზმი ქართველ მეცნიერებასთან შედარებით, თუკი ბევრს ასეთი რამ გააჩნია.

საქმე ეხება ქართველი და სომეხი ხალხების ერებად ჩამოყალიბების საკითხს.

მიუხედავად ყოველივესი, ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, ქართველი ხალხი ერად ჩამოყალიბებულა ახ. წ. მე-10 საუკუნეში; ხოლო სომეხი აკადემიკოსის ს. ერემიანის მიხედვით, სომხები, რომელნიც ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში შემოდიან ამიერკავკასიაში და ურარტუს ადგილს იჭერენ და რომელნიც ისტორიაში პირველად ძვ. წ. VI ს-ში იხსენიებიან, ერად ჩამოყალიბდნენ ძვ. წ. IV საუკუნეში.

პატივცემულო მკითხველო! თავი დავანებოთ ამ მიმართულებით ისტორიის განხილვა-განჩხრეკას და ერთმანეთს შევადაროთ ქართველ და სომეხ მეცნიერთა მეცნიერული პატრიოტიზმის დონეები, რაც ცასა და დედამიწასავით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან; ამიტომაა, რომ სომეხი მეცნიერნი მსოფლიოში ყოველ ნაბიჯზე ცდილობენ, რაღაც შემატონ თავიანთი ხალხის კულტურას და ისტორიას, რასაც ქართველებს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. სხვა საკითხია, რა ეკუთვნით სინამდვილეში და რა არა.

ახლა მივუბრუნდეთ ბატონ ალ. ონიანის წერილს. ბატონი ალ. ონიანი განიხილავს ბ. თავაძის, ც. და მ. ძაძამიების, ზ. ქაფიანიძის, თ. მიბჩუანის შრომებსა და მოსაზრებებს.

წერილის ავტორი ბ. თავაძეს, ც. და მ. ძაძამიებს, ზ. ქაფიანიძეს არამეპურეებად თვლის, რადგან ისტორიკოსის დიპლომები არ გააჩნიათ, მაგრამ რა დააშავა ცნობილმა ისტორიკოსმა ბატონმა თეიმურაზ მიბჩუანმა, რომელიც მიუხედავად მისი დოქტორობისა, არამეპურეთა კოჰორტაში მოჰყვა.

აქედან ჩანს, რომ აქ საქმე მარტო მეპურეობასა და არამეპურეობაზე არაა, ამიტომ მე ავტორებს დავყოფ დიპლომიან და უდიპლომო „მეპურეებად“ და, რადგან მეცნიერთა დიპლომიანობა ამა თუ იმ დარგში, ამ ბოლო საუკუნეებშია შემოღებული, ამიტომ ბატონ ალ. ონიანს შევახსენებ, რომ ვახუშტი ბატონიშვილს, ჟამთააღმწერელს, ლეონტი მროველს და სხვებს დიპლომები არ ჰქონიათ; იგივე ითქმის, ალბათ, ჰეროდოტეზედაც (გთხოვთ კარგად გამიგოთ).

იმას კი არ უნდა ვკითხულობდეთ, თუ ვის რა სპეციალობის დიპლომი აქვს, არამედ რა რაციონალური მარცვლები მოიპოვება მის ნააზრევსა და ნაკვლევში. თორემ, თუ ასე მივუდგებით, მაშინ უარი უნდა ვთქვათ შლიმანის აღმოჩენებზე, რადგან იგი ისტორიკოს-არქეოლოგი არ ყოფილა; უარი უნდა გვეთქვა ბიოლოგიური მეცნიერებების ისეთ მძლავრ დარგზე, როგორიცაა მიკრობიოლოგია, რადგან მის სათავესთან დგას ჰოლანდიელი სასამართლოს დარაჯი ანტონ ვან ლევენჰუკი. უარი უნდა ვთქვათ თვითნასწავლი გენიალური ინგლისელი ფიზიკოსისა და ქიმიკოსის ფარადეის აღმოჩენებზე, რომლის სპეციალობა წიგნით ვაჭრობა იყო და ა.შ. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ახლა თავს ნებას მივცემ შევახსენო ბატონ ალექსანდრეს ცნობილი დიპლომიანი მეპურეების მიერ გამომცხვარი კუტი პურები, რომელთაც შეაფერხეს, გზას ააცდინეს, დაზაფრეს ქართველოლოგია და რომელნიც დღესაც აფერხებენ მის განვითარებას, მათს უარყოფით და დამღუპველ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ისეთმა დიდმა დიპლომიანმა და დახელოვნებულმა მეპურემ, როგორიც იყო აკად. არნოლდ ჩიქობავა, გამოაცხო საშინელი კუტი პური — სვანურის ნარევობის, ორბუნებოვნების შესახებ, რომელშიც თურმე საკუთრივ სვანური თითქმის არაფერია, და რომელიც ასე საფუძვლიანად, თუმცა დაგვიანებით გააბათილა თავად ბატონმა ალ. ონიანმა (საკითხის ისტორიისათვის იხ. ალ. ონიანი „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები“, 1999).

იმავე აკად. არნოლდ ჩიქობავამ და აკად. სიმონ ჯანაშიამ გამოაცხვეს ასევე საშინელი კუტი პური დასავლეთ საქართველოში და ყვა კომპლექსებიანი სახელების ადიღეურობის შესახებ. ამ კუტმა პურმა და მისმა კომპლექსებმა იმდენად დააკომპლექსა ქართველოლოგია, რომ დღესაც ვერ დაუღწევია მას თავი და ამით შესანიშნავად სარგებლობენ აფსუები და მათი დამქაშები.

ქართველ მეცნიერთა ერთმა ნაწილმა გამოაცხო ასევე საშინელი კუტი პური — თითქოს ოდესღაც დასავლეთ საქართველოში მკვიდრობდნენ აფხაზურ-ადიღეური (უნდა იყოს აფსუურ-ადიღეური) ტომები. ამ მცდარ თეორიას დღესაც საკმაო გასავალი აქვს ქართველოლოგიაში, მიუხედავად უამრავი საწინააღმდეგო არგუმენტებისა.

დიპლომიანი მეპურეები, ბატონები: ნ. ლომოური, ე. ხოშტარია-ბროსე და სხვები დღესაც თავგამოდებით იცავენ ყალბ, უსაფუძვლო, ცრუმეცნიერულ დებულებას ქართველებისა და აფსუების ორაბორიგენობის შესახებ დასავლეთ საქართველოში, რომელსაც არავითარი საბუთები არ მოეპოვება, გარდა ამ მკვლევართა ტენდენციური ახირებისა.

ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ ე.წ. დახელოვნებული, დიპლომიანი მეპურეები, არც თუ იშვიათად როგორ კუტ პურებს აცხობენ და რამდენად საჭიროა არა თუ უდიპლომო მეპურეებმა, არამედ ცხობის საერთოდ არმცოდნეებმაც კი ხანდახან შეიხედონ ხოლმე საცხობში. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება მშობლიური ერის ისტორიას, რომელსაც ასე ხალისიანად აყალბებენ ხოლმე შინაურნი თუ გარეულნი.

ახლა ორიოდე სიტყვა ჩვენი იმ ნაშრომის შესახებ, რომელსაც ბატონი ალ. ონიანი ეხება, ეს გახლავთ 1993 წელს დაწერილი და 1998 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „ქართული ცივილიზაციის სამი გამოცანა და რამდენიმე მოსაზრება ქართველური ფუძე-ენის დაშლის შესახებ“ („სალიტ. გაზეთი“, №3, 1998).

საკითხის დაწვრილებით განხილვა შორს წაგვიყვანს, ამიტომ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მრავალრიცხოვანი ქართველოლოგიური ლიტერატურის გაანალიზების შედეგად გავაკეთეთ ზოგიერთი რამით ორიგინალური (ბევრისთვის უცნაური) შემდეგი დასკვნები:

1) ქართველური ტომები ძვ. წ. IV ათასწლეულში ცხოვრობენ დიდ ტერიტორიაზე — მცირე აზიიდან კავკასიონამდე და თუ ლეონტი მროველს დავეყრდნობით, მდ. ყუბანამდეც კი.

2) ქართველური ტომების ფუძე-ენას წარმოადგენს სვანური.

3) IV ათასწლეულის შუა პერიოდში ქართველური ფუძე-ენიდან — სვანურიდან ხდება ქართული დიალექტის გამოყოფა, მცირე აზიაში.

*გაგრძელება მე-9 გვ.*

# წავიდა ჩვენგან, მაგრამ იგი ისევ ჩვენთან რჩება

ვინ იფიქრებდა, ამ ძლიერ პიროვნებას რაიმე მოერეოდა. მაგრამ, დახეთ ბედისწერას, უეცრად მოესწრაფა სიცოცხლე, მოულოდნელი, ტკივილიანი მწუხარება მოგვაყენა მის ახლობლებს, მეგობრებს, კოლეგებს და მთელ ქართველ ხალხს, საქართველოში მცხოვრებ ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს, ვინც კი იცნობდა ელგუჯა მაღრაძეს, როგორც მწერალს, მთარგმნელს, ჟურნალისტს, საზოგადო მოღვაწეს, ნამდვილ ქართველ ვაჟკაცს.

მის შემოქმედებაზე ბევრს არ ვიტყვი. ვინც ელგუჯა მაღრაძეს იცნობდა, მის შემოქმედებასაც კარგად იცნობს. მე მას უფრო კარგად ვიცნობ გამომცემლობა „საქართველოში“ მუშაობის დროიდან. ვინაიდან იგი ძირფესვიანად იცნობდა გამომცემლობის მუშაობას, დირექტორობის დროსაც ჩინებულადართმევდა თავს ჩვენს პირობებში საგამომცემლო საქმის სირთულეებს, მისი მუშაობის პერიოდში გამომცემლობა წარმატებით ასრულებდა საგამომცემლო გეგმებს, მის დროს გამოვიდა საუკეთესო წიგნები, რომელთა უმრავლესობამ საერთაშორისო გამოფენებზე ღირსეული ჯილდო დაიმსახურა. მთელი მისი მოღვაწეობა მწერლობასა და საგამომცემლო საქმიანობაში დაუცხრომელი ჭიდილისა და შემოქმედებითი ძიების მკვეთრი ნიშნით არის აღბეჭდილი და, საერთოდ, იშვიათია ადამიანი, ასე ორგანულად რომ შეახამა და ერთობლიობაში წარმოგვიდგინა მწერლობა და საგამომცემლო საქმე.

სიამოვნებით მოვიხსენიებთ გამომცემლობის მუშაკები იმ დროს, როდესაც მისი ხელმძღვანელობით, მის საგამომცემლო საქმიანობის ტვირთს ვინაწილებდით და მისი გულის სითბოთი ვთბებოდით, კარგად ვიცით, რამდენი სიკეთე უთესია, რამდენი ამაგი აქვს გამომცემლობისა და პოლიგრაფიის სასიკეთოდ. იგი ხომ საქართველოს გამსახკომის თავმჯდომარეც იყო. მის ბობოქარ და ალალმართალ ხასიათში იკვეთებოდა მისი მთავარი თვისება საქმის, კოლექტივის, ქართული წიგნის სიყვარული და ერთგულება. მისი თბილი, ბუბუნა, მაგრამ ამავე დროს მშვიდი ხმა ყოველთვის გვხიბლავდა ყველას, გვხიბლავდა მისი გარეგნობა, ახოვანი, პირმშვენიერი, მქუხარე, მაგრამ ამავე დროს გულჩვილი, ხანდახან ბავშვივით მიამიტი, იგი ხომ მტკივნეულად განიცდიდა თითოეული თანამშრომლის გასაჭირს, იცოდა, ვის რა უჭირდა, ვის რა ულხინდა, ყველას შემცოდე და ხელგამმართველი იყო. ზოგჯერ, რომელიმე მუშაკის გასაჭირზე რომ დავუწყებდით საუბარს, თვალები დაენამებოდა და უმალ იტყოდა: კარგი, ყველაფერი გასაგებია და შეეცდებოდა ყოველმხრივ დახმარებოდა მას. იგი ამავე დროს პრინციპული და მომთხოვნი იყო. ვერ იტანდა დისციპლინის ოდნავ დარღვევასაც კი. არ ყოფილა შემთხვევა, სამსახურში ერთი წუთითაც კი დაეგვიანებინოს.

გამომცემლობის მუშაკები ვამაყობდით იმით, რომ ჩვენი თავკაცი, მეცნიერი და მწერალი დიდი ხანია გაიცნო და შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. ღრმად გვწამს, რომ მისი შემოქმედება ძვირფას განძად დარჩება მის წიგნებში, იმ დიდებულ საგანძურში, რომელსაც ჩვენი ხალხის სულიერი კულტურა ჰქვია.

ვიცით, უდროოდ სიკვდილით რამდენი მიზანი ვერ განახორციელა, რამდენ ჩანაფიქრს ვერ შეასხა ხორცი, მაგრამ სიცოცხლეს ისევ განაგრძობს. მისი უკვდავი ხელი, კაცურკაცობა, საქმიანობა, შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები. წავიდა ჩვენგან, მაგრამ იგი ისევ ჩვენთან რჩება...

მწერალთა კავშირი იყო მისი საბოლოო სადგური, სადაც დასრულდა მისი, როგორც გამოჩენილი მწერლის, მთარგმნელის, მეცნიერის, მოღვაწის სამსახურებრივი გზა.

ჩვენო საყვარელო ელგუჯა, იძინე მშვიდად, გწამდეს, გჯეროდეს, იცოდე, რომ მადლიერი ქართველი მკითხველი შეინახავს შენი შემოქმედების მდიდარ საუნჯეს, როგორც ინახავს უკვდავი წინაპრების ნაფიქრნააზრევს და გადასცემს თაობიდან თაობას, რომ შენი ცხოვრება და შემოქმედება სამომავლოდ დარჩება ხელთუქმნელ ძეგლად ნიჭიერების, შრომის, შეუპოვარი ბრძოლის, ერთგულებისა და კაცურკაცობის.

*ალექსანდრა აროშელიძე*
*გამომცემლობა „საქართველოს“ ყოფილი რედაქტორი, ამჟამად რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.*

# ისნოზ მეზობელს, ჩასაწვდომისარ დიისმბას მისას?!

## წერილი 3. CFE ხელშეკრულება და თურქეთის შეიარაღებული ძალების განლაგება

როგორც ცნობილია, ცივი ომის ათწლეულებში ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ქვეყნებს ნატოს წევრ სახელმწიფოებთან შედარებით ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებში მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნდათ. მაგალითად, 1988 წლის მონაცემებით ნატოს ჰყავდა 23700 საბრძოლო ტანკი, რომელთაგან 6200 შეერთებულ შტატებს ეკუთვნოდა; ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას კი — 56000 საბრძოლო ტანკი, რომელთაგან 41000 იყო საბჭოთა. დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე განლაგებული იყო 4 ამერიკული დივიზია, ხოლო ამის საპირისპიროდ აღმოსავლეთ გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთსა და პოლონეთში იდგა 30-ზე მეტი საბჭოთა დივიზია.

ამიტომ ჰელსინკის პროცესის ფარგლებში უკვე 80-იანი წლების შუა ხანებში დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა წამოაყენეს წინადადებები შეიარაღებაზე კონტროლის სფეროში, რაც მიზნად ისახავდა მათ ქვეყნებზე პირდაპირი სამხედრო მუქარის შემცირებას. ამის შედეგად 1990 წლის 19 ნოემბერს პარიზში ხელი მოაწერეს ევროპაში (ატლანტიკიდან ურალამდე) ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებას ( Ireati on Conventional Forces in Europe - CFE), რომლის თანახმადაც ნატოს ბლოკსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას თითოეულს შეიძლება ჰყოლოდა არაუმეტეს 20000 საბრძოლო ტანკის, 30000 დაჯავშნული საბრძოლო მანქანის, 100 მმ და მეტი ყალიბის 20000 საველე საარტილერიო სისტემის, 2000 დამრტყმელი (მოიერიშე) ვერტმფრენის და 6800 საბრძოლო თვითმფრინავისა.

გარდა ამისა, ნატოს სამხრეთ ფლანგო სახელმწიფოების — ნორვეგიისა და თურქეთის დაჟინებული მოთხოვნით, ჩრდილოეთ და სამხრეთ ფლანგებზე საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა სახელმწიფოთა (ბულგარეთისა და რუმინეთის) ჩვეულებრივი შეიარაღების დიდი უპირატესობის ამოსაბუფერებლად და დაპირისპირებულ მხარეთა ძალების გათანაბრებისათვის, CFE ხელშეკრულების V მუხლით ორივე საფლანგო რაიონში თითოეული სამხედრო ბლოკისათვის რეგულარულ ჯარებში განისაზღვრა არაუმეტეს 4700 საბრძოლო ტანკის, 5900 დაჯავშნული საბრძოლო მანქანის და 6000 საველე საარტილერიო სისტემისა. ნატოს მხრიდან საფლანგო რაიონებში შევიდნენ ნორვეგია, ისლანდია, საბერძნეთი და თურქეთის უმეტესი ნაწილი, ხოლო ვარშავის ხელშეკრულების მხრიდან ბულგარეთი, რუმინეთი და საბჭოთა კავშირის ლენინგრადის, ოდესის, ჩრდილოკავკასიისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქების ტერიტორიები.

შეიარაღების ზემოთ განხილული საფლანგო კვოტებიდან თურქეთს მისი ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელიც შედის CFE ხელშეკრულების მოქმედების ზონაში, განესაზღვრა შემდეგი მაქსიმალური დონეები: 2888 საბრძოლო ტანკი, 1554 დაჯავშნული საბრძოლო მანქანა, 3202 საველე საარტილერიო სისტემა და 589 საბრძოლო თვითმფრინავი (სადაზვერვოების ჩათვლით). აღნიშნული ხელშეკრულების პირობით გათვალისწინებულია მონაწილე სახელმწიფოების მიერ ყოველი წლის დასაწყისში CFE ზონაში განლაგებული საკუთარი ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის ვენაში მიწოდება (ნოტიფიკაციის დოკუმენტები) და შემდეგ სპეციალური საინსპექციო ჯგუფების მიერ ამ ინფორმაციის შემოწმება (ვერიფიკაცია). ამავე დროს ვენიდან ეს მასალები ეგზავნება ყველა მონაწილე სახელმწიფოს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს.

თურქეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს მიერ 1998 წლის დასაწყისში ავსტრიის დედაქალაქში წარდგენილი სანოტიფიკაციო დოკუმენტებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ქვეყნის ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელიც შედის CFE ხელშეკრულების მოქმედების ზონაში, განლაგებულია სახმელეთო ჯარების 1-ლი და მე-4 „ეგეოსის“ საველე არმიები და მე-3 საველე არმიის უმეტესი ნაწილი (მე-8 კორპუსის გამოკლებით).

თურქეთის სახმელეთო ჯარებისა და საჰაერო ძალების CFE ზონაში განლაგების დაწვრილებითი რუკა მოცემულია ნახ. 1-ზე. ეს რუკა შედგენილია ზემოთ აღნიშნული თურქული სანოტიფიკაციო დოკუმენტების საფუძველზე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგების დახმარებით, რისთვისაც მათ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო.

როგორც აღნიშნული რუკიდან ჩანს, თურქეთის სახმელეთო ჯარების ყველაზე უფრო მსხვილ ოპერატიულ გაერთიანებას წარმოადგენს 1-ლი საველე არმია (შტაბი ქ. სტამბულში). მის საბრძოლო შემადგენლობაში შედიან მე-2 (გელიდობუ), მე-3 (სტამბული), მე-5 (ჩორლუ) და მე-15 (ქოჯაელი) საარმიო კორპუსები. არმიის სარდლობისა და კორპუსების დაქვემდებარებაში შედიან ერთი მექანიზებული ქვეითი დივიზია, 8 ჯავშანსატანკო ბრიგადა, 5 მექანიზებული ქვეითი ბრიგადა და 3 ქვეითი ბრიგადა. 1998 წლის დასაწყისში შემადგენლობის 150422 ადამიანი, 1558 საბრძოლო ტანკი, 1427 დაჯავშნული საბრძოლო მანქანა, 1086 საველე საარტილერიო სისტემა, 30 საბრძოლო უზრუნველყოფის ვერტმფრენი.

ამის შემდეგ სიძლიერით მოდის მე-3 საველე არმია, რომლის განლაგების რაიონი მოიცავს აღმოსავლეთ ანატოლიას და უშუალოდ ესაზღვრება საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს. ამ არმიის სარდლობისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული საჯარისო ერთეულები და მე-9 კორპუსის შენაერთები და ნაწილები განლაგებულია CFE ზონაში და მათზე დაწვრილებითი ინფორმაცია გაგვაჩნია, ხოლო მე-8 საარმიო კორპუსის შტაბი და მისადმი დაქვემდებარებული ბრიგადები განლაგებულია CFE ზონის გარეთ და მისი შემადგენლობა ჩვენთვის უცნობია. ახლა განვიხილოთ აღნიშნული ზონის ფარგლებში განლაგებული მე-3 საველე არმიის მონაცემები.

მე-3 არმიის შტაბი მდებარეობს ქ. ერზინჯანში, მე-9 კორპუსისა — ქ. არზრუმში, ხოლო მე-8 კორპუსის — ქ. ელიაზიგში. ამათგან მე-9 საარმიო კორპუსის ჯარები დისლოცირებული არიან უშუალოდ ამიერკავკასიის სახელმწიფოთა მახლობლობაში, ხოლო არმიის სარდლობისადმი დაქვემდებარებული ნაწილები და ქვედანაყოფები მათ ზურგში ერთგვარ რეზერვს ქმნიან. აღნიშნული არმიის საბრძოლო შემადგენლობაში ნაჩვენებია ერთი ქვეითი დივიზია (სატანკო პოლკით), ერთი ჯავშანსატანკო ბრიგადა, 6 მექანიზებული ქვეითი ბრიგადა და 2 ქვეითი ბრიგადა. 1998 წლის დასაწყისში მასში ითვლებოდა პირადი შემადგენლობის 86828 ადამიანი, 540 საბრძოლო ტანკი, 626 დაჯავშნული საბრძოლო მანქანა, 638 საველე საარტილერიო სისტემა, 3 სატანკო ხიდგამყვანი, 10 დამრტყმელი (მოიერიშე) ვერტმფრენი და 32 საბრძოლო უზრუნველყოფის ვერტმფრენი.

მე-4 „ეგეოსის“ არმია (შტაბი ქ. იზმირში) საბერძნეთის წინააღმდეგაა განლაგებული და კვიპროსზე შესაძლო მოქმედებებისათვის განკუთვნილი. მას ძირითადად სასწავლო დანიშნულება გააჩნია და თავის შემადგენლობაში საბრძოლო ერთეულებიდან სულ ორი ქვეითი და ერთი საზღვაო ქვეითი ბრიგადა ჰყავს. 1998 წლის დასაწყისში მე-4 არმიაში მოითვლებოდა პირადი შემადგენლობის 60411 ადამიანი, 61 საბრძოლო ტანკი, 11 დაჯავშნული საბრძოლო მანქანა, 342 საველე საარტილერიო სისტემა და 15 საბრძოლო უზრუნველყოფის ვერტმფრენი.




ამრიგად, CFE ზონაში განლაგებულია სულ თურქეთის სახმელეთო ჯარების 444390 პირადი შემადგენლობა, 2538 საბრძოლო ტანკი, 2529 დაჯავშნული საბრძოლო მანქანა, 2839 საველე საარტილერიო სისტემა, 25 სატანკო ხიდგამყვანი, 26 დამრტყმელი, 145 საბრძოლო უზრუნველყოფის და 34 შეუიარაღებელი სატრანსპორტო ვერტმფრენი.

CFE ხელშეკრულების მოქმედების ზონის გარეთ განლაგებულია თურქეთის მე-2 საველე არმიის (შტაბი ქ. მალათიაში) მე-6 (ადანა) და მე-7 (დიარბაქირი) და მე-3 არმიის მე-8 (ელიაზიგი) კორპუსები. მათ საბრძოლო შემადგენლობაში შედიან 4-5 ჯავშანსატანკო, 5-6 მექანიზებული და 2 ქვეითი ბრიგადები. 1998 წელს მათში სავარაუდოდ მოითვლებოდა პირადი შემადგენლობის დაახლ. 80610 ადამიანი, 1663 საბრძოლო ტანკი, 1369 დაჯავშნული საბრძოლო მანქანა, 1438 საველე საარტილერიო სისტემა, 11 დამრტყმელი ვერტმფრენი და სხვა შეიარაღება.

ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია თურქეთის სახმელეთო ჯარების პირადი შემადგენლობისა და შეიარაღების მონაცემები CFE ზონაში და მის გარეთ.

ზემოთ გადმოცემული ინფორმაციიდან შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

1. თურქეთის სახმელეთო ჯარების სარდლობას ძირითადი ძალები და საშუალებები კვლავინდებურად თავმოყრილი ჰყავს შავი ზღვის სრუტეების ზონაში და ანატოლიის (აზიური თურქეთის) ჩრდილოეთ ნაწილში (1-ლი და მე-3 საველე არმიების შემადგენლობაში). ეს მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან თავდაცვის სფეროში დაკავებული ზოგიერთი ქართველი თანამდებობის პირი უკრიტიკოდ იზიარებს თურქულ ვერსიას იმის თაობაზე, რომ 90-იან წლებში თურქეთის შეიარაღებული ძალების გაძლიერება განპირობებულია სირიდან, ერაყიდან და ქურთისტანის მუშათა პარტიისგან თურქეთის სუვერენიტეტისადმი არსებული მუქარების განეიტრალების აუცილებლობით. როგორც ცხრილიდან ვხედავთ, ამ მიმართულებით თურქეთის სახმელეთო ჯარების სარდლობას განლაგებული ჰყავს პირადი შემადგენლობის სულ 15,3%.

2. CFE ზონის გარეთ განლაგებულია თურქეთის საბრძოლო ტანკების 36,2%, დაჯავშნული საბრძოლო მანქანების 33,6%. საველე საარტილერიო სისტემების 33,7% და ვინაიდან ამ ტერიტორიაზე პირადი შემადგენლობის სულ 15,3%, ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ საბრძოლო ტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილი CFE ზონის გარეთ უბრალოდ დასაწყობებულია და განკუთვნილია საბრძოლო მოქმედებების გაჩაღების შემთხვევაში CFE ზონაში, კერძოდ, შესაძლოა ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართულებით სამოქმედოდ გადმოსასროლად, თუმცა შესაძლოა დასავლეთისკენ — კვიპროსის მიმართულებით.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია თურქეთის საბრძოლო ავიაციის განლაგება და განაწილება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. თურქეთის საჰაერო ძალებში შედის ორი ტაქტიკური საავიაციო სარდლობა. პირველის შტაბი მდებარეობს ქ. ესქიშეჰირში (CFE ზონა), მეორისა ქ. დიარბაქირში (ზონის გარეთ). 1998 წლის დასაწყისის მდგომარეობით 1-ლი ტაქტიკური საავიაციო სარდლობის შემადგენლობაში ნაჩვენები იყო 388 საბრძოლო თვითმფრინავი (88,1%), მე-2-ში კი სულ 52 (11,9%). როგორც ვხედავთ, რაიმე სერიოზულ მუქარაზე ლაპარაკი სირიის, ერაყის ან ირანის მხრიდან ზედმეტია. მითუმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ 90-იან წლებში ყველაზე უფრო მსხვილმასშტაბიანი გადაიარაღება მოხდა თურქეთის საზღვაო ძალებში და ეს იმ დროს, როდესაც შავ ზღვაში რუსეთის 26 ტაქტიკური წყალქვეშა ნავიდან და 46 მსხვილი საბრძოლო ხომალდიდან სულ 9 ტაქტიკური წყალქვეშა ნავი და 8 მსხვილი საბრძოლო ხომალდიღა დარჩა, ხოლო ერაყსა და ირანს სრულიად არ გააჩნიათ გასასვლელი ხმელთაშუა ზღვაში, მაშინ გაუგებარია, რა მუქარების გასანეიტრალებლად სჭირდება თურქეთს 16 ტაქტიკური წყალქვეშა ნავი და 21 მსხვილი საბრძოლო ხომალდი, რომელთაგან 26 მცურავი საშუალება თანამედროვე მოდელს წარმოადგენს?

ყოველივე ამას ვერ ხსნის ვერსია თურქეთის თანამედროვე შეიარაღებული ძალების თავდაცვითი დანიშნულების შესახებ და მკაფიოდ იკვეთება მისი შეტევითი გამიზნულება, ხოლო იმის შესახებ, თუ სავარაუდოდ საითკენ შეიძლება იყოს მიმართული თურქეთის არმიის, ავიაციისა და ფლოტის შეტევითი პოტენციალი, მომდევნო წერილში გვექნება საუბარი.

| | პირადი შემადგენლობა | საბრძოლო ტანკები | დაჯავშნული საბრძოლო მანქანები | საველე არტილერია | დამრტყმელი ვერტმფრენები |
|---|---|---|---|---|---|
| სულ | 525000 | 4205 | 3898 | 4277 | 37 |
| CFE ზონაში (%) | 444390 (84,7) | 2542 (63,8) | 2529 (66,4) | 2839 (66,3) | 26 (70,3) |
| ზონის გარეთ (%) | 80610 (15,3) | 1663 (36,2) | 1369 (33,6) | 1438 (33,7) | 11 (29,7) |

***ირაკლი ხართიშვილი***

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამყარო

# ოდესღაც ერთიანი გონით მოაზროვნე კაცობრიობა ვინ ან რატომ დაანაწევრა

ჩვენი ეპოქის ადამიანებისათვის თითქმის დაუჯერებელია, რომ უძველესმა და მაღალგანვითარებულმა სახელმწიფოებმა ერთმანეთის — ბაბილონმა ჩინეთის, ინდოეთმა — შუმერების, იაპონიამ — ეგვიპტის და ა.შ. შესახებ არაფერი იცოდნენ, ერთმანეთისთვის ლეგენდარულ ქვეყნებს წარმოადგენდნენ. მიუხედავად ამისა, იმავ დროს ყველა მათგანს რაღაც ძალის მეშვეობით ბევრი საერთო გააჩნდა.

ბერძენ პრომეთეოსს მრავალი „ტყუპისცალი" ჰყავდა — ქართველი ამირანი, აცტეკი იცამნა, ინკი მანკოკაპანი, მექსიკელი კეცალ-კოატლი, ბაბილონელი იოანესი და სხვა. ყოველმა მათგანმა თავთავიანთ ხალხებს ზევსისაგან გატაცებული ცეცხლი აჩუქეს, თავად კი საუკუნეთა მანძილზე სასტიკად ეწამნენ, ერთმანეთის ბედი გაიზიარეს.

სხვადასხვა კუთხის ქვეყნების უძველეს თქმულებებსა და ხელნაწერებში ერთი და იგივე სიტყვა — „განმანათლებელი" მოიხსენიება, რომელმაც მათ ხალხებს ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მიწათმოქმედება, ხელოსნობა და მრავალი საქმიანობა ასწავლა. ყოველი გადმოცემა აღიარებს, რომ „განმანათლებელი" არა ამქვეყნიური წარმოშობისაა, მიწიერ არსებებს ის ციდან მოევლინა.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ შორეულ წარსულში აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ერთმანეთთვის უცნობ მრავალ ქვეყანას ერთი და იგივე „მსოფლიო ალამი" გააჩნდა. რგოლად შეკრული გველის-მარადიული ერთიანობის-დიდ წრეში, თეთრ ფონზე სამი სამკუთხედად განლაგებული წითელი წრეები იყო გამოსახული. ეს ემბლემა სამყაროს ციკლური განვითარების, კაცობრიობის წარსულის, აწმყოსა და მომავლის სიმბოლოს წარმოადგენს. სამრგოლიან წრეს მეორე ახსნაც გააჩნია, ის ენერგიის, ნივთიერების, მოძრაობის მუდმივ ერთიანობას ასახავს.



ალქიმიკოსები სამ საწყისად ძირითადად გოგირდს — მამრობითი, ვერცხლისწყალს — მდედრობითი და მარილს — ნეიტრალური მიიჩნევდნენ. მათ შეერთებას აქტიური და პასიური საწყისის ერთიანობამდე მივყავართ. ალქიმიკოსთა ემბლემა სამთავიანი გველი ან წრეში ჩასმული სამი გული იყო, რომლებიდანაც გველები გამოდიან.

ცენტრალური აზიის ქვეყნების უზენაესი კულტი ბუდა სამი სხეულით წარმოგვიდგება. ესენია: ცხადი სხეული, ნეტარი სხეული და კოსმოსური სხეული. ქრისტიანულ რელიგიასაც სამება, სამსულოვანი ღმერთი გააჩნია: მამა, ძე და სულიწმიდა.

სანკრისტული „ვიშნუ პურანე", ეგვიპტური პაპირუსები, ებრაული „ბიბლია", ინდური „რიგვედა", ამერიკული ინდიელების „პოპოლვუხი", შუმერული „წმინდა აზრები" და სხვა ხალხების უძველესი ძეგლები ერთი და იმავე მოვლენაზე მოგვითხრობენ — „იყო პირველადი ოკეანე. შემდეგ მთები და ქვეყნები წარმოიშვნენ". საკვირველია, თქმულებათა ავტორებმა ყოვლმხრივ წყლით გარშემორტყმული დედამიწა საიდან დაინახეს. სავარაუდოა, რომ კოსმოსიდან ანდა მზის სისტემის რომელიღაც პლანეტიდან, რომელზეც დღეს სიცოცხლე აღარ არსებობს. ვარაუდობენ, რომ ჩვენმა უშორესმა წინაპრებმა რაღაც მიზეზით სიკვდილის პირას მისული მშობლიური პლანეტა მიატოვეს და ახლადდაბადებულ დედამიწაზე გადმოსახლდნენ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-XVIII-XVII საუკუნეთა გასაყარზე ერთმანეთისაგან მრავალი ათასი კილომეტრით დაშორებულ ქვეყნებში, აზიაში — ტიბეტსა და მონღოლეთში, ხოლო ევროპაში — ირლანდიასა და კელტებში ერთი და იმავე შინაარსის ლეგენდა დაიბადა. ცნობილია, რომ წელიწადში ერთხელ, შუა ზამთარში დედამიწა ორიონის თანავარსკვლავედს უახლოვდება. ამ დღეს — 22 დეკემბერს ასტრონომები ზამთრის მზებუდობის წერტილს უწოდებენ. ზემოთ აღნიშნული ქვეყნების ლეგენდების თანახმად, 38 საუკუნის წინ, მორიგი ურთიერთდაახლოებისას ორიონს კაშკაშა ნატეხი მოწყდა და დედამიწაზე დაეშვა. მას შემდეგ ეს მაგიური და მარადმბრწყინავი ნატეხი დროდადრო ჩვენს პლანეტაზე გადაიქროლებს ხოლმე და ადამიანებს ახალი ერის დაწყებას ამცნობს.

ციდან ბოძებულ ნობათს ინდუსები „ჩინტამანს", ტიბეტელები და მონღოლები „ნორბუ რიმპოჩე"-ს უწოდებენ. ირლანდიელებმა ის „ფაილა"-დ, ხოლო კელტებმა „გრაალ"-ად მონათლეს.

დედამიწა — ორიონის თანავარსკვლავედის დაახლოებისას ეს უკანასკნელი დედამიწის სამხრეთის მხარეს მდებარეობს. საოცარია, ციდან „ჩამოვარდნილი" ნატეხი დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში როგორ ან რატომ „დაეცა".

აზიური ლეგენდებიდან ვგებულობთ, რომ — „ჰიმალაის მიუწვდომელ, მარად ყინულოვან მთათაშუა უმაღლესი სამართლიანობის ქვეყანა — „შამბალა" არსებობს. „შამბალა"-ს წმინდა კოშკის „რიგდენ-ჯიპო"-ს წვერზე ორიონის ნატეხი მუდმივად კაშკაშებს. მოვა დრო და წმინდა მთებიდან ზღაპრული რაში ჩამოფრინდება. მის უნაგირზე დამაგრებული მსოფლიოს გადამრჩენელი, სასწაულმომქმედი ციური სტუმარი აზიის ხალხებს ბედნიერებას მოუტანს".

ბუდისტურ ძეგლებში „ჩინტამანი" თასში ჩადებული სამი ალმოდებული წრით არის გამოსახული. ლეგენდარული „ჩინტამანი" ტანჯულთ ტკივილებს, სულს უყუჩებს, მათ თხოვნებს აკმაყოფილებს. წმინდა ქვასთან მიახლოვება მხოლოდ სპეტაკ, სუფთა გულის მქონეთ შეუძლიათ. ცოდვილ, ულირს ადამიანებს ქვა თავისი მცხუნვარებით ფერფლავს, არ ინდობს.

მონღოლების ზღაპრულ რაშს „ედენი მორი"-ს ერთი უცნაური თვისება გააჩნია. ღამის მიწურულსა და განთიადის დამდეგს ორიონის მბრწყინავი ნობათით ცაზე გადაიქროლებს. ამ მომენტში ირგვლივ ყველაფერი წამიერად ყუჩდება.

ევროპაში უხსოვარ დროს მცხოვრები, დღემდე საიდუმლოებით მოცული კელტები ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ლადაკხისა და ტიბეტის მთებიდან გადასახლდნენ. ლეგენდების თანახმად, განგების „მითითებით" მათ მისიას აზიისა და ევროპის ქვეყნების დაკავშირება წარმოადგენდა. ერთ-ერთ ირლანდიურ საგაში სხვა ვერსია იკითხება. ისტორიული კულტების წინაპრები ქალღმერთი დანუ-ს შთამომავლები იყვნენ, რომლებიც ჩრდილოეთში მდებარე უცნობი კუნძულებიდან დრუიდების დასახმარებლად და განმანათლებლებად ევროპაში დიდი ნავებით მოცურდნენ. მათი ქურუმები სულიერ მოძღვრებაში, მეცნიერებასა და ასტრონომიაში იყვნენ განსწავლულები. წარმართმა კელტებმა ევროპაში ცოდნის, სიბრძნის შემცველი მბრწყინავი ქვა — „გრაალი" ჩამოიტანეს. შემდგომში კელტების ქურუმები ნახევრად ღმერთებად — სიდებად გადაქცევისთანავე უეცრად გაქრნენ.

ირლანდიელთა საგებში ალთქმული ქვეყანა „ებაინ"-ში მდებარე რაღაც უცნობი კუნძულებია მოხსენიებული, რომლებზეც ბედნიერი ადამიანები ცხოვრობდნენ. ერთ-ერთ მათგანზე ადამიანთათვის მიუწვდომელ ადგილზე ორიონისაგან ნაჩუქარი „ლია ფაილი"-ა დამალული. მისი ადგილსამყოფელი მხოლოდ უძველესმა ტომმა — დრუიდებმა იცოდა. ირლანდიური საგა იმედოვნებს, რომ „დადგება დრო და ციდან მოვლენილი „ლია ფაილი" დედამიწაზე მცხოვრებ ერთ რწმენაზე მოქცეულ, ერთენოვან ადამიანებს ულამაზესი, უბრწყინვალესი ცხოვრებისკენ გაუძღვება".

ბრიტანეთის კელტების საგებში „წმინდა თასი" მოიხსენიება, ნაწარმოებებში აღნიშნულია, რომ — „კელტების ბელადმა არტურმა „წმინდა თასი" იმქვეყნიურ სამყაროში სამოგზაუროდ ყოფნისას მოიპოვა." ზოგიერთი ვერსიების თანახმად, „წმინდა თასი"-ს ევროპაში ჩამოტანას პარციფალს უკავშირებენ.

ძველეგვიპტური ლეგენდა გვამცნობს: „ყოველწლიურად ციდან თეთრი მტრედი ეშვება, რომელიც ქვა „გრაალი"-ს სასწაულებრივ ძალას ანახლებს. მტრედი ცის ნატეხის ჯადოსნურ სხივებში იწვის, ქვას აგიზგიზებს და კვლავ აღორძინებს.

მეხუთე საუკუნის ირანულ სინთეზურ მოძღვრება „პარსი ვალ ნამე"-ში „გრაალ"-ზე ჩამოყალიბებული მანიქველური (რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება კეთილისა და ბოროტის დაუსრულებელ ურთიერთბრძოლაზე) მოსაზრებაა აღწერილი.

38 საუკუნის წინ ევროპა-აზიაში ერთდროულად შექმნილ ლეგენდებში უცნაური, დამაფიქრებელი აზრებია აღწერილი. ნუთუ ორიონიდან „შემთხვევით ჩამოვარდნილი ნატეხი" დედამიწაზე მცხოვრებთა გაერთიანებისათვის, მათ ერთ რწმენაზე მოსაქცევად და ერთ ენაზე ასალაპარაკებლად არის მოვლენილი.

მრავალ საუკუნეთა მიღმა გარეშე ძალის მიერ ადამიანთა დასახმარებლად სხვა უცნაურობებიც მომხდარა.

მეცნიერთა ვარაუდით დედამიწაზე ბრინჯაოს ხანის უეცარი აღმოცენება და ერთბაშად თითქმის ყველა კონტინენტებზე აყვავება ციდან მოსულების დამსახურებაა. ამ მოსაზრებას ისინი იმით ამტკიცებენ, რომ — „კაცობრიობა ნელ-ნელა, საუკუნეთა მანძილზე ვითარდებოდა. მის მიერ აღმოჩენილ ამა თუ იმ სიახლეს მრავალი წლების მანძილზე ითვისებდა და ხვეწდა. როგორც ცნობილია, ბრინჯაო სპილენძისა და კალის შენადნობია, ჩვენს შორეულ წინაპრებს ეს ორი მეტალი თავდაპირველად ცალ-ცალკე უნდა აღმოეჩინათ, ეწარმოებინათ, ტექნოლოგია დაემუშავებინათ და მხოლოდ ამის შემდეგ მიმხვდარიყვნენ, რომ მათი შეერთებით რაღაც ახალი, კარგი რამ გამოვიდოდა. როგორც ცნობილია, დედამიწაზე სპილენძის ხანა არ არსებობდა. არქეოლოგიურ მონაპოვრებში არც კალის ნაკეთობათა სიმრავლეა. ვინ განდო ადამიანებს ის რეცეპტი, რომ სპილენძზე კალის 1/10 ნაწილით შეერთებისას საოცრად მკრივ შენადნობს მიიღებდნენ? ბრინჯაოს წარმოება და მისგან მაღალი ოსტატობით შესრულებული ნაკეთობანი მთელ მსოფლიოს ერთბაშად მოედო. სხვადასხვა ქვეყნების სამარხებიდან მონაპოვარ ნივთებს მოყვარულის, მაძიებლის ხელი არ ემჩნევათ. ისინი პროფესიონალების მიერ არიან დამზადებულები".

იმ დროისათვის ყველაზე განვითარებული ქვეყნები ეგვიპტე და მესოპოტამია იყო. ამ ქვეყნებში კალა არ მოიპოვება. დადგინდა, რომ ბრინჯაოს წარმოებისათვის ეს მეტალი კავკასიიდან, პირინეის ნახევარკუნძულიდან და ე.წ. „კალის კუნძულებიდან" შემოჰქონდათ. თუ საკუთარი არ გააჩნდათ, საიდან იცოდნენ კალის მნიშვნელობა ანდა მისი მაღალ დონეზე დამუშავების ხერხები.

ანალოგიური მდგომარეობაა რკინის გამოდნობაშიც. მისი ჩამოსხმის ხელოვნება თითქოს საიდანღაც შემოიტანესო, უეცრად გაჩნდა. მეცნიერ პოლ რივეს თქმით: — „ადამიანებმა ლითონის მოპოვების, გამოდნობისა და დამუშავების ხელოვნება მზამზარეულად, ვილაცისაგან მიიღეს. მთელს ევროპაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთები და იარაღი ერთმანეთს ისე ჰგვანან, თითქოს ერთ სახელოსნოში დაუმზადებიათ. ევროპასა და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე ლითონის წარმოება და დამუშავება საიდუმლო ცოდნად — მაგიად აღითქმებოდა. ამის გამო მჭედლებს გრძნეულებთან აიგივებდნენ".

გამოჩენილი ჩინელი მხედართმთავრის ჩჟაუ-ჩჟუს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 316-265 წწ.) აკლდამაში აღმოჩენილი ზოგიერთი ორნამენტების სპექტრალური ანალიზების ჩატარებისას სპეციალისტები საგონებელში ჩავარდნენ. ორნამენტები სპილენძის 10%, მაგნეზის 5% და ალუმინის 85%-ისაგან შედგებოდა. პირველი ალუმინი 1808 წელს ელექტროლიზის საშუალებით მიიღეს (?!).

აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვიმედოვნოთ, რომ კოსმოსური გონი დედამიწაზე მცხოვრებლებს უყურადღებოდ არ მიგვატოვებს და კვლავ ახალ-ახალ საიდუმლოებებს გვაზიარებს.

**გია ტორიაშვილი**

# ყველაზე დიდი სირცხვილი საქართველოსი

მეშვიდე გვერდიდან

4) „მტკვარ-არაქსის კულტურის" წარმოშობა ხდება ამიერკავკასიაში სვანურენოვანი ტომების წიაღში, მცირე აზიიდან ქართულენოვანის დომინანტობით მოსული მასების მასტიმულირებელი მიგრაციებით;

5) ზანური დიალექტის ჩასახვა ხდება ძვ. წ. III ათასწლეულის შუა პერიოდში ცენტრალურ ამიერკავკასიაში სვანური ენის წიაღში, ასევე ქართული ელემენტის მონაწილეობით;

6) ეგეოსისა და ხმელთაშუაზღვის აუზებში III ათასწლეულის ბოლოდან განხორციელებული ქართული ტომების მიგრაციები ხდება ზანური ელემენტის დომინანტობით;

7) უძველეს წყაროებში ცნობილი გაერთიანებანი — მუშქების სამეფო, დიაოხი, კოლხა, ზაბახა, ფიტერუხი წარმოადგენენ ქართულის დომინანტობით შექმნილ გაერთიანებებს;

8) ძვ. წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან ერთმანეთის პარალელურად არსებობს ორი გაერთიანება „კოლხას" სახელით — ერთი ჭოროხის აუზში, ქართულენოვანი ელემენტის დომინანტობით და მეორე, რიონის აუზსა და მის მიმდებარე რეგიონებში, ზანურ-სვანურის დომინანტობით და სუსტი ქართული ელემენტით.

9) მცირე აზიიდან იქ მიმდინარე რთული ეთნიკური პროცესების გამო, ამიერკავკასიაში მრავალგზის ხდება ქართულენოვანი ნაკადების მოსვლა, რომელთაც ყოველთვის მოაქვთ ქართული ტომებისა და არაქართველური მეზობლების კულტურული ელემენტები, რაც თავისებურ იმპულსებს აძლევს ყოველთვის ამიერკავკასიაში მცხოვრები მოძმეების კულტურულ განვითარებას;

10) ქართული დამწერლობა უნდა შექმნილიყო დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის გარეთ, მცირე აზიაში;

11) ბოლო ქართულენოვან ნაკადს ამიერკავკასიაში მოაქვს არმაზის კულტი, გაც და გაიმის კერპები და ეს ნაკადი სტიმულს აძლევს იბერიის სამეფოს შექმნას, რომელიც თავის მხრივ იწყებს ამიერკავკასიაში მცხოვრები ქართული ტომების სახელმწიფოებრივი გაქართების (და არა გაქართველების) პროცესს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვაკეთებთ ასეთ საერთო დასკვნებს: ა) ქართული (ქართველური) ტომების განვითარება ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში მიმდინარეობს სვანურის საფუძველზე და მისი დომინანტობით;

ბ) ძვ. წ. II ათასწლეულსა და I-ის პირველ ნახევარში, დაახლოებით დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე და მის მიმდებარე ზოგიერთ ოლქშიც, ქართველური ტომების განვითარება მიმდინარეობს ზანურის დომინანტობით;

გ) ძვ. წ. II ათასწლეულიდან I-ის მეორე ნახევრამდე, მცირე აზიასა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე ქართველური ტომების განვითარება ხდება ქართულენოვანი ელემენტის დომინანტობით;

დ) ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მოყოლებული დღემდე, მთლიანად ქართულ (ქართველურ) სამყაროში ჰეგემონობას კისრულობს და სახელმწიფოებრივი მშენებლობა მიმდინარეობს ქართულის დომინანტობით.

ზემოთმოყვანილი დასკვნებისათვის უამრავი არგუმენტი არსებობს, რომელთა აქ მოტანა შეუძლებელია.

სამწუხაროა ის, რომ ბატონი ალ. ონიანი ჩვენი არგუმენტებისა თუ დასკვნების შეფასებას კი არ მიმართავს, არამედ აქცენტს აკეთებს რა ავტორის არასპეციალისტობაზე, აღნიშნავს, — „ამ შრომაში ისეთი შეცდომებია დაშვებული, როგორიც ძნელი წარმოსადგენია სპეციალისტის შრომაში შეგვხვდესო" და იქვე მოძველებულს უწოდებს დებულებას ქართველური ტომების მცირე აზიაში განსახლების შესახებ.

ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, თუ მართლაც როგორი ძნელი წარმოსადგენი შეცდომები შეიძლება შეგვხვდეს უაღრესად მაღალი რანგის სპეციალისტთა შრომებში; ხოლო, რაც შეეხება ბატონ ალ. ონიანის მოსაზრებას მცირე აზიაში, ქართული ტომების განსახლების საწინააღმდეგოდ, მის გასაბათილებლად ჰომეროსი და ქსენოფონტი კმარან.

ამასთან ერთად, კარგი იქნება, თუ ბატონი ალ. ონიანი პასუხს გასცემს იმ მომენტებთან დაკავშირებით, რომლებმაც გვაიძულა ქართველოლოგიური ლიტერატურის ანალიზისათვის მიგვემართა.

ესენია: 1) ისტორიული მეხსიერება ქართულენოვანი ნაკადების ამიერკავკასიაში არაერთგზისი მოსვლის შესახებ;

2) რატომაა, რომ იმ ტერიტორიებზე, სადაც კი ოდესმე ქართულ ტომებს უცხოვრიათ ან ოდესღაც ცხოვრობდნენ, ყველგან პირველად ჩანს სვანური ტოპონიმები; ხოლო თავად საქართველოს ტერიტორიაზე სვანურის შემდგომ მოდის ზანური და ბოლოს ქართული, მათი კლებადობა-მატებადობის მიხედვით; რა მოვუხერხოთ იმას, რომ სვანური ტოპონიმების კვალი ჩანს მცირე აზიაში, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. აღარაფერს ვამბობთ მთელს დასავლეთ საქართველოზე; რა მოვუხერხოთ იმას, რომ ჯერ კიდევ ბევრი ზანური ტოპონიმი მოიპოვება აღმოსავლეთ საქართველოში;

3) რითი ავხსნათ ის გარემოება, რომ ქართველურ ენებში დასტურდება ნასესხობანი ისეთი ინდოევროპული ენებიდან, რომლებთანაც ქართულ ტომებს ისტორიულ თვალსაწიერზე კონტაქტები არ ჰქონიათ;

4) რითი ავხსნათ არც თუ ისე მცირე ენობრივი შეხვედრები შუმერულთან სვანურის დონეზე (მ. წერეთელი, თ. მიბჩუანი); სხვათა შორის, ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი ჰაინც ფენრიხი შუმერულ-ქართულ შეხვედრებს ზანურის დონეზე ვარაუდობდა; ნუთუ არაფერს გვეუბნება ასეთი იდუმალი დამთხვევები.

ამდენი წიაღსვლები იმისათვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილის (სამწუხაროდ, საკმაოდ დიდის) ნიჰილისტური დამოკიდებულება ქართული ცივილიზაციისა და კულტურის ისტორიისადმი და გაუცხოების იმ საშინელი სინდრომის დამღუპველობა და მავნეობა, რაც დღევანდელ საქართველოში ტრიალებს, საკმაოდ მაღალ დონეებზე.

ჩვენს მეზობელ სომხეთში რომ ისეთი ნაშრომები შეექმნათ, როგორიცაა ბატონ რამაზ პატარიძის „ქართული ასომთავრული" და ბატონ ზურაბ ქაფიანიძის „შუმერული ენა", უეჭველია მათ ავტორებს სიცოცხლეშივე გაალმერთებდნენ და ძეგლებს დაუდგამდნენ. ჩვენ კი ან სრულ უყურადღებობას ვიჩენთ (მაგ. ბ-ნ რ. პატარიძის მიმართ), ან ლანძღვა-გინებას არ ვაკლებთ (მაგ. ბ-ნ ზ. ქაფიანიძის მიმართ) მათს ავტორებს.

ზემოთ ვთქვით, საქართველოში გაუცხოების საშინელი სინდრომი ტრიალებს-მეთქი, ეს სინდრომი რომ მოურჩენელ დაავადებად არ გადაიქცეს და დამღუპველი არ აღმოჩნდეს ქართველობისათვის, აუცილებელია დღესვე დავიწყოთ საჭირო ზომების მიღება.

კერძოდ, აუცილებელი[illegible]ლად გამოიცეს ქართულ-სვანური და ქართულ-ზანური (მეგრულ-ჭანური) განმარტებითი ლექსიკონები (ან ქართულ-სვანურ-ზანური).

აუცილებელია გამოიცეს ქართულ-სვანურ-ზანური ბოტანიკური და ზოოლოგიური ლექსიკონები (ასეთ სამუშაოში სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას ამ სტრიქონების ავტორიც).

აუცილებელია სხვადასხვა კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შეტანილ იქნეს სვანურისა და ზანურის (მეგრულ-ჭანური) ელემენტები;

ასევე აუცილებლად მიგვაჩნია სკოლებში ისწავლებოდეს სვანურისა და ზანურის ფოლკლორული ნიმუშები.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში მაღალ დონეზე, სათანადოდ უნდა იქნეს წარმოჩენილი ქართველი ერის ღვთაებრივი სამების — ქართები-სვანები-ზანები — ერთება და მისი მნიშვნელობა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ სამი შტოს ერთიანობის ეროვნული თვითშეგნება იმ დროსაა ჩასახული — საუკუნეების ჯურღმულებში, როცა დედამიწაზე დღეს მცხოვრები ბევრი ხალხის სახსენებელიც კი არ იყო, ამიტომ უფლება არა გვაქვს გულგრილად ვუცქიროთ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ერთიანობის დაშლისა და გაქრობის პროცესებს.

**ბიძინა თავაძე**

*საქართველოს ბუნებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ფესვები".*

# „საშკა ზვერი“, სტალინის სიკვდილი და პატიმრები

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ № 7*

ერთ დღეს სამუშაოდან რომ დავბრუნდი, ბრიგადირმა დამიძახა და მითხრა: — შალვო, თუ იცი, რომ ჩვენ ლაგერში ერთი შენი თანამემამულე მოიყვანესო?

— ვინ თანამემამულე-მეთქი, შევეკითხე დაინტერესებული.

— ქურდი „საშკა ზვერი“ თუ გაგიგონია, ის მოიყვანეს დღეს აქ, — მიპასუხა ივანემ.

ქურდებისაგან სიკეთის მეტი არაფერი მახსოვდა, მაგრამ მათი შფოთიან-ფათერაკიანი ცხოვრებისგან ისე მქონდა გული გამოკლული, რომ მათი გახსენებაც კი ტანში მზარავდა, ამიტომაც რაღაც აგდებულად ვუპასუხე ბრიგადირს:

— რა ვიცი, ვინ არის, ერთი მაგის ტიალი დედაც-მეთქი, მაგრამ სათქმელი არც კი დამემთავრებინა, რომ ივანემ პირზე ხელი ამაფარა, თანაც ჩურჩულით წამისისინა:

— რამ გაგასულელა, შე ჩერჩეტო, როგორ გაბედე? ვინმეში ხომ არ გეშლება საშკა ზვერი, ვიღაცეები რომ გინახია და მათი გახსენებაც კი გეშინია, საშიში პიროვნება სწორედ ეგ არის, მაგან აქ რომ თქვას მაგის ბრძანებისამებრ, შორეულ აღმოსავლეთში ან დასავლეთში თავს მოჭრიან დასახელებულ პიროვნებას. ენა გააჩერე და სხვაგან არსად წამოგცდეს ასეთი რამე, თორემ ენას ჯიბით წაგალებინებს საიქიოში. ეს შეუძლია შენს თანამემამულე საშკა ზვერს. ასე წარმოიდგინე როგორც ქურდების ბელადი, ქართველებს გარეთ სტალინი გყავთ, ლაგერებში კი საშკა ზვერი, — დაცინვით მითხრა მან.

— მერედა, საიდან იცი, რომ ქართველია? — ვკითხე მე.

— ეგ უკვე აღარ ვიცი, ზოგი ქართველად თვლის, ზოგი აჭარლად, ზოგიც ჩერქეზად, ისე კი ნაღდი, ტიპიური კავკასიელია, რაც მთავარია, ძალზე საშიში პიროვნება ყოფილა. — აგერ დღეს, ზონაში რომ შემოვიდა, ფეხიც არ შეუდგამს მეშვიდე ბარაკში, მენარიადეს მეტი რა ძალა ჰქონდა, მეცხრე ბარაკის ერთ-ერთი კაბინა გაეთავისუფლებინა, კარგად დაუსუფთავებიათ და მის მერე შესახლებულა შიგ საშკა ზვერი.

— დიდი მოწიწებით ხლებიან აქ მყოფი ქურდები, — განაგრძო ივანემ, — მაგ დალოცვილიშვილმა, საიდან რა გაიგო, ვის რა ცოდო ჰქონდა ჩადენილი, ჯერ ჩისტოპავლოვი დაუნგრევია საშინლად, მერე ვასია ნემცევი უცემია „პოლის“ ჯოხით, ისე რომ, ოქროს კბილები სულ დაუყრევინებია. ნემცევი ადრევე დასდგომია მრუდე გზას და ქურდობის ზოგიერთი კანონებისათვის გადაუხვევია. გარდა ამისა, საშკა ზვერს ნემცევისათვის დაუდია ბრალი იმ საკითხში, რომ ანატოლი პანტელეევი (ჩუმას ბრიგადის ხალხმა რომ მოგუდეს) აქ ქურდად ჰყოლია ისევ. ნემცევს სცოდნია პანტელეევის ცოდვები, მაგრამ თვალებს ხუჭავდა თურმე. პანტელეევისაგან გამეტებული კოსტია კომჩედინოვი კი სუფთა ქურდი ყოფილა. — აი, ვინ არის და რა შეუძლია შენს თანამემამულეს, — დაასრულა თავისი სათქმელი ლიხაშერსტოვმა.

მისი ნაამბობით დავინტერესდი, თუნდაც ერთხელ მაინც მომეკრა თვალი ამ სახელგანთქმული ქურდისათვის, რომლის შესახებაც ბევრი რამე შევიტყვე ივანეს დახმარებით.

ბოლოს, ეს ნატვრაც ამისრულდა, კვირა დღე იყო, მარტის თვე, პატიმრები ზონაში ვისვენებდით. მართალია, თოვლი კიდევ საკმაოდ იდო, მაგრამ კარგი მზიანი დღე იდგა და მეტი წილი პატიმრებისა ეზოში ვიყავით გამოშლილნი, ზოგნი ვგუნდაობდით, ზოგნი თოვლის პაპას დგამდნენ, ზოგნიც ლაპარაკით ვერთობოდით.

უეცრად ლიხაშერსტოვი მოვიდა ჩემთან და წამჩურჩულა:

— შალვო, აგერ შენი თანამემამულე საშკა ზვერიო — და იქით მიმახედა, სადაც მენარიადე კრასნოვს სამი ახალგაზრდა კაცი ელაპარაკებოდა, ორი მათგანი შევიცანი, ბლიზნეცოვი და ბარათაშვილი (ბარათაშვილი ანუ შავი ვეფხვი „ჩორნი ტიგრა“, — მეორე პოდკამანდიროვკიდან გადმოიყვანეს აქ). მაშასადამე, ეს მესამე პიროვნება უნდა იყოს ე.წ. „საშკა ზვერი“.

ივანემ ხელი მომკიდა, ახლოს გავიაროთ და ისე შევხედოთო, — მითხრა. ნელი სიარულით მივუახლოვდით, თან ვსაუბრობდით, ვითომ სულაც არ ვამჩნევდით იმ პიროვნებას, რომლისკენაც მთელი პატიმრების ყურადღება იყო მიპყრობილი.

ახლოს გავუარეთ, ფიცრის გზაზე თოვლი გახვეტილი იყო და ისინი იმ გზაზე იდგნენ, კრასნოვს რაღაცას ელაპარაკებოდნენ.

საშკა ზვერი იმ დროს 35 წლამდე იქნებოდა, საშუალოზე მაღალი ტანის, მხრებგანიერი, მოგრძო, ლამაზი პირისახის, ფართო შუბლი, ხშირი, ერთიმეორეზე გადაბმული წარბები, შავი თმა, ალერსიანი გამოხედვა, ზრდილობიანი ქცევა. ასე რომ, მისი შემხედვარე იტყოდა: — ეს კაცი ქურდი კი არა, ზრდილი, ფრიად განსწავლული ვინმეაო, მაგრამ ფაქტი ნათელია და ჩვენს წინაშე იდგა პიროვნება, რომელიც შიშის ზარს სცემდა თურმე არა მარტო არიფ პატიმრებს, არამედ მთელი ქურდების სამყაროს.

სამეულმა კიდევ რაღაც ისაუბრა მენარიადნესთან, მერე დაემშვიდობნენ და წამოვიდნენ იმ მიმართულებით, სადაც მე და ივანე ვიდექით.

— ჰა, ჩვენებურო, როგორა ხარ, ხომ არაფერი გიჭირს? — მკითხა ბარათაშვილმა ქართულად და ჩვენს წინ გაჩერდა. გაჩერდნენ მისი თანმხლებნიც.

— რომც მიჭირდეს, რას ვიზამ, სად გავიქცევი, — ვუპასუხე ნაღვლიანად.

— თანამემამულეა? — შეეკითხა საშკა ზვერი ბარათაშვილს რუსულად.

— ჰო, თანამემამულეა და რა საქმეზე ზის ახლა — ბერიას დაუპირისპირდა.

— ვინ ბერიას, კაცო? რა ზღაპარს ყვები, — გაოცებულმა იკითხა ბლიზნეცოვმა.

— ვინ ბერიას და ლავრენტი პავლოვიჩს, ვინც მე და შენ აქ გამოგვაგზავნა. — მიუგო ბარათაშვილმა.

— მოიცა, მოიცა, მერედა, რა საკითხზე დაუპირისპირდა ბერიას, ან რა საქმე ჰქონდა მასთან? — დაინტერესდა საშკა ზვერი.

— მაგდენი არც მე ვიცი, იმდენი დრო ველარ ვნახე, რომ გამომეკითხა ყველაფერი. მეორეში ერთად ვიყავით, მერე ეს აქ გადმოიყვანეს და ალბათ, აქ მაინც მოგვიყვება, თუ როგორ უმასპინძლა ქართველი ხალხის იმ „ღირსეულმა შვილმა“. — ირონია ჩაურთო ბარათაშვილმა.

— მართლაც, საინტერესო რამე იქნება, გამოვნახოთ დრო, როდისმე დავუძახოთ ამ ახალგაზრდას და ვალაპარაკოთ. პირველ რიგში, თუ თქვენ თანახმა იქნებით. — მკითხა საშკა ზვერმა.

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, — თუ გაინტერესებთ, მოგიყვებით, — ვუპასუხე მე.

— ძალიან კარგი, გამოვნახავთ დროს, შუსტრიაკს გამოვგზავნით, რომელ ბარაკში ცხოვრობთ, ან რა გვარი ხართ? — მკითხა საშკამ.

დავუსახელე ბარაკიც და ჩემი გვარიც. ამის შემდეგ სამივენი დაგვემშვიდობნენ მე და ივანეს და მეცხრე ბარაკისაკენ აიღეს გეზი.

— შალვო, რომ დაგიძახონ, უჩემოდ არ წახვიდე, — თითქოს მუდარით მითხრა ლიხაშერსტოვმა.

პატიმრები ირგვლივ შემომეხვივნენ და კითხვების კორიანტელი დამაყარეს. შენი თანამემამულეა საშკა ზვერი, საიდან იცნობთ საშკა ზვერს, რას გეუბნებოდა და მისთანანი.

სამწუხაროდ, ეს ერთი შემთხვევა მქონდა მასთან შეხვედრისა, მეტი მე ის აღარ მინახავს, არც დიდი ინტერესი გამომიჩენია, არ ვცდილვარ დამატებითი მასალები შემეგროვა მის შესახებ. მაშინ ასეთი პროფესიის ხალხი მრავლად იყო ლაგერებში და რომელი ერთის ისტორიას შეისწავლიდა კაცი, როცა საკუთარ თავზე ფიქრის საშუალებაც არა გვქონდა. ისედაც მომბეზრდა ერთი და იგივე. ჩემთვის სულ ერთი იყო „დამწყები“, თუ „სტაჟიანი“ ქურდი. აბა, რა ვიცოდი იმ დროს, თუ საშკა ზვერი ასეთი წარსულის მქონე იქნებოდა, როგორსაც შიო გვეტაძე გვამცნობს თავის „მონანიებაში“, თუ ის ნამდვილი ამბავია.

ჩვენთან დიდხანს არც გაუჩერებიათ იგი, სრულიად მოულოდნელად აართქლეს უნულაგიდან. ეს ამბავი კი ასე მოხდა:

ჩვენთან, ლაგერში ეტაპით მოიყვანეს ქურდი, ვინმე კუდბეევი და როგორც ხმა გამოვიდა, ამ პიროვნებას რომ გაუგია საშკა ზვერის აქ ყოფნა, უშვერია თავი და ღამით გაქცეულა ლაგერიდან, ტელეფონის მავთულებზე დაკიდებული გაჰყოლია ხაზს და ასე გასულა ზონის გარეთ. იმ ღამეს ძლიერი ქარ-ბუქი ქროდა, ამიტომ სათვალთვალო კოშკურებში მოდარაჯე ბადრაგებს ვერ შეუნიშნავთ გაქცეული.

ზონის გარეთ რომ გადასულა, კუდბეევი ჩამომხტარა მავთულებიდან, ჯიბეში მაგარი წეკოს ფხვნილი ჰქონია, ის დაუყრია ნაფეხურებზე, რომ მაძებარ ძაღლებს კვალი ვერ აეღოთ.

იმ ღამეს, როცა ეს გაქცევა მოხდა, ლაგერის დაცვის უფროსად იყო საგარეჯოელი სერჟანტი (შინაგანი სამსახურისა), ძალზე კარგი და რისკიანი კაცი. ამ გაქცევის გამო ის სერჟანტი ჰაუპტვახტში ჩასვეს და მისი საქმე გამოძიებას გადაეცა. ლაგერის რეჟიმის უფროსისათვის ვიღაც დამსმენს უცნობებია, რომ კუდბეევის გაქცევაში საშკა ჩერქეზს მიუძღვის ბრალიო, მაგის შიშით გაიქცაო. რეჟიმმაც სასწრაფო ზომები მიიღო და საშკა ზვერი უმალვე მოიცილეს თავიდან, სადღაც მაგადანის მხარეს გააგზავნეს ეტაპით. რაღა თქმა უნდა, უმალვე გამოცხადდა გაქცეულის ძებნაც. ეს მისია ქართველმა ჯარისკაცებმა იკისრეს და ფიცი დადეს თურმე, რომ გაქცეულს ცოცხალს თუ არა, მკვდარს მაინც იპოვიდენ და თავიანთ მეგობარს (სერჟანტს) სასჯელს ააცდენდნენ.

გაქცეულის ძებნა ორ კვირამდის გაგრძელდა. ერთ საღამოს კი, უბადრაგო პატიმრებმა ამბავი შემოიტანეს, რომ ნადირისაგან დახრული კუდბეევის გვამი სადღაც ტაიგაში უპოვიათ მაძებარ ჯარისკაცებს, გვამი თოკით გამოუბამთ ცხენისთვის და ასე მოუთრევიათ ვახტაზე.




## წარსულის გახსენება

ცხადია, ყველა დაგვაინტერესა ასეთმა ამბავმა, მალე გათენებას ვნატრობდით, რომ დავრწმუნებულიყავით ამბის სინამდვილეში, მეორე დილით, ვახტის გარეთ რომ გავედით, „აკრძალულ ზონაში“, ეკლიან მავთულებს შიგნით, დავინახე თოვლში ეგდო რაღაც, რომელსაც ზემოდან ბრეზენტი ჰქონდა გადაფარებული, მაგრამ იგი მთლიანად ვერ ფარავდა ნადირისაგან გამოხრულ ადამიანის ჩონჩხს, რომელიც ლაგერის ადმინისტრაციას აქ იმ მიზნით დაეგდო, რომ პატიმრები დაეშინებინა და გაქცევაზე აღარ ეფიქრათ.

კუდბეევის გვამის პოვნის შემდეგ, დაპატიმრებული ქართველი სერჟანტი გაათავისუფლეს ჰაუპტვახტიდან და გამოძიებაც შეწყვიტეს მის მიმართ.

აი, რას წარმოადგენდა ლაგერში საშკა ზვერი და როგორ ზეგავლენას ახდენდა იგი პატიმრებზე.

დრო კი ზოზინით მიიწევდა წინ, დადგა ჭირვეული მარტი 1953 წლისა. იქ, ტაიგაში, არც მარტის თვე გამოირჩეოდა ამინდის სიკეთით და გულიანი ყინვები იცოდა ხოლმე. ამიტომ დილით, როგორც კი სამუშაო ადგილზე მივიდოდით, ჯერ სასწრაფოდ კოცონს გავაჩაღებდით, კარგად გავთბებოდით, გავფიცხდებოდით და ამის შემდეგ ვიწყებდით მუშაობას, ცეცხლში ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა ფიჭვის შეშას და ანთებულ ნაღვერდლებს აქა-იქ ისროდა ხოლმე. ზოგჯერ ვინმეს დაეცემოდა დაბამბულ ტანსაცმელზე და დამწვარი ბამბის სუნი დატრიალდებოდა.

— ბიჭებო, ვიღაც იწვის, — წამოვიძახებდით და იწყებოდა ძებნა, თუ ვის ჰქონდა ცეცხლი წაკიდებული.

ასე იყო 1953 წლის მარტის ოთხშიც. დილით, როგორც კი სამუშაო ადგილზე მივედით, ძლიერი კოცონი გავაჩაღეთ, გვერდით კუნძები შემოვუწყეთ და ზოგნი ჩამოვსხედით, ზოგნი კი ფეხზე მდგომნი ვეფიცხებოდით. ცეცხლისკენ ზურგშექცეულ ხლებოვისათვის ვიღაცას ბუშლატის სახელოზე განგებ წაეკიდებინა ცეცხლი, ხლებოვმა ვერ გაიგო ეს, ვიდრე კანი არ დაეწვა, მერე კი, ვაი დედას ძახილით გავარდა განზე, სასწრაფოდ გაიძრო ბუშლატი და თოვლით ჩააქრო ცეცხლი. მის საქციელზე კარგახანს ვიცინეთ, ამ სიცილ-ხარხარში ვიყავით, რომ ხე-ტყის მიმღები კლიმოვი წამოგვადგა თავზე, იღლიაში საქაღალდე ამოეჩარა, ხელში კი განუყრელი მეტრიანი სახაზავი ეჭირა. დასაჯდომი ადგილი შევთავაზეთ ცეცხლთან, ისიც უყოყმანოდ ჩამოჯდა და ჯიქურვე შეგვეკითხა: — ბიჭებო, ახალი ამბავი ხომ არაფერი გაგიგიათ? — ამ შეკითხვაზე ყველამ ყურები ვცქვიტეთ და თითქმის ერთდროულად ვკითხეთ: — რა სიახლეა ივან ნიკალაევიჩ, სასიკეთო ხომ არაფერია? — კლიმოვმა აქა-იქ გაიხედ-გამოიხედა, თითქოს ვიღაცის ეშინიაო და შემდეგ დაბალი, შიშნარევი ხმით დაიწყო: — ბიჭებო, არ ვიცი, რამდენად მართალია, რაღაცას მოვკარი ყური, თითქოს წუხელ რადიოს გადმოუცია უკანასკნელ ცნობებში, რომ სტალინს ტვინში სისხლი ჩაქცევია და უგრძნობ მდგომარეობაშია, ძალიან მძიმედ ყოფილა ავად.

მოსმენილმა ამბავმა ყველას ენა ჩაგვიგდო, ხან ამბის მომტანს შევცქეროდით, ხან — ერთიმეორეს და ხმას ვეღარ ვიღებდით, რატომღაც არ გვჯეროდა, რომ ამ ლეგენდადქცეულ პიროვნებას ავადმყოფობა ან სიკვდილი შეეხებოდა.

— არა მგონია, — დაიწყო ბოლოს ლიხაშერსტოვმა, — არა მგონია, ტყუილს ვინმე იტყოდა და ასე გავრცელდებოდა ჭორი, ასე უცებ განა რა დაემართებოდა მაგ კლდეკაცს? მითუმეტეს, მედიცინის პროფესორები და აკადემიკოსები ადგანან თავზე, ყოველდღიურად ამოწმებენ მის ჯანმრთელობას.

— აბა, რა ვიცი, — დატუქსული ბავშვივით წამოიწყო კლიმოვმა, — მე, როგორც გავიგე, ისე გითხარით, ისე კი ძალიან გთხოვთ, ბიჭებო, ასე იცოდეთ, რომ ჩემგან არაფერი არ გაგიგიათ, ეშმაკმა დალახვროს, ხათაბალას არაფერს გადავაწყდე ლაზღანდარაობის გამო, რაღა ეგ მჭირდება, ათი წელი ზურგზე მკიდია კაცს, — ეს რომ თქვა, წამოდგა და წელმოწყვეტილივით წავიდა თავისი საწყობისაკენ.

ის კი წავიდა, მაგრამ მოსმენილი ამბის შემდეგ რაღაც უცნაური ფიქრით შეპყრობილნი, დიდხანს მდუმარედ ვისხედით და შევცქეროდით მოგიზგიზე ცეცხლს, — ისე კი, კაცმა რომ თქვას, რატომ არ შეიძლებოდა სინამდვილე ყოფილიყო ეგ ამბავი? სტალინიც ხომ ჩვეულებრივი ცოცხალი არსებაა, ისევე, როგორც ჩვენ. გაუბედავი ხმით წამოიწყო ხარჩუკმა, — მიქელ-გაბრიელი არავის არ ეკითხება, არც თანამდებობას, არც წლოვანებას და არც იმას, წამომყვები თუ არაო.

— კარგით, ბიჭებო, გეყოთ, მოვრჩეთ ახლა ამაზე ლაპარაკს და მუშაობას შევუდგეთ, ჩვენი თქმით, არც ასე იქნება და არც ისე, თუ მართალია ეგ ამბავი, მალე გაირკვევა, თუ არადა, ჩაივლის ისევე, როგორც სხვადასხვა ჭორებს ჩაუვლია, შევეშვათ ზედმეტ ლაპარაკს, საღამოს იქნებ რადიომ გვაუწყოს სინამდვილე, — გვითხრა ბრიგადირმა და ჩვენც წამოვიშალენით, გავაწყვეთ ხერხები და სულ მალე მუშაობამ წაგვართვა ეს საფიქრალი.

როგორც იქნა, დაჰკრეს საღამოს სამუშაოს დამთავრების ზარი. სასწრაფოდ გამოვცვივდით გასათვლელ მოედანზე, აქ გადაგვთვალა ბადრაგების უფროსმა და რაკი სათვალავი სწორი იყო, ზარს ჩამოჰკრა ბადრაგების საგუშაგოებიდან მოსახსნელად.

ზონაში მოსულებმა სასწრაფოდ ვივახშმეთ და ბარაკებში გავიქეცით, რომ ეგებ ალაპარაკებულიყო რადიო და ეთქვა რაიმე სტალინის ჯანმრთელობის შესახებ.

ჩვენ კი ველოდით, მაგრამ იმ საღამოს რადიო არ ჩაგვირთეს. მეორე დღეს ე.ი. 5 მარტს, გვიან ჩართეს რადიო და ღამის უკანასკნელ ცნობებში მოსკოვმა გვაუწყა, რომ სტალინი გარდაიცვალა...

სტალინის სიკვდილი მსოფლიოს საზოგადოებრიობამ დაიტირა იგი. ამ მხრივ, ძალზე საგულისხმოა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის წერილი, რომლის შინაარსი ასეთია:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

ამხანაგ ნ.მ. შვერნიკს

ამხანაგო შვერნიკ!

ჩინელმა ხალხმა, ჩინეთის მთავრობამ და პირადად მე, უსაზღვრო მწუხარებით გავიგეთ ჩინელი ხალხის ყველაზე ძვირფასი მეგობრისა და მასწავლებლის, ამხანაგ სტალინის გარდაცვალება. ეს უდიდესი დანაკლისია არა მარტო საბჭოთა ხალხისათვის, არამედ აგრეთვე ჩინელი ხალხისათვის მშვიდობისა და დემოკრატიის მთელი ბანაკისათვის და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებისათვის. ჩინელი ხალხის, ჩინეთის მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით, მინდა გადმოგცეთ თქვენ, საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა მთავრობას ჩემი ულრმესი სამძიმარი.

ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება სრულიად განუყრელად დაკავშირებულია მუდმივ ზრუნვასა, ხელმძღვანელობასა და დახმარებასთან, რომელსაც ამხანაგი სტალინი გვიწევდა უკანასკნელი 30 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში. ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ამხანაგი სტალინი, დიდი საბჭოთა ხალხი და საბჭოთა მთავრობა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, დიდსულოვან და უანგარო დახმარებას უწევდნენ ჩინელ ხალხს მის აღმშენებლობით მუშაობაში, ჩინელ ხალხს მუდამ მადლობით ეხსომება ეს დიდი და ღრმა მეგობრობა, რომელსაც ამხანაგი სტალინი უწევდა ჩინელ ხალხს, ამხანაგ სტალინის ჩაუქრობელი ლამპარი მუდამ გააშუქებს გზას, რომლითაც მიდის ჩინელი ხალხი“...

*მა ოძე-დუნი.*

სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საკავშირო პოლიტბიუროში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეობიდან გადაყენებულ იქნა ნ.მ. შვერნიკი და მის მაგივრად დაინიშნა კ.ე. ვოროშილოვი.

იმ დღეებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ჩვენს ბრიგადაშიც, ბრიგადირი ლიხაშერსტოვი ლაგერის წესრიგის უხეშად დარღვევისათვის მოხსნეს სამუშაოდან და კარცერში ჩასვეს.

ერთ საღამოს, წარმოების უფროსის მოადგილემ (გვარად კიცამ) თავისთან გამომიძახა და წინადადება მომცა, დავმდგარიყავი ბრიგადირად. მას ასე ეგონა, დიდად აღტაცებული შევხვდებოდი მის წინადადებას და რაოდენ განცვიფრებული დარჩა, როდესაც ცივი უარი ვტკიცე.

— როგორ, შენ გესმის, რას გთავაზობენ და რაზე ამბობ უარს? ამ ადგილის გულისთვის, იცი, რამდენი ცდილობს ლაგერის უფროსის გულის მოგებას? შენ ხომ იცი, ბრიგადა საათივით არის აწყობილი, სხვა რატომ უნდა მოვიდეს, გიმუშავია, ბრიგადის ყველა წევრს ახლოს იცნობ, მათაც სჯერათ შენი, გენდობიან, დამსახურებაც კარგი გაქვს, სხვა რაღა უნდა გიშლიდეს ხელს? ვერ გამიგია შენი, — სხაპა-სხუპით მომაყარა კიცამ.

— როგორც თქვენ ამბობთ, თუკი მაგ ადგილისთვის რამდენიმე კაცი რიგში დგას, დაე, იყოს რომელიმე მათგანი, მე მაგის სურვილი არ გამაჩნია-მეთქი, — ვუთხარი მას და ვაგრძნობინე, რომ ზედმეტ ლაპარაკს აზრი აღარ ჰქონდა.

კიცა თვითონ ყოფილი პატიმარი იყო და აქ მუშაობის დიდი გამოცდილებაც ჰქონდა. მეც ჩვეულებრივ თამამად ველაპარაკებოდი, მაგრამ არც ის აპირებდა ხელი აეღო თავის ჩანაფიქრზე. როდესაც ვაგრძნობინე, რომ არ მსურდა ჩემსავით დატანჯულ ხალხს ზურგზე ხელებდაწყობილი თავზე დავდგომოდი და ჭკუა მესწავლებინა, ბოლოს ასე მითხრა: — კარგი, რაც არის, არის, წადი ახლა. კარგად მოიფიქრე, გინდ ვინმე კეთილისმყოფელსაც ჰკითხე, ბოლო სათქმელი გადაწყვიტე და ხვალ საღამოს ჩემთან მოდი, მაგრამ გირჩევ ჭკუას მოეგო, შენთვის ასე სჯობიაო.

— წავალ, მაგრამ ხვალაც ამავე აზრს მოგახსენებთ-მეთქი, ვუთხარი, ღამე მშვიდობისა ვუსურვე და გარეთ გამოვედი.

— ბარაკში მისულს, ჩემს საწოლზე ჩამომჯდარი მტვირთავების (ჩუმას ხალხის) ბრიგადირი მაჩალკინი დამხვდა. ხელში რაღაც „ქსივა“ (პატარა წერილი) ეჭირა, რომელიც მისვლისთანავე შემომაჩეჩა და ასე მითხრა:

— ლიხაშერსტოვს გამოუგზავნია კარცერიდან, წაიკითხე, მოიფიქრე და პასუხი დაწერე, მერე პატარა სასუსნავი რამე მოვაგროვოთ და პასუხთან ერთად შევუგზავნოთო კარცერში.

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №28

# გურული „ავაზაკები“ და „მცირე რევოლუცია“ ლანჩხუთში

ძვირფასო მკითხველო, სანამ გავაგრძელებდე თხრობას იმის შესახებ, რომ სუფსაში მწუხარე სახის რაინდივით მჯდომმა რა ღონისძიებებს მივმართე რესპუბლიკურ პრესაში გურულ „ავაზაკთა“ ან, „მცირე რევოლუციის“ შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად, მანამ მინდა გაუწყოთ, რომ გაზეთ „საქართველოს“ წინა ნომერში პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდეგ, ამ გაგანია ზაფხულში სიცხისაგან ისედაც გადახურებულ ჩემს ტელეფონს, გაუთავებელი რეკვით სულ ბოლი ასდის.

საქმე იმაშია, რომ საქ. პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის, ბატონ გივი გიგინეიშვილის საახლობლო წრემ ლამისაა ამიკლოს. ეტყობა, ჟურნალ „სარკის“ ძველი (1999 წლის 7-14 აპრილის) ნომერი ვერ უშოვიათ (სადაც იგი ლანჩხუთის საკრებულოს „ავაზაკთა“ ბანდად მოიხსენიებს) ან ჩემს გულწრფელობაში ეპარებათ ეჭვი — არ იკადრებდა ბატონი გივი მაგასო.

მე საცოდავს, არც ლანჩხუთელების თბილისური დიასპორისგან მადგას კარგი დღე — საკრებულოს მიერ დიდუბის სასამართლოში შეტანილი სარჩელი გვაჩვენე, გვაინტერესებს რას ამბობენო. უბედურება იმაშია, რომ ამ სიცხეში ჩემთან მოსვლა ყველას ეზარება და საბუთის გასაცნობად ზოგი თავის სახლში მიპარებს, ზოგი სახლთან ახლოს. ალბათ, ჰგონიათ, ამდენს რომ დარბის — ერთი ტანმორჩილი, ცქვიტი ვინმე იქნებაო.

ბატონებო! მინდა გაცნობოთ, რომ ვარ საკმაოდ დიდი მასის პატრონი და თქვენი არა იყოს რა, ამ აგვისტოს ხვატქში ჩემი კარიკარ სიარული სიკვდილის ტოლფასია. ამიტომ ვაკმაყოფილებ რა ორივე მხარის ცნობის წადილს, სამზეოზე გამოვიტან ამ ჩემდა ძვირად მოპოვებულ დოკუმენტს. მაშ, ასე...

ქალაქ თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს

მოსარჩელე: ლანჩხუთის რაიონის საკრებულო

ქალაქი ლანჩხუთი. ჟორდანიას ქ 37 ტ. 34-34

მოპასუხე: საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გივი გიგინეიშვილი. მცხოვრები ქალაქი თბილისი, დიდუბის რაიონი. წერეთლის გამზირი

სასარჩელო განცხადება

1999 წლის 7-14 აპრილს ყოველკვირეულ ჟურნალ „სარკეში“ 14 (59) 28-29 გვერდზე გამოქვეყნდა ჟურნალისტ ბელა ჩეკურიშვილის ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარესთან ბატონ გივი გიგინეიშვილთან სათაურით „იესოს შემოსვლის დღესასწაულს ვზეიმობთ და ბუნებას ვაჩანაგებთ“ — ქვესათაურით — „განა ერთი რტო საკმარისი არ არის?“ ბატონი გივი გიგინეიშვილი კორესპონდენტის შეკითხვაზე: „მაგრამ ამკრძალავი კანონის მიღება ხომ მაინც შეიძლება?“ პასუხობს: „მივიღეთ კანონი კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ. სამეგრელოს რეგიონში ეს საკითხი ასე თუ ისე დარეგულირდა. გურიაში დიდი წინააღმდეგობა შეგვხვდა. ლანჩხუთის საკრებულოს სახით ავაზაკთა ბანდაა წარმოდგენილი. ავუხსენით, ეს პარკი კეთდება იმისათვის, რომ კოლხეთის დაბლობი არის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია. მდებარეობს გადამფრენი ფრინველების ტრასაზე და რომ იტყვიან, მათი აეროდრომია. ეს პარკი არის ფინანსების მოზიდვის საშუალება. მსოფლიო ბანკი სამ მილიონ დოლარს დებს, სადაც დასაქმდება ხალხი. არ გვინდა პარკი. უტყეოდ გვტოვებთო — ასეთი იყო მათი პასუხი. მომავალზე კაცი არ ფიქრობს. საერთოდ, არაფერი არ აინტერესებთ“.

ვიცით რა, თუ რა საგანს ეხება გ. გიგინეიშვილი, ვართ ინიციატორები და მონაწილე იმ ღონისძიებებისა, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ლანჩხუთის რაიონში დაინტერესებული სამინისტროებებისა და უწყებების მრავალი კომპეტენტური პირის მონაწილეობით. ამა წლის 13 მარტს სხდომას ესწრებოდნენ მაჟორიტარი დეპუტატი ლანჩხუთის რაიონიდან საქართველოს პარლამენტში ბატონი რ. კვაჭაძე, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის დაცული ტერიტორიების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ბატონი გია გვაზავა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი, ქალბატონი ნინო ჩხობაძე, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილე, ბატონი დ. ნაკანი, მიწის მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი გ. ჩიქვილაძე, სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბატონი გ. ჯაფარიძე, გეოლოგიის სამმართველოს უფროსის მოადგილე ბატონი ვ. კერესელიძე, თვით გ. გიგინეიშვილი, ლანჩხუთის რაიონის საკრებულოს წევრები და ლანჩხუთის რაიონის აქტივი.



ლანჩხუთის საკრებულოს მთავარი „ავაზაკები“ მარცხნიდან მარჯვნივ:
1) **რომან ბიწაძე** — რაიონული საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების დაცვის კომისიის თავმჯდომარე — მ. კოსტავას საზოგადოების წევრი.
2) **დავით წულაძე** — რაიონული საკრებულოს თავმჯდომარე. არჩეულია მოქალაქეთა კავშირის სიით.
3) **დავით გოგიჩაიშვილი** — რაიონული საკრებულოს „ადამიანთა უფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის კომისიის თავმჯდომარე. არჩეულია მოქალაქეთა კავშირის სიით.

ჩვენ გაგვაოგნა და სულის სიღრმემდე შეურაცხგვყო გ. გიგინეიშვილის ჩვენს მიმართ გამოთქმულმა უხეშმა შეფასებამ, მით უმეტეს, რომ ჩვენი საკრებულოსა და სტუმართა ნაწილის ორდღიანი ერთობლივი მუშაობისას არსებული სიტუაცია და გაგების ატმოსფერო არ სტოვებდა ეჭვს, რომ საკითხი მოითხოვდა სპეციალისტთა მიერ საკითხის ღრმად და ზედმიწევნით, ობიექტურად შესწავლას და საკრებულოს წევრთათვის არაკომპეტენტურობაში ბრალი არავის დაუდია — პირიქით, ჩამოსულთაგან ბევრმა აღნიშნა ამ კონკრეტული საქმისადმი საკრებულოს წევრთა მხრიდან პროფესიონალური მიდგომის ფაქტი. საკითხის ღრმად გაგება და გულისტკივილი რაიონის ბედისადმი, რაც აღინიშნა ღონისძიების ოქმში და პარლამენტის პრესსამსახურის ვიდეომასალებში, გამოქვეყნდა ადგილობრივი პრესის მიერ.

რაიონის მოსახლეობის მიერ ჟურნალ „სარკეს“ პუბლიკაცია მიჩნეული იქნა, როგორც ამომრჩეველთა პირადი შეურაცხყოფა, მათი რჩეულების „ავაზაკთა ბანდად“ მონათვლა გახდა რაიონში არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების (საკრებულოში წარმოდგენილია 6 პოლიტიკური ორგანიზაცია: მოქალაქეთა კავშირი, სახალხო პარტია, დემოკრატიული აღორძინების კავშირი, ედპ, მერაბ კოსტავას საზოგადოება, ტრადიციონალისტთა კავშირი) მსჯელობის საგანი. ისინი მოითხოვენ, რომ კანონის „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“ მე-4 თავის „პასუხისმგებლობა საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის“, 21-ე მუხლის „პასუხისმგებლობა ხელშეუხებლობის, პატივისა და ღირსების ხელყოფის, ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებზე კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედებისათვის“ — თანახმად, აღიძრას სარჩელი ბატონ გივი გიგინეიშვილის მიმართ და საკრებულოს წევრთა პატივისა და ღირსების ხელყოფისათვის, საკრებულოს, როგორც რაიონის მმართველობის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს შეურაცხყოფისათვის, რაც გამოიხატა წერილობითი ფორმით გ. გიგინეიშვილის ზემოთაღნიშნულ ინტერვიუში, დაეკისროს პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. გვჯერა, რომ მომხდარის სამართლებრივი შეფასება აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა მერმე სულსა“ და მათ მიმართ, ვინც საკუთარი ხელით შექმნილ კანონს თვითონვე არღვევს, კანონმდებლობა განსაკუთრებით მკაცრი უნდა იყოს.

საკრებულოს მიაჩნია, რომ ლანჩხუთის რაიონი, მის მიერ არჩეული რაიონის საკრებულო, პოლიტიკურად ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და გათვითცნობიერებული რაიონი და სტრუქტურაა საქართველოში. აქ არ არის არავითარი დაპირისპირება პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და მოსახლეობაში. ამას რაიონის ნებისმიერი სტუმარი ხედავს და აღნიშნავს კიდეც.

საკრებულოს კომპეტენტურობის, მისი რაიონის ინტერესებისადმი ობიექტური მიდგომის დადასტურებაა ზემოთაღნიშნულ საკითხებზე საზოგადოების მოთხოვნით ცენტრალური ხელისუფლების რგოლებისადმი გაგზავნილი წერილები, რომლებზედაც ობიექტური რეაგირება გამართლებაა ჩვენი მცდელობისა ყველა საკითხი გადაიჭრას ხალხისთვის მაქსიმალური სარგებლობის თვალსაზრისით კანონის ფარგლებში.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ ჩვენი სასარჩელო განცხადება ბატონ გივი გიგინეიშვილის მიმართ და ლანჩხუთის რაიონის საკრებულოს (მთლიანად) და საკრებულოს წევრთა პატივისა და ღირსების ხელყოფისათვის, რაც გამოიხატა მის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალების — ჟურნალ „სარკეში“ დაბეჭდილი შეურაცხმყოფელი ინტერვიუთი და საკრებულოს წევრთა მორალური ზარალის საკომპენსაციოდ დააკისროთ ლანჩხუთის რაიონის ბიუჯეტის სასარგებლოდ ორმოცდაერთი (41) ათასი ლარის გადახდა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებით (ჟურნალი „სარკე“) ბოდიშის მოხდა რაიონის საზოგადოებისა და რაიონის საკრებულოს წევრთა წინაშე.

თანდართული მასალების ჩამონათვალი

ყოველკვირეული ჟურნალი „სარკე“ — 14 (59) 7-14 აპრილი 1999 წელი — 26 ფურცელზე

ლანჩხუთის რაიონში რეგისტრირებული პოლიტიკურ პარტიათა მიმართვა საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტისადმი — ფაქსი. 10 ნოემბერი 1998 წელი — 1 ფურცელი

ლანჩხუთის რაიონის საკრებულოს წერილი 27, 21 დეკემბერი 1998 წელი — 1 ფურცელზე

ლანჩხუთის რაიონის საკრებულოს მიმართვა საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტისადმი 28, 27 იანვარი 1999 წელი — 4 ფურცელზე.

ლანჩხუთის რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ერთობლივი წერილი საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარისადმი — 50, 15 მარტი 1999 წელი — 3 ფურცელზე.

ლანჩხუთის რაიონის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის რომან კვაჭაძის წერილი საქართველოს პრეზიდენტისადმი — 33, 32-1-6 24 მარტი 1999 წელი — 6 ფურცელზე.

ლანჩხუთის რაიონის საკრებულოს დასკვნა „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონის თაობაზე 51.7 აპრილი 1999 წელი — 5 ფურცელზე.

ყოველკვირეული გაზეთი „ლანჩხუთი პლუს“ — 2 ფურცელზე.

ლანჩხუთის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე: დ. წულაძე

მდივანი: ა. ლომაძე

წევრები:

ე. ბარამიძე ე. იმნაძე
რ. ბიწაძე ს. კვაჭაძე
ა. გურგენაძე ე. კალანდარიშვილი
ა. გიგინეიშვილი მ. ურუშაძე
დ. გოგუაძე ა. ქანთარია
დ. გოგიჩაიშვილი თ. პატარაია
ზ. იმნაძე კ. სალუქვაძე
ი. ჩხაიძე გ. ცინცაძე
ა. ხუხუნაიშვილი ბ. ჭყონია

ძვირფასო მკითხველო, სუფსის 1999 წლის 12 მარტისა და ლანჩხუთის 13 მარტის შეხვედრები თბილისიდან ჩასულ სტუმრებთან, ცალკე თემაა. მანამ კი მე და თქვენ, ბატონ გივისთან ერთად დიდი გზა გვაქვს გასავლელი ლანჩხუთის საკრებულოს „ავაზაკთა ბანდის“ თანამზრახველთა მოსაძიებლად.

ე.ი. ვზივარ სუფსაში, ჩემს გამოყრუებულ სახლში და რა ვქნა არ ვიცი. ამასობაში, ჩემი მოძრაობები თანასოფლელებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და სიხარულით აღარ არიან — არიქა, ჩვენებურმა ჟურნალისტმა მოკიდა ხელი ამ საქმეს და ეგება გვეშველოს რამეო. თან ჩემი გასაჭირიც უწყოდნენ (ინფორმაციის ნაკლებობა).

დატრიალდა დიდი და პატარა და მიწიდან ამოილეს გაზეთ „ალიას“ 1999 წლის 15 მარტის ნომერი. სიხარულისაგან მაღლა შევხტი და გადავკოცნე მეზობლები. (ამცდა თბილისში წასვლა). გადავფურცლე გაზეთი და თვალში მეცა უზარმაზარი სტატია სათაურით: „რა ხდება სუფსაში?“ ავტორი — მაია ფურცელაძე. წაკითხვა ვინ გაცალა, სეტყვასავით მომაყარეს — მაი გოგო, სუფსიელი გია ხავთასის ცოლია, ჩვენი რძალი.

მეზობლები დავითხოვე და ძვირფასი შენაძენით ნასიამოვნები, მოგონებებში ჩაივიძირე. მაია ფურცელაძე, საიდან მეცნობა ეს გვარი... და უცებ, გამახსენდა! ადრე, ეროვნული მოძრაობის აღზევების პერიოდში, გამოდიოდა მ. კოსტავას საზოგადოების გაზეთი „სარანგი“, რომლის სტაბილური მკითხველიც გახლდით. თუ არ მღალატობს მეხსიერება, მაიკო ამ გაზეთის ან დამფუძნებელი, ან რედაქტორი იყო. ეს ყველაფერი კაი, მაგრამ მეზობლების ნათქვამმა გამაკვირვა, თუ მისი მეუღლე გია ხავთასია, მაშინ წინა მოწვევის პარლამენტში „წითლებს“ ამ კაცზე დიდი ჭირი არავინ ჰყოლიათ. მაგონდება უმრავლესობიდან თუ ვინმე წამოიძახებდა — ვაიო, პასუხობდნენ — ვაი შენ და ხავთასიო!.. გავიფიქრე სად ეროვნული მოძრაობის ეს ორი ძველი წარმომადგენელი და სად „ნაკომკავშირალი“ ჩხობაძე-მეთქი.

ვერ დავუჯერე მეზობლებს მაიკოს კარის ჟურნალისტობა და სულმოუთქმელად ვეცი გაზეთს. რამდენიმეჯერ წავიკითხე სტატია და... სულ ამერია დავთარი.

შესავალში ვკითხულობთ: „საქართველოში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ცალკეულ რეგიონებში სოციალური აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის და ამ საშიშროებას, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ ცალკეული პოლიტიკოსები უკვე კარგა ხანია წინასწარმეტყველებენო... ამ მხრივ მოსამზადებელი სააგიტაციო სამუშაოები პარტიათა წარმომადგენლების მიერ უკვე კარგა ხანია დაწყებულია. ამისთვის კი ათასჯერ მოტყუებულ და იმედგაცრუებულ სუფსაში განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგი არსებობსო“.

კითხვა შევაჩერე და ჩემს თავზე გავბრაზდი — შე სულელო! რას დარბიხარ ლანჩხუთსა და თბილისში, აგერ, ყურის ძირში შეიძლება იპოვო „ავაზაკები“-თქო.

შემდეგ — „უმუშევრობით, შიმშილით, უპენსიობითა და უშუქობით გაწამებული მოსახლეობა ხშირად მორიგი პროვოკაციის მსხვერპლი ხდება და როგორც ჩანს, ამჯერად ერთ-ერთ სატყუარად ფირმა „ეკოტექსის“ პროექტი იქცა, რომელიც სუფსაში ტორფის გადამამუშავებელი ქარხნის აშენებასა და ამოქმედებას ითვალისწინებს. ფირმის წარმომადგენლები უკვე რამდენიმე თვეა ენერგიას არ იშურებენ მოსახლეობა დაარწმუნონ ამ ქარხნის სასიკეთო მნიშვნელობაში, ჰპირდებიან 500-დან 1500 კაცამდე დასაქმებას, 100-150 დოლარიან სამსახურს, უზრუნველ და ბედნიერ ცხოვრებას. მდგომარეობას ართულებს ის, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო უარს ამბობს ფირმა „ეკოტექსისათვის“ ლიცენზიის გაცემაზე — ფირმა „ეკოტექსის“ მესვეურებს კი გათვალისწინებული აქვთ ტორფის ამოღება იმნათის ტბაზე (მდებარეობს სუფსის ტერიტორიაზე). ეს კი მდებარეობს ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, რომლის შესახებაც კანონი უნდა შეიქმნასო“.

ამის შემდეგ მაიკო შეკითხვას უსვამს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს, ქალბატონ ნინო ჩხობაძეს:

— იქნებ თქვენი უწყების მინუსია ის, რომ თუნდაც ფირმა „ეკოტექსისა“ და პარტიების წარმომადგენლებს უფრო დიდი აგიტაცია აქვთ გაწეული, ვიდრე თქვენს თანამშრომლებს, გინდათ კოლხეთის ეროვნული პარკის თაობაზე?

— მათ მუშაობის მეტი საშუალება ჰქონდათ, ვიდრე ჩემს თანამშრომლებს! რეალურად, მე დღესაც ამაში ჩემს თავს ვადანაშაულებ!!!

სამწუხაროდ, მოსახლეობაზე თამაში ახალი არ არის, ეს არის დასავლეთის მეთოდი. დასავლეთის ქვეყნებში ასეთი მეთოდით ანუ მოსახლეობის საშუალებით ხელისუფლებაზე დაწოლა ხდება. ეს ის მეთოდია, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები ძალიან ხშირად იყენებენ.

ერიჰაა?! — გავიფიქრე, „ავაზაკები“ გურულებში ვერ ვიპოვნე და შეხედე შენ! თურმე უცხოელები დაძვრებიან და მიმღვრევენ სოფელს, თან პარტიებიც აუყოლიებიათ და ხელისუფლებასაც ჭირი გაუჩინეს-მეთქი. ციბრუტივით დავტრიალდი და რაღა გამაჩერებდა სოფელში. უცბად გავექანე თბილისისაკენ და ჯიქურ მივეჭერი ფირმა „ეკოტექსს“. ერთი სული მქონდა, ნაცარტუტად მექცია იქაურობა.

მაიკო, როგორც ვატყობ, ჩვენი რძალი ხარ და შენც ძალიან გაწუხებს „ავაზაკთა“ სრული შემადგენლობის გაგება და ბატონ გივისთან ერთად, ჩემი დახმარებით იქნებ „სამი მუშკეტერის“ ფუნქცია შევასრულოთ და — ვაი, კარდინალ რიშელიეს.

მაშ ასე, ისრაელ-საქართველოს ერთობლივი ფირმა „ეკოტექსის“ ფეშენებელური ოფისი და ჩემს წინ მჯდომი მისი დაბნეული დირექტორი — იური რამაზაშვილი, რომელიც დამტვრეული ქართულით მესაუბრება. მოკლედ, თავი კომისარი კატანი მგონია, და ისიც ძალიან ჰგავს დაკითხვაზე მყოფ პატიმარს. როგორც იქნა, ჩემი განრისხება (ცხელი ყავისა და ბუტერბროდის მიღების შემდეგ) მინელდება და საუბარიც ნელ-ნელა აეწყო.

— ეს თქვენ ამღვრევთ ბატონო იური გურიაში წყალს-მეთქი. რას ბრძანებთო — მიპასუხა და დოკუმენტების მთელი დასტა დამილაგა წინ.

მაიკო, მოდი, ერთად გადავხედოთ. მაშ ასე... **იური რამაზაშვილი**

**იური რამაზაშვილი ფირმა „ეკოტექსის“ გენერალური დირექტორი.**

**დაბადებული რუსეთის ფედერაციის ქ. ნოგინსკში (1946), საქართველოში გადმოვიდა საცხოვრებლად (1950). დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი (1973). ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სოფლის მეურნეობის დარგში 1979 წლიდან.**

**1988 წელს დაარსდა სამეცნიერო კოოპერატივი „როტორი“. საქართველოში პირველად წარმოებაში დანერგა პროგრესული ელექტროჰიდრავლიკური ტექნოლოგია. შექმნა მცენარეების სწრაფი ზრდისათვის დანიშნული ტორფის სტიმულიატორის დამამზადებელი მცირე საწარმო.**

**1991 წელს ისრაელის მოქალაქე ზევ ფრენკელთან ერთად შექმნა ფირმა „ეკოტექსი“ და შეიმუშავა ორგანულ-მინერალური სასუქის „COMF“-ის ტექნოლოგია. 1998 წლიდან ცდილობს დანერგოს ეს ტექნოლოგია ლანჩხუთის რაიონში.**

1998 წლის 30 იანვარს პროექტით შეიარაღებული იური რამაზაშვილი ესტუმრა საქართველოს სახელმწიფო გეოლოგიურ დეპარტამენტს და შეხვდა მთავარ გეოლოგ გურამ აბესაძეს, სთხოვა ინფორმაცია საქართველოში ტორფისა და სხვა აგრომადნების (საპროპელი, ცეოლითი, ფილიფსიტი, ფოსფორიტი) ადგილმდებარეობის შესახებ. აინტერესებდა, თუ რა დონეზე იყო შესწავლილი (გეოლოგიური თვალსაზრისით) ეს საბადოები. თან სასწრაფოდ აჩვენა თავისი გრანულირებული სასუქის წარმოების პროექტი.



იური რამაზაშვილი

გურამ აბესაძემ გამოიძახა გეოლოგი რობერტ დოლიძე, რომელიც არის აგრომადნების საცდელ-საექსპლოატაციო გეოლოგიური პარტიის ხელმძღვანელი და სთხოვა დახმარებოდა რამაზაშვილს. მაიკო, კარგად დაიმახსოვრე ეს გვარი, მე მგონი „ავაზაკთა“ მთავარ იდეოლოგს მივადექით. ეს ისტორიული თარიღია. ამის შემდეგ გვინდა თუ არ გვინდა, ეს ორი პიროვნება სივრცეში ერთად მოძრაობს.

რობერტი თებერვლის დასაწყისში გაემგზავრა ანასეულში და ესტუმრა ანასეულის ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების წარმოებისა და გადამუშავების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს, აკადემიკოს ვალერიან ცანავას და აჩვენა რამაზაშვილის პროექტი. აღფრთოვანებული ბატონი ვალერიანი პროექტს იწონებს და იურისთან შეხვედრის დიდ სურვილს გამოთქვამს. მაიკო, ბატონო გივი — წინ მივიწევთ.

გაგრძელება მე-12 გვერდზე

მე-11 გვერდიდან

# გურული „ავაზაკები" და „მცირე რევოლუცია" ლანჩხუთში

**რობერტ დოლიძე**

**დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლა-ციხეში (1939), დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტი (1965).**

**მუშაობდა „აგრომადნების გეოლოგიურ-საძიებო პარტიაში" უფროსი გეოლოგის თანამდებობაზე და მივლინებული იყო პალიასტომის ტბის საპროპელის შესასწავლად (1975-77).**

**მუშაობდა ლანჩხუთის რაიონის მალთაყვის ტორფის საბადოს დეტალურ ძიებაზე (1987-88), შემდეგ აწარმოებდა საპროპელისა და საპროპელიტის ძიება-შეფასებით სამუშაოებს, კოლხეთის დაბლობზე (1988-92).**

ამის შემდეგ დაფრთიანებული დუეტი (რობერტი და იური) სტუმრობენ ბატონ ცანავას, რომელიც თავისი ინსტიტუტის ვრცელი წარმომადგენლობით ხვდება მათ. ახლა უკვე ფართო საზოგადოების თანდასწრებით იხილავენ პროექტს და ჩვენს მეცნიერს აღუთქვამენ დახმარებასა და თანადგომას.

1998 წლის 4 მარტს უკვე გურიის გუბერნატორის, ბატონ კარლო გუჯაბიძის კარები იღება იურისთვის იოლად. ბატონი კარლო სოლიდური წარმომადგენლობით (შეხვედრას ესწრებოდნენ ვ. ცანავა, გუბერნატორის თანაშემწე რევაზ შავიშვილი და სხვანი) წარსდგა მომავალი „რევოლუციონერის" წინაშე. იწერება ოფიციალური წერილი-მიმართვა რამაზაშვილის უცხოელი პარტნიორის ზევ ფრენკელის სახელზე („ეკოტექსის" პრეზიდენტი).

Государственный уполномоченный президента Грузии в Гурийском крае

№71/11-05

Президенту ООО "ЭКОТЕКС"

Господину Зев ФРенкелю

Генеральному директору

Господину Юрию Рамазашвили

Уважаемые господа,

Принимая во внимание значение государственной важности проекта Комплексного Органо-ЯМинерального Гранулированного Удобрения, считаем целесообразным определить проект приоритетным.

Сцелью ускорения внедрения проекта КОМГУ и нашего дальнейшего сотрудничества предлагаем подготовить проект протокола о намерениях между ООО "Экотекс" и администрацией Гурийского Края Грузии.

С уважением К. Гуджабидзе



ჩანართი 7

G 285-6-R

ГОСУДАРСТВЕННЫЙ УПОЛНОМОЧЕННЫЙ ПРЕЗИДЕНТА ГРУЗИИ В ГУРИЙСКОМ КРАЕ

№ 31/11-05 4. 03. 1998 год.

Президенту ООО "ЭКОТЕКС"
Господину Зев Френкелю
Генеральному директору
Господину Юрию Рамазашвили

Уважаемые господа,

Принимая во внимание значение государственной важности проекта Комплексного Органо-Минерального Гранулированного Удобрения, считаем целесообразным определить проект приоритетным.

С целью ускорения внедрения проекта КОМГУ и нашего дальнейшего сотрудничества предлагаем подготовить проект протокола о намерениях между ООО "Экотекс" и администрацией Гурийского Края Грузии.

С уважением
К. Гуджабидзе

1998 წლის 17 მარტს უკვე ფირმა „ეკოტექსი" მასპინძლობს გუბერნატორს. სტუმართა რანგში მოიხილებიან თვითონ ბატონი კარლო, ვ. ცანავა და რ. დოლიძე. 25 მარტს კი იდება ხელშეკრულება.

ДОГОВОР О СОТРУДНИЧЕСТВЕ (РАМОЧНЫЙ)

Тбилиси - Озургети
25 Марта 1998

Настоящий договор заключен на основе взаимного согласия между Администрацией Гурийского края с одной стороны и Гу=рузино-Израильской научно-производственной фирмой ЭКОТЕКС ООО с другой стороны и включает в себя нижеследующее.

1. Стороны договорились осуществлять совместную дефтельность по внедрению на територии Гурийского края прогрессивных, экологически чистых технологии в области сельского хозяйства и смежных с ней отраслей, вкючая производство удобрений. В своей деятельности стороны руководствуются государственными интерессами и преследуют главную цель - экономическое развитие края с учетом экологической устойчивости и повышение благосостояния его населения.

2. Совместная деятельность распределена между сторонами следующим образом:

ЭКОТЕКС ОО - вносит технические предложения и проекты, финансирует и выполняет все работы, связанные с разработкой и постановкой продукции на роизводство, а также ее реализацию. Финансирует и производит опытно-производственные научные работы на територии Гурийского грая, по внедрению новых технологии.

Администрация края - содействует реализации проектов, осуществляет правовую и государственную поддержку при лицензировании, выцелении земельных участков, получении грантов и инвестиции, представяет совместные интересы в высших органах государственной власти и перед Президентом Грузии.

При этом, деятельность каждой из сторон осуществляется по взаимному согласованию и на основе общих интересов.

3. Правовые и материальные взаимоотношения между сторонами регулируются законами и нормативными актами Грузии, соответствующими специфике каждого конкретного проекта в отдельности, а также дополнительными контрактами, создаваемыми в рамках настоящего договора.

4. Срок действия договора не ограничен во времия и может быть пролонгирован, изменен или прекращен на основе взаимного согласия сторон.

От Администрации Гурийского Края

1. Государственный Уполномоченный Президента Грузии в Гурийском Края Госп. Карло Гуджабидзе

От ЭКОТЕКС-ООО

1. Президент фирмы



ДОГОВОР О СОТРУДНИЧЕСТВЕ
(РАМОЧНЫЙ)

Тбилиси - Озургети
25 Марта 1998

От ЭКОТЭКС-ООО

1. Президент фирмы

ბატონო გივი და ქალბატონო მაია, ჩემო „მუშკეტერებო", აქ უკვე საბოლოოდ დავიბენი. აკი, „ეკოტექსმა" ხალხი არია და ხელისუფლების წინააღმდეგ მომართაო? მე ვიფიქრე, ალბათ, კონსპირაციულად დადიოდნენ და „ბნელ" ძალებთან ჰქონდათ კავშირი-მეთქი. ამათ კი პირდაპირ მთავრობიდან დაუწყიათ. ახლა, არ მითხრათ, ჩხობაძე მთავრობაა და გურიის გუბერნატორი არა-ო, თორემ გადავირევი. მაგრამ, მოდი, ნუ ვიჩხუბებთ თან ცოტა ჩვენც შევისვენოთ და მკითხველიც შევიბრალოთ.

**დამოუკიდებელი ჟურნალისტი
გიორგი ვასაძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



კარლო გუჯაბიძე — გურიის გუბერნატორი

# ფრაგმენტები ოტიასთან საუბრიდან



„ვინაა, თუ კაცი ხარ, ე ბერძენიშვილი?! რა ლაპარაკია ეს! რას ნიშნავს „ფაშისტური", აბსოლუტურად გაუგებარია ეს სიტყვა მაშინ, როცა საქმე ეროვნულს ეხება და გულისხმობს. რა, ეროვნული თუა, ფაშისტურია? თუ ამას გულისხმობს, მაშინ რას ერჩოდი იმ რუსებს! რავა, გაძალებდნენ აუცილებლად ეროვნულები იყავითო?! თუ პირიქით... იმის დისიდენტი იყავი, რომ ქართველობა არ მინდაო?! რამდენადაც ვიცი, დისიდენტობის უპირველესი იდეა სწორედ ეროვნულობისა და თავისუფლების საკითხი იყო!.. ეგ აპა, რისი დისიდენტი იყო! ისე ხომ უნდა ილაპარაკო, რომ ეჭვი არ მიიტანოს კაცმა! ეროვნება არ მინდაო... ამას თუ იტყოდი, მაგისთვის ვინ დაგიჭერდა? გარდა ამისა, სულ ერთია, შენ რუსის იქნები, ფრანგის თუ ამერიკელის! რა განსხვავებაა! ელემენტარული ლოგიკა ხომ უნდა იყოს?!

„მერე ეს პატარა გოგო რომ ყოფილა ვილაცა... თამაზს ხომ დაეჯერება, სიმწიფის ასაკში ახალი შესული, კირთ... კი არა, კვესიტაძე, კვესიტაძე! ახალგაზრდა ქალისგან როგორ შეიძლება ასეთი თავმიშვებულობა და თავგასულობა!.. რედაქტორი ხომ ჰყავს გაზეთს! კი ბატონო, ვიცი, თამაზს რომ უსაფრდებიან... იმიტომ, რომ ეს არის სპეკულაცია გაზეთის გასაღების მიზნით. გაზეთის რეალიზაცია წივწივაძის სახელის შებღალვის ხარჯზე! მესმის, მარა, ამასაც ხომ გააჩნია რალაცა ზღვარი! ასე იოლად უმწიფარი გოგუშკასაგან შეიძლება ამდენი ტიტინი და, შენ რომ რედაქტორი ხარ, ამის გამოქვეყნება?! შენ კი გაძლევს ხელს წივწივაძის თათხვა, იმიტომ რომ გაასაღო გაზეთი, რომელზეც არავინ ეფეთება, მარა ჩვენ ალარა ვართ სათვალავში?! ი ბალანე მარტო თავმჯდომარეს ხომ არ ლანძლავს, მთელ მწერლობას!.. იმიტომ, რომ ... თურმე ჩვენ რომ მწერლების თავკაცი გვეგონა, სოკოების ქურდი არ ნამყოფარა?

გამოიტანა და შეაკვრიხინა ხუთი მილიონი დოლარი!.. შეთქვლიფა ამდენი და ამდენი, მუსრი გაავლო ბიუჯეტს! რა ბუტბურია ეს?! გასაგებია — თამაზთან პაექრობა ყველაზე სარფიანი ბაზარია!.. პრეზიდენტი უკვე მოსწყინდათ! ახლა თამაზია მიზანში, რადგან ის პოპულარულია და, თუ შეკამათდები, მაშინვე რიგი დადგება გაზეთზე, ხოლო, თუ გვარიანად მიალანძლავ, მაშინ პოლიციას უნდა უხმო, თორემ თავპირს დაალეწავენ ერთმანეთს გაზეთის მუშტრები!..

მექანიზმი მარტივია — თამაზს ხომ კაი მოზრდილი ტიპები ჰყავს საკადრისად გამოაშკარავებული! ჰოდა, იმ ხალხს შენ დაასწრებ გაზეთის ყიდვას? აქეთ ცოლეული, იქით — ბიძაშვილ-მამიდაშვილობა, ამხანაგობა და ამფსონები. თავის ჯიხურიანა შეისყიდიან გაზეთს და მერე უფასოდაც დაარიგებენ — წივწივაძეს სანამ დაიჭერდნენ, სააშკარაოზე გამოჰყავთო!..

ეს ელემენტარული ვირეშმაკობაა, მაგრამ ... სულ რომაა საზღვარს გადასული?! თანაც, მარტო თავმჯდომარეს რომ არ კმარობს, მოგვინელებს ვითომ ყველას ეს ერთი ციდა ბოვში?!"

„ეს უსახელო კორესპონდენტი ვილანაა, ინკიგნოტად რომ მამუნათებსაქაოდა, ოტია იოსელიანს რომ ჭკუა მისცა, „მოქალაქეს" დაუჭერდა მხარს და არა — „ქართველს" იმიტომ, რომ ... ის „საქართველოს მოქალაქე" ნელნელა და თანდათანობით, როგორც ყივჩაღები, ისე გაითქვლიფებიან ქართველებში და დემოგრაფიულად გავმრავლდებოდითო!..

კარგად შვება, გვარ-სახელს რომ არ წერს. უგრძნო ეტყობა გულმა, თავსლაფი რომ არ ასცდებოდა!..

რას გეტყვი, ბიძიკო, იცი? (არა მგონია, ავტორი ხანშესული და ჭკუადამჯდარი იყოს) დავით აღმაშენებელი იმიტომ კი არ არის გენიოსი, შენ რატომაც გგონია, არამედ იმიტომ, რომ ყივჩაღობა ჩვენში თავისთავად მოიშთო და აი, რატომ: თუ ყივჩაღი ვაჟი დაიბადებოდა, იგი იმთავითვე ჯარისკაცი იყო! ეს გახლდათ მისი შთამომავლობითი მოვალეობა. სხვა საქმე მას ამქვეყნად არაფერი გააჩნდა. თანაც, არ დაგავიწყდეს, ყივჩაღები ფანატიკურად მეომარი ხალხია!.. დავითის ორმოცათასიან არმიას ხუთიათასკაციანი ყივჩაღების არმია ჰყავდა არიერგარდში. ისინი სულ მზადყოფნაში იყვნენ, როგორც რეგულარულ ჯარს შეშვენის! მოაწყდა, ვთქვათ, მტერი ქვეყანას, სპარსია, თურქი თუ ათასი მუდრეგი. მზად ეგია, ყივჩაღები არიან. სანამ სვანი ჩამოხეტიალდებოდეს ცხენითა თუ ჯორ-ცხენით და სანამ მოაღწევდეს ბრძოლის ველს, მტერი მთლად დაგვარბევდა! მაგრამ რეგულარული ჯარი ებმება უმალვე ბრძოლაში, თავის თავზე იღებს ძლიერ შეტევას და ბუნებრივია, იხოცებიან კიდევაც. ამასობაში მოუსწრებთ ძირითადი ჯარიც და მართლაც მტრისას, იმათ დღე ადგებოდათ დავითის უებრო წინამძღოლობით!..

ამიტომ, დღესაა თუ ხვალ, ზეგ თუ მაზეგ, ეს მოწინავე ჯარი, გინდა-არგინდა, წყდება!.. ქართველს სახლში გაუშვებდა, გამარჯვების შემდეგ, წადი, დახანი, დათესე, ოჯახს მოუარეო!.. ეს ყივჩაღი იქვე რჩება, ისევ ჯარისკაცად რჩება, იმიტომ რომ... ან მამული სად აქვს, ან ოჯახი, რომ დაუბრუნდეს? ამიტომაც ისევ ჯარში რჩება და ახალ შეტაკებებს ემსხვერპლება!..

აი, ამის მშვენიერი მაგალითი. აფხაზეთშია დავითი. იცის მტერმა ამის თაობაზე, მსტოვრები ჰყავს და შეიტყო, აფხაზეთს რომაა. ზამთარია საშინელი. ისტორიკოსი როგორც ამბობს, რიკოთზე თოვლი სამი მკლავის გაშლაზე დევს სიმაღლეში. ეს ოთხიხუთი მეტრი მაინცაა. სელჯუკს სჯერა, რომ დავითი მთელი ზამთარი ვერ გადმოაღწევს აფხაზეთიდან. ამიტომ ბაირამობს. მაგრამ დავითი მაინც მოდის!.. რადაც უნდა დაუჯდეს, მაინც უნდა გადავიდეს ქართლში! არავითარი გზა და ხიდი არ არსებობს. არის მხოლოდ ტყე უზარმაზარი თოვლით დაფარული!..

მტერი დარწმუნებულია, გაზაფხულამდე თავი ქუდში მაქვსო. ქართველი ახლა ბუხარს უზის, გულჯავრიანი ღვინოს წრუპავს და გაზაფხულზე აპირებს ჩემთან შერკინებას, მაგრამ მაშინ მე უკვე სამშვიდობოს ვიქნები ჩემი ნადავლითო!

დავითმა ბრძანა, ახლავე უნდა გადავიდეთო! წარუძღვა რაზმს, გაარღვია და გაააპო ის ვეება ზვავი, გაიყვანა მეწინავე ჯარი, მტერი სულ რომ არ ელოდა, მაშინ დასცეს ყიჟინა, ეკვეთნენ და ისე მოსრეს იქაურობა, ამბის წამღებიც არ გაუშვიათ ცოცხალი!..

ეს რეგულარული ჯარი რომ ჰყავდა და თავადაც რომ იყო უებრო მებრძოლი, იმიტომ შეძლო შეუძლებელი!.. თორემ დავითმა გეგუთში მიილო მეფობის ტიტული, თოთხმეტი წლის ბიჭმა! ქუთაისიც მტერს ეკავა მაშინ.

ამიტომ ვამბობ: რას ბუტბურობს ეს ვინცხა ეშმაკია!..

კიდევ უფრო უარესს გეტყვი: დავითის მერე არის დემეტრე, დემეტრეს მერე გიორგი, გიორგის მერე არის თამარი. აუჯანყდნენ თამარს, დაანგრიეს ყველაფერი და... ყუბასარი დაუდგა გვერდში, უერთგულესი ყუბასარი! დადიანებმა და სხვებმა რომ უღალატეს, ქართველმა დიდებულებმა, ყუბასარმა უერთგულა... რაი მერე, პირველსავე დარბაზმა გადააყენა იგი, როგორც არა ქართველი! მაშინდელი კანონმდებლობით არ შეიძლებოდა ამოღენა თანამდებობაზე არაქართველი რომ ყოფილიყო!.. ამგენის ჭკუით რა გამოდის — პირველი ქართველი ფაშისტები თამარისდროინდელი დარბაზის წევრები ყოფილან!..

ი ყუბასარს რომ მიხსენებს თავის წერილში, რავარი ერთგული იყოო, მერე? ერთგულობის გამო გადააყენეს, თუ არაქართველობის გამო?! ის რომ აქვს კიდევ აჩემებული... ზაქარიასაც რომ მიხსენებს, მხარგრძელს, მაგიც კიდე საკითხავია: როგორ კაცო, ყუბასარი გადააყენეს და მეორე არაქართველი დააყენეს? არავის არაფერი შეეშალოს!.. მხარგრძელი ქართველი გახლდათ. მას სომხეთი ეკუთვნოდა, როგორც სამფლობელო და სომხური რელიგიაც ჰქონდა მიღებული, მაგრამ სომეხი კი არ ყოფილა!.. ეს თუ სომეხი იყო, მაშინ ყუბასარმა რაღა დააშავა?

ამჟამინდელი ჩიტირეკია ჟურნალისტებისაგან განსხვავებით, მაშინდელმა ხელმწიფის კაცებმა და დარბაზის წევრებმა მშვენივრად უწყოდნენ, რომ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის შენარჩუნება სომხური რელიგიის მიმდევარს უკეთ შეეძლო. პოლიტიკა იყო ეს!..

**დიქტოფონით ჩაიწერა
გიზო ზარნაძე**

**წყალტუბო, ივლისი.**

# „პატივცემული საზოგადოება" ანდრიაძის წინააღმდეგ

1997 წლიდან საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს ბრალდების საქმეს სასკოლო ინვენტარის ექს. დირექტორის მირიან ანდრიაძის მიმართ აღძრულს სისხლის სამართლის კოდექსის სამი სხვადასხვა მუხლით: სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება; მავნე პირთა ჯგუფთან ერთად სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ქონების დიდი ოდენობით დატაცება და სამსახურეობრივი სიყალბე.

აი, ეს გახლავთ ბრალდებების ის ნუსხა, რომლითაც გამოძიებამ ანდრიაძე საკმაოდ „დახუნძლა".

როგორც ანდრიაძე აცხადებს, მის მიმართ წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლოა და იმ მაფიოზური კლანის დაკვეთითაა შესრულებული, რომელიც ზურგს უმაგრებს ფაბრიკის ამჟამინდელ, თვითმარქვია ხელმძღვანელობას.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 1997 წელს ანდრიაძე ქარხნის კოლექტივის მცირერიცხოვანი ნაწილის მიერ, იძულებით იქნა მოწყვეტილი ქარხნიდან. მოახდინეს მისი კუთვნილი აქციების კონფისკაცია, რასაც მოყვა კოლექტივის თანდათანობითი დისკრედიტაცია.

ანდრიაძე განაგრძობდა მისი დ. ქარხნის კოლექტივის ერთი ნაწილის ინტერესების დაცვას სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული გზებით. მისი ბრძოლის უნარის დაქვეითების მიზნით შეთითხნეს სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც შ.ს.ს.-ის გამომძიებელი მაღლაფერიძე იძიებდა. იგი ხარაგაულის რაიონის სოფ. მარელისის გრეხილი ავეჯის კომბინატის აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელია, ხოლო სასკოლო ინვენტარის ფაბრიკასა და აღნიშნულ კომბინატს შორის ურთიერთობას ტრადიციული ხასიათი ჰქონდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მარელისის ავეჯის კომბინატის დირექტორი, იგივე მეთოდებით მოიშორეს, რა მეთოდებითაც ანდრიაძის მოშორებას ცდილობენ, მოკლედ, ამ საქმეში ერთი და იმავე „ხელწერა" თვალნათლივ ჩანს.

ამის შემდეგ „აქციონერმა გამომძიებელმა", ანდრიაძე და მოსამართლე კონჯარია ერთად დაიბარა დაკითხვაზე. საპროცესო კანონმდებლობის სრული იგნორირებით, შ.ს.ს.-ში მოაწყვეს მინისასამართლო პროცესი და ანდრიაძე ათი დღით, ყოვლად უსაფუძვლოდ „ჩააყუდეს".

ასევე ყურადსაღებია ის გარემოება, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის სისხლის სამართლებრივი დევნისა და გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსმა, ბატონმა თ. ჟღენტმა 16.02.99-ს წერილი მისწერა შ.ს.ს.-ს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ზ. ხაჟალიას, რომელშიც ამბობს: „ვთვლი, გარემოებათა შეცვლის მოტივით შეწყდეს სისხლის სამართლის საქმე".

ე. ი. არ არის დანაშაული. დანაშაულის არარსებობის შემთხვევაში პროკურატურა, როგორც ზედამხედველი ორგანო, შესაბამისი სამმართველოს სახით, ფაქტიურად უარს ამბობს ბრალდებაზე. ასეც მოხდა, მაგრამ გამოძიება მაინც გაგრძელდა. თუ საქმე სასამართლომდე მივა, აღბათ პროკურორის ფუნქციას სასამართლო იკისრებს (თუმცა, ძნელი წარმოსადგენია).

როგორც ვხედავთ, ფაქტი კომენტარს არ საჭიროებს, მითუმეტეს პროკურატურას გამოძიებამ ისე გადასცა საქმე, რომ ანდრიაძე მას არც კი გააცნეს.

სახეზეა მწარე სინამდვილე. უსაფუძვლოდ, შავით-თეთრზე ნაკერი სისხლის სამართლის საქმე და ფაბრიკა, სადაც 400 კაციანი კოლექტივიდან 30 კაცილაა დარჩენილი და ისიც ამჟამინდელი ხელმძღვანელის ნათესაური კლანის წარმომადგენლები.

მოკლედ, როგორც ანდრიაძე აცხადებს, მის წინააღმდეგ შეიკრიბა „პატივცემული საზოგადოება" და დანაშაულებრივი გზით ხელში ჩაიგდეს ფაბრიკის სადავეები.

**ქ. გურული**

## სატირისა და იუმორის გვერდი



რუბრიკის მასპინძელია
**ნიკოლოზ იოსებიძე**

### ჭკიპურტ-პანდურები

გვიღალატეს ვერაგულად,
ბინებს ვყიდით პურის ფულად,
არ ვმუშაობთ, გვიხდის ვინ რას?!
უნამუსოდ გვთხოვენ ქირას.
ქირას ბინის, წყლის და სწავლის,
ფულს ექიმის, დენის, წამლის
არ გვაქვს ფული, ხალხო, მიხვდით!!!
მოგვეცით და გადაგიხდით.

აღარ მიყვარს ჩაის ბუჩქი,
მისი მოვლა, შრომა-გარჯა,
რაც ვიშრომე იგი შრომაც
თლა ტყუილა დეიხარჯა.
ჩაის ფოთლის საფასური
შეამცირეს ერთი-სამად,
ამ ბოლო დროს ჩას ბუჩქებში
ვიარები დასაფსამად.

* * *

უსაქმურობს საქართველო,
ბევრი დრო გვაქვს ძილის, ფიქრის,
დედაკაცი ენას იფხანს,
მამაკაცი მახათს იყრის.

* * *

დღეს ტრანსპორტის სიუხვეა,
დროს არ კარგავს კაცი ცდაში,
ერთი პურის ფული უნდათ,
ერთ რეისზე „მარშრუტკაში".



მ. აბაშიძის ნახატი

### წინასაარჩევნო სალაღობო

როგორც იქნა ვეღირსეთ
ნანატრ დემოკრატიას,
ვითვლით უკვე ასამდე
პოლიტიკურ პარტიას.
დღემდე სახარბიელო
ვერაფერი გვაჩვენეს,
ძალით გვიშხაპუნებენ
სამთავრობო არჩევნებს.
დღე და ღამე გვაწვდიან
თავის ქების რეკლამებს,
ფუჭი დაპირებებით,
ხალხის გული შეჭამეს.
ყველა თავის საქებარს
ეკრანიდან იძახის,
ნუთუ არ იციან, რომ
თავის ქება კიტრად ღირს.
შენ უსმენ, თუ არ უსმენ,
ის თავისას მირეკავს,
არჩევნები კი არა,
ჭამა უნდა მშიერ კაცს!

### „ელიტა"

დაყოფილი ვართ კატეგორიებად,
თითქოს რომელიმეს თავი ორი ებას,
ვიღაცა თავის თავს არქმევს ელიტას
და უპურისფულო ღარიბს ვერ
იტანს.
ვინც თავის ხელით მოირგო დაფნა,
მე „რამკიანებს" ვეძახი, რა ვქნა?!
მაგისთანებმა დაგვასამარეს
და ჩვენი ფულით ხსნიან კაბარეს.
ხსნიან რესტორნებს, სუპერმარ-
კეტებს
და ყველა თავის საქმეს აკეთებს,
დავიფიცები ხატზე და ჯვარზე,
რომ ბავშვებს სკოლა ენგრევათ
თავზე.
ფუძე შეერყა თეატრს „რუსთვე-
ლის",
ალმშენებელი დგას და ფულს
ელის,
მილიონერებს ფული არ სთხოვეს
და თითო ლარი მოიმათხოვრეს.
ლამის ჩაიხრჩვნენ ნაქურდალ ფულ-
ში,
თან დაგვცინიან ღარიბებს გულში,
ხალხს კუბოს ფული რომ ჰქონ-
და ბანკში,
„რამკიანებმა" წაიღეს სახლში.
მაგისთვის მოხდა „რევოლუცია!"
არ ესმის მხოლოდ ტლუს და ბრუ-
ციანს,
დატაცებულით ცხოვრობს „ელი-
ტა"
და ნარსა გლეჯავს ხალხის ხელი-
თა.

### დადგა საკითხი ყოფნა-არყოფნის!

ვარ უსაქმური, ურიცხვი დრო მაქვს,
მეთამაშება მდიდარი ყომარს
და ვინაიდან ქისა მაქვს ნულზე,
მეთამაშება ჯალათი სულზე.
სულიც მომიგო, დავრჩი ფიტული,
თან მათხოვარის შემრჩა „ტიტული"
რადგან „ღარიბი აღარ ინდობა",
ბრალად მედება ზვიადისტობა.
ეს არის მძიმე დანაშაული,
ამიტომ ხელკეტს გვერდს ვერ აუ-
ვლი,
ხელკეტის ცემით დაგალურჯებენ
და სამუდამოდ „დაგამუნჯებენ".
დღეს მოდაშია არაკაცობა,
ნარკომანია, არყით ლოთობა
და სირცხვილია ერისკაცობა
თავგამოდება, პატრიოტობა.
გმირული სული რაკი არ გვყოფნის,
დადგა საკითხი ყოფნა-არყოფნის!

### რამდენი ღორი დადის უდინგო

რამდენ ღორი დადის უდინგო,
წვრილთვალება და ლაფშაყურე-
ბა,
თავჩაღუნული თქვლეფავს სალა-
ფავს,
ისე, რომ გვერდზე არ იყურება.
ჯიშსა და მოდგმას მშიერს და-
ტოვებს,
გობს მოლოკავს და გადააბრუნებს,
შესაშფოთებლად არ ღირს მარ-
ტო ეს,
ზოგი კაცი რომ ღორებს ამტყუ-
ნებს?!





მ. აბაშიძის ნახატი

ქშენით წავა და ლაფში ჩაწვება,
მერე ადგება „ას ღორს გალაფავს",
რამდენს თავები მოაქვთ კაცებად,
ცხოვრების ნირით კაცს რომ არა
ჰგავს.

### ეს, რა თქმა უნდა, არავის შვენის!

თავისუფლება დავიწყეთ თარსად,
დაგვიჯდა მრავალთ სიცოცხლის
ფასად,
ვცხოვრობთ დუხჭირად, მათხოვრის
მსგავსად,
ჩვენი საშველი ჯერ არ ჩანს არ-
სად.
ყველა ვართ მოწმე ამგვარი სცე-
ნის:
შემოდის კაცი, ფულს ითხოვს დე-
ნის,
ფული არა გვაქვს, „ვთავაზობთ"
პე...ისს,
სახე ეცვლება პროგნოზად წყე-
ნის,
იწყება აქტი ღრენის და კბენის,
მუშტის, წიხლების და სისხლის-
დენის,
არტერიულთან შერწყმულის ვენის.
ეს, რა თქმა უნდა, არავის შვენის,
მაგრამ სახეა ცხოვრების ჩვენის!
შემოდის ქალი, ფულს ითხოვს
წყლისას,
ხან ერთი კვარტლის, ხან ერთი
წლისას,
ხელს უფათურებს ჩვენს დაცლილ
ქისას
და, რა თქმა უნდა, ვერ აღწევს
მიზანს.
ისევ იწყება სცენები ღრენის, დე-
დის გინების
კბენის და რქენის,
ეს, რა თქმა უნდა, არავის შვენის,
მაგრამ, სახეა ცხოვრების ჩვენის!
ფულს ითხოვს ვიღაც, ნაგვის გა-
ტანის,
წარმოგიდგება სახე სატანის
და ვინაიდან ლარები არ გაქვს,
მოურიდებლად უწოდებ ნაგავს.
ეს, რა თქმა უნდა, არავის შვენის,
მაგრამ, სახეა ცხოვრების ჩვენის!
გამოგითიშავს ვიღაც ტელეფონს,
ჩართოს? — არ ჩართოს? —
როგორც გენებოს,
კვლავ წყევლა-კრულვა, გინება სე-
დის
და გამომრთველის საბრალო დე-
დის.
ეს, რა თქმა უნდა, არავის შვენის,
მაგრამ სახეა ცხოვრების ჩვენის!








**გულითადი, „ღია“ საუბარი თბილისის „დინამოს“ №1 ფეხბურთელ, ოთარ გაბელიასთან.**
**ესაუბრა მურმან მერკვილიშვილი**

## ბავშვობა და ჭრობა

ქ. ზუგდიდში ვეზიარე ფეხბურთს.

მეკარეობა ბავშვობიდანვე მიტაცებდა. მამამ პირველად რომ თბილისში ჩამომიყვანა (ვიყავი მეოთხე თუ მეხუთე კლასში), ფეხბურთის მატჩს დავესწარით „დინამოს“ სტადიონზე.

— ნეტავ, ერთხელ მაინც მათამაშა ამ სტადიონზე — აღმომხდა შთაბეჭდილებებით გაბრუებულს.

— შენ ვინ გათამაშებს, შვილო, აქ! — შემწყნარებლური ღიმილით გადმომხედა მამამ.

მერე, ზუგდიდის სპორტსკოლა. მერე ქუთაისი, მერე სოხუმი, და ... თუმცა, უკან დავბრუნდეთ.

... იმ წელიწადს ჩემი უფროსი კოლეგა, სერგო კოტრიკაძე, სსრკ №1 მეკარედ დაასახელეს. დაიბეჭდა კიდევაც „ოგონიოკის“ გარეკანზე მისი ფოტოსურათი, ქვეშ მინაწერით: „ვრატარ №1 CCCP“.

— ა, კაცი, ა, მეკარე! — აღტაცებას ვერ მალავდა მამაჩემი.

მემატებოდა წლები. მემატებოდა წარმატებები. ქუთაისმა დიდი ბიძგი მომცა და აღმოვჩნდი თბილისის „დინამოს“ სათადარიგო გუნდში.

მუყაითი შრომა ... რწმენა ... ისევ და ისევ წარმატებები. მოვიდა დრო და ჩემი ნაოცნებარი რეალობად იქცა. „ოტარ გაბელია, №1 ვრატარ CCCP“ იუწყებოდა პრესა.

— ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ, ჩემო საამაყო „წიე“ — აღტაცებას ვერ მალავდა მამაჩემი.

ახლა, ეს „ყოჩაღი წიე“ ჩემს პირისპირ ზის და ინტერვიუს ვართმევ.

— ოთარ, მეც მეკარე ვიყავი წყალტუბოს „სამგურალში“ და ამდენად, დიდი ბედნიერებაა, თქვენთან საუბარი ჩემთვის. მიამბეთ რაიმე, თქვენი ცხოვრებიდან.

## პირველი „ეშმაკობა“

მეცხრე კლასში ვიყავი, უკვე ზუგდიდის მთავარი გუნდისთვის მამზადებენ. ჯუმბერ ჩუხუა იყო მაშინ მთავარი მწვრთნელი.

მოხდა ისე, რომ მაქვს საგანგებო ვარჯიში. ამავე დროს ვზივარ ქართულის გაკვეთილზე. მერხზე კი არა, „ეკლებზე ვზივარ“. ჩემი მასწავლებელი ფეხბურთს „ ისე რა“ უყურებდა და ვგრძნობდი, რომ გაკვეთილიდან არ გამათავისუფლებდა. არა და ... რა მელიტერატურება, ჩუხუა მელოდება წუთი წუთზე. რაღაც უნდა მოვიფიქრო.

ჩემს წინა მერხზე ერთი ბუთქუნაბანტიანი გოგო იჯდა. უწყინარი, ჩუმი, ჩუმი, მის ხმას ვერ გაიგონებდით.

არც ვაციე , არც ვაცხელე და იმ გოგოს გამეტებით ვუჩქმიტე ჩემი მერხიდან.

ამ „წყნარმა“ გოგომ იმხელა იკივლა (აბა, რა მოუვიდოდა?), რომ ორი გულგახეთქილი ბუზი ჭერიდან პირდაპირ საკლასო ჟურნალზე დავარდა (ხმოვანი ინფარქტით). მასწავლებელმა იფიქრა, მიწისძვრააა, ალბათო და ინსტიქტურად გაიქცა ფანჯრისკენ. თუმცა, გადახტომა აზრად არ მოსვლია. ცოტა რომ დამშვიდდა და გაირკვა, რაც მოხდა, მარჯვენა წარბი ასწია:

— წინასწარი განზრახვით უჩქმიტე, თუ შემთხვევით, მაგალითად?! — მეკითხება.

— შემთხვევით, მასწ...

— ხოოდა... ადექ ახლა შემთხვევით „ს ვეშჩამი“, გაბრძანდი გარეთ და ხვალ მშობელი მოიყვანე!!!

აბა, მეტი რა მინდოდა! „დავგაზე“ ვარჯიშზე...

**— კი მაგრამ, ვარჯიშზე რომ ყოფილიყავი და ეთქვათ, ქართულში საკონტროლო წერააო, რას იზამდი, ოთარ?**

— ახლა, ფეხბურთელს ხომ არ ვუჩქმეტდი რომელიმეს? არა, არა ... მე მაინც ვარჯიშს ვამჯობინებდი. ასეა ეს და რა ვქნა? კაცმა ცოტ-ცოტა ყველაფერი უნდა იცოდეს, მაგრამ ის საქმე, რაც გიტაცებს, უნდა იცოდე უმაღლეს დონეზე ... ორ კურდღელს ვინ დაწევია?

## „დინამოში“

დისციპლინას უდიდეს პატივს ვცემდი და ვცემ დღესაც.

მიუხედავად იმისა, რომ ნოდარ ახალკაცი, ეს დიდებული ადამიანი და ფენომენალური ნიჭის მწვრთნელი, ჩემთან მეგობრობდა, წესების დარღვევას როგორ ვიკადრებდი?!

„ღვინო, დუდუკი, ქალები“ ჩემთვის უცხო იყო. ერთს კი გავამხელ, რომ სიგარეტს ვეწეოდი — ჩუმ-ჩუმად. ისიც იმიტომ, რომ ჩემი მოსაზრებით — ხელს მაინცდამაინც არაფერში მიშლიდა.

კეთილგანზრახვიანი კონკურენცია (ვაჟკაცური და არა ფლიდური) მქონდა ბატონ დათო გოგიასთან, რომელიც მაშინ ძირითადი შემადგენლობის კარს იცავდა.

ეს პერიოდია ...

ერთ დღეს (მაშინ სიგარეტი „კოსმოსი“ იყო მოდაში) სიგარეტს ვეწევი. თან ფრთხილად, რომ ნოდარ ახალკაცმა თვალი არ მომკრას.

ბოლო „ნაფაზი“ გავუგზავნე ჩემს ფილტვებს და ნარჩენი, „აკურკა“ გადავაგდე.

ამობოლება ველარ მოვასწარი. პირდაპირ ახალკაცს შევეჩეხე... ვარ „ჩასუნთქული“, არ ვიღებ ხმას.

— ბიჭო, ოთარ! — მომმართავს ფარსადანოვიჩი — რას არ იგონებენ ეს ამერიკელები, კაცო... რა რეკორდებიო, რა „გინესიო“.

ვუქნევ თავს უხმოდ.

— შენ თუ მეტყვი, რამდენ ხანს ძლებს კაცი ამოუსუნთქავად? — მეკითხება.

— ასე, წუთი, წუთნახევარი — ვანიშნე ხელით.

— მეკარე? — არ მეშვება ახალკაცი.

— ორი! — ვანიშნე თითებით.

— ხო და ქე გასულია ორი წუთი. ამოაბოლე ახლა, თუ არა მოკვდები. მკვდარი მეკარე მე არ მჭირდება...

ყოველთვის მაგონდებოდა ეს მომენტი, როცა თამაშის დროს ღრუბლად ქცეულ სიგარეტის ბოლს ვყნოსავდი მოედანზე.

არა და რა გემრიელად აბოლებენ „ბალელშიკები“... თბილისელებმა მაინც „ეშხიანი ნაფაზები“ იციან, როცა ვიგებთ... ახლა მე მკითხონ!!!



**— ოთარ, როგორ დავიჯერო, რომ ფარსადანოვიჩს ნასვამი არასდროს დაუჭერიხარ?**

## ისევ გადავრჩი

— ყოფილა, მურმან ეგეც ... აბა, რომელი ქართველი იტყვის უარს, თუნდაც ზომიერ დალევაზე? არ გაგიკვირდეს და ჩვენ, ფეხბურთელებიც კი აბსოლუტურად ისე ვცხოვრობთ, როგორც ყველა მოკვდავი.

მოსკოვში მოგებული თამაშის შემდეგ, ჩემმა მეგობარმა (იქ ცხოვრობს) მიგვიპატიჟა მე და მუჯირი თავის სახლში, „ელარჯი“ უნდა გაჭამოთ რუსეთშიო.

მეგრელი რომ „ელარჯზე“ უარს იტყვის, იმ მეგრელს მე მაგალითად, ეჭვის თვალით შევხედავდი. წავყევით.

გაიშალა სუფრა შუაგულ მოსკოვში. „ელარჯი“ კი არა, გოჭის და „ჩიტის რძის“ „პონტია“ რა ...

მესამე ჭიქას ვსვამთ და, ზარია კარებზე.

ელდა მეცა ... (თურმე ისიც მოუწვევია). ჩემი საყვარელი ფარსადანოვიჩი არ შემოიმართა?!

— რაღა ვქნა, ახლა? — ვუჩურჩულე მასპინძელს. — გამომჭერი ყელი და ესაა ხომ?

— ნუ გეშინია, კაცო... რა მოხდა. აგერ ჩაი დაგიდგი ჭიქით. ვითომ იმას მიირთმევ, ჩაის...

ბატონ ნოდარს ჩვენთვის არაფერი უგრძნობინებია. დაჯდა და... არაფერს გვეუბნება.

„ისე ზღვა ღელვის წინ წყნარდება“ — ვთქვი ჩემთვის, მაგრამ ხომ იცით, მურმან, ორ-სამ ჭიქას რომ დალევ კაცი, მერე „ტიანეტ!“

ვიკავე თავი, ვიკავე და ... მასპინძელი მთხოვს: ცოტა ხანს გამოდით, შენ და მუჯირიო. გავედით სამზარეულოში.

პატარა სუფრა გაუწყვია („ადინოჩკა“), დავლიეთ თითო ჭიქა და შემოვბრუნდით სუფრაზე. ფარსადანოვიჩს „არაფერი გაუგია“.

ორ-სამჯერ თუ ოთხ-ხუთჯერ გავედით და დავბრუნდით, ახალკაცმა რაღაცა იგუმანა.

— ოთარ, რატომ გარბიხართ ყოველ წუთში სუფრიდან?

— ფარსადანოვიჩ, სამზარეულოს პროექტი მომეწონა აქაური და ვათვალიერებთ-მეთქი მე და დავით მუჯირი, გვინდა თბილისშიც ასე გავაკეთოთ.

— გასაგებია, მაგრამ ერთი ეს მითხარით, ერთ ან ორ გასვლაზე ვერ დაათვალიერეთ?

— გამეორება ცოდნის დედაა, ბატონო ნოდარ — შემეშველა მუჯირი.

— მაშინ ერთს გეტყვით ახლა ორივეს. აქ რომ შემოხვალთ ხოლმე და უყურებთ ჭერს, ის სჯობია აქ კაცურად დალიეთ, გადით მერე და ათვალიერეთ ის სამზარეულო!!!

... ასეთი იყო ჩვენი მეგობარი და აღმზრდელი, ცხონებული ნოდარ ახალკაცი, ვერაფერს გამოაპარებდი.

**— თამაშები ბლომად ჩაგიტარებიათ, იყო ალბათ სიმწარეც, ცრემლიც, გაწბილებაც, აღმაფრენაც. ეს ბუნებრივი ამბავია ... რას გაიხსენებდით? ძალიან გთხოვ, გულახდილად მიპასუხო, ოთარ. ეს ხომ კურიოზებია ...აქ არაფერი საუხერხულო არაა.**

— მაინცდამაინც კურიოზები არ მქონია. (ან ცოტა). კურიოზები მურმან, სულ სხვანაირია ... კურიოზი, კურიოზია ...

**— გეთანხმები ოთარ. ჩემს ბავშვობაში წამიკითხავს ფეხბურთელთა კურიოზები. ბატონ ჯ. ზეინკლიშვილს მაშინდელი კორესპონდენტი ეკითხებოდა: — რა კურიოზი გაქვთო?**

— ერთხელ ნადირობის დროს ტყეში ჩხიკვი ჩამოვაგდე ერთი გასროლით ხიდანო.

— კურიოზი სადააო? — ჰკითხა იმ ჟურნალისტმა.

— კურიოზი ისაა, რომ თურმე ის საწყალი ჩხიკვი სამი დღის წინ გაყინულ-გარდაცვლილა და მე დავიბრალეო — უპასუხა ჯემალ ზეინკლიშვილმა.

ესაა კურიოზი. თუმცა, კურიოზი ერთნაირი არასდროს ყოფილა.

— ბოლო წლებია ვუკვირდები და ვკითხულობ თქვენს კურიოზებს, მურმან, მაგრამ იქ მეტი წილი იუმორია. უფრო კურიოზული ახლა უნდა გიამბო.

1980 წელი იყო, თუ მეხსიერება არ მღალატობს. ხარკოვში ვეთამაშებით ადგილობრივ „მეტალისტს“. რაღაც ვერ გამოგვივიდა თამაში. ცოტას მსაჯები სცოდავდნენ, ცოტას ჩვენც და ორი ნული ერთი მივიღე კარში. გამშრალი ვარ, თუმცა ჩემი ბრალი ბევრი არაფერი ყოფილა, მაგრამ აგებ და...

მეორე ტაიმში უფრო იმედიანად გამოვედით. დაცურწყვენ ჩვენი ბიჭები. „შტურმია“ იმათ კართან, მაგრამ „ფორტუნა“ იმ დღეს მათ სწყალობდა...

გადარეულია სტადიონი. ლამისაა მოედანზე გადმოცვივდნენ და სასწაული ... მესამე ბურთი „გამექცა“ ბადეში.

თუ არ მოვკვდებოდი, არაფრით არ მეგონა.

ამ დროს პირდაპირ ჩემს მარცხენა ძელთან ჩაცუცქდა იქაური ფოტორეპორტიორი და მიღებს „კრუპნი პლანით“ სურათს. იმან გადამრია, რომ იქედნურად მეუბნება:

— ვსტავილი და ტრეტიიიი?

ველარ „მოვითოკე“. დავავლე ხელი იმ მეტიჩარა კორესპონდენტს, ის აპარატიც დავამტვრიე თავზე და ერთი გემრიელი პანღურიც „ვუსახსოვრე“.

კურიოზი ის იყო, რომ მეორე დღეს იქაურ გაზეთში დაბეჭდეს სურათი, როგორ გავუქანე „პანღური“ იმ მეტიჩარას, ქვეშ კი დიდი ასოებით ეწერა: „შტრაფნოი უდარ!“...

**— ალბათ, ამ „სპორტულ ხულიგნობას“ არც ჩვენები გაპატიებდნენ, არც ადგილობრივები.**

— მე გასამართლებელი საბუთი მქონდა: „არ შეიძლება კორესპონდენტის მოახლოება კართან სამი მეტრის რადიუსით“.

**— ოთარ, თქვენ ჩემთვის (და არა მარტო ჩემთვის) ჩვენი სასიქადულო, საიმედო კარის დარაჯი იყავით, ასე იყო ყოველთვის და, მითუმეტეს, ასე იყო იმ მღელვარე დღეებში, თასების თასი რომ ჩამოგვიგელვეთ ქართველებს. ისე კი უნდა გაგიმხილოთ, რომ სავარძელში მჯდომი ძალიან მონდომებით „გეხმარებოდით“. ქართველთა კარისკენ ყუმბარასავით დარტყმული ბურთი რომ მოდიოდა, ჩემს თავს ვგრძნობდი შენს ადგილზე და ვნერვიულობდი. ძილში ხომ „გცვლიდი“ კარში.**

— თანადგომისათვის და „შეცვლისთვის“ დიდი მადლობა. ალბათ ყველა „მცვლიდა“ და მეხმარებოდა იმ „ცხელ“ დროს.

**— არ დამავიწყდება, კრიტიკულ მომენტში რომ თერთმეტმეტრიანი განმუხტე ბრწყინვალე ტექნიკით, მაშინ ვიტირე სიხარულით და მაშინ ვთქვი, ჩემი ძმაამეთქი ...**

— სხვათა შორის, ძალიან ემოციური ვარ. ისევ სხვათა შორის უნდა ვთქვა, ჩვენმა ბიჭებმა იცოდნენ ჩემი ხასიათი და რომ ვიგინებოდი (წინასწარ გავაფრთხილე ყველა), არავის სწყინდა. ერთხელ მოხდა ის კურიოზი, თქვენ რომ გაინტერესებთ.

ხიზანიშვილს („ხიზანას“) „გამოეპარა“ რუსი და პირისპირ „ბომბი“ მაჯახა.

იმ ბურთის გადასარჩენად მთელი ჩემი ენერგია და ოსტატობა დამჭირდა. გადავრჩით „დინამოელები“.

...გონზე მოსული წამოვხტი და მუჯირს ძალიან ლვარძლიანად („ძმურად“, რა თქმა უნდა) შევაგინე.

— ჩემთან რა გინდა, ხიზანას გამოექცაო! — იწყინა უდანაშაულო კაცმა.

— რა ვიცი, რომელს გამოგექცათ, მე კინაღამ მოვკვდითქო.

— რა მნიშვნელობა აქვს, რომელს გამოექცაო — მითხრა მუჯირმა გასახდელში. საქართველოს ყველა თანაბრად უნდა იცავდესო, მომითათუნა ხელი მხრებზე.

... ეჰ, ნეტავ ყველა ასე ფიქრობდეს დღეს და ... არა მარტო ფეხბურთში.

**— წინსვლას და ბედნიერებას გისურვებ, ოთარ, ჩემო საამაყო ლეგენდავ ...**

— მალე შეხვედრამდე... კიდევ ვისაუბრებთ, მურმან.

გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს, დღეგრძელობა ოთარ გაბელიას. ამინ!!!

# სატელევიზიო პროგრამები. 3 - 8 აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 3 აგვისტო, სამშაბათი

**1** 7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.99, 20.00, 0.00 მოამბე. 18.20 მო-ტვ. 18.30 მესაკუთრე. 18.45 „ინტერმეცო". 19.05 სერიალი „დალასი". 20.35 „ბასტი-ბუბ". 21,00 ვიდეოპატრული-02. 21.10 ტელესკოპი. 21.15 დრიბლინგი. 22.00 ვესტნიკი. 22.25 რეტროპერსპექტივა. 23.25 ასპარეზი. 23.40 კამერა-ტონი. 0.15 მხ. ფ. „თორმეტი სკამი".

**2** 19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 სუპერმატჩი. 21.10 სერიალი „ანტონელა". 22.00 „ტ.ბ.ს" — „პოზიტივი". 22.26 მხ. ფ. „ღამის ლამაზმანები". 23.50 ჰიტ-პარადი.

**რუსთავი 2** 7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50, „ზოლიანი ბანანები". 8.95, 8.30, 12.00. 15.00. 18.00, 21.00, 23.30, 2.45 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 23.55 „ორნი". 10.00, 18.15 „ელენი და მისი მეგობრები". 10.390, 19.10 „ცისფერი ხე". 11.20, 20.50 „გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ. ფ. 14.10 „ნანო". 16.30 დოკ. ფ. 17,10 „ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ. ფ. „შადრაკი". 23.00 ანალიტ. პროგრამა „პერეკრისტოკი". 0.50 მხ. ფ. „გუშინ, დღეს, ხვალ". 2.55 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.10 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 „ილია". 11.55 მხ. ფ. „სიმართლე ძაღლებსა და კატებზე". 18.10 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი: „კაიზერსლაუტენი" — „ფიორენტინა". 19.45, 0.05 მუს. ტაიმ-აუტი. 20.35 მხ. ფ. „ეის ვენტურა-1". 22.15 მუს. ლაბირინთი. 22.55 მხ. ფ. „მოუთვინიერებელი". 0.20 დოკ. ფ. „ავტოკატასტროფები". 1.45 მხ. ფ. „უცხო-4".

**კავკასია** 17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტსერიალი. 17.35 დოკ. ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45, 23.45 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ. ფ. „დირექტორი". 0.15 მხ. ფ. „ვირუსი". 1.45 მუს. კალეიდოსკოპი

**ივერია** 11.00, 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია-25". 11.30, 20.30 ზლაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი „მხოლოდ შენ". 14.15 მხ. ფ. „განძი". 18.05 ბიზნეს-კურიერი. 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 მუსიკალური სამშაბათი. 22.30 მხ. ფ. „დანახვისთანავე".

**ს** 10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო. 10.15, 17.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ. მხ. ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.00, 15.15, 21.00, 1.30 მხ. ფ. 15.30 მულ. კოლაჟი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.35, 18.55, 20.50, 23.00, 0.55 მუსიკა. 10.30 მხ. ფ. "გოტტი". 12.45 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტსერიალი. 19.05 მხ. ფ. „პოლიციელი ბევერლი-ჰილზიდან-2". 21.00 23.(15 მხ. ფ. 1.10 მხ. ფ. „წამშლელი". 3.05 ნონ-სტოპი.

**1** 07.00. Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00. 01.30. Новости. 10.15, 18.00. Сериал "во имя любви". 11.15. "Смехопанорама". 11.50. Домашняя библиотека. 12.00. Сериал "Звездные войны". 12.45, 15.15. Мультфильм. 13.15. Телеканал "добрый день". 14.00. Х/Ф "Юркины рассветы". 15.30. "Вместе". 16.15. Сериал "Гарри - снежный человек". 16.45. "...До 16 и старше". 19. 15. Сериал "Графиня де Монсоро". 20.15. "Как это было". 20.55. Сериал "Мисс Марпл". "Тело в библиотеке". 22.00. Время. 22.45. Х/Ф "Не ждали, не гадали". 00.15. "Собрание заблужденний". 00.45. Сериал "Темные небеса". 01.50. Сериал "Апостолы Петр и Павел".

**НТВ** 08.00. Сегодня утром. 10.10, 23.34. Сериал "Солдаты удачи". 11.00, 13.00, 15.00, 17,00, 20.00, 23.00. Сегодня. 11.20, 20.45. Х/Ф "Приключения Шерлока Холмса и Доктора Ватсона". 12.40. Мультфильм. 13.30. Х/Ф "Беспокойное хозяйство". 15.30. Сериал "Доктор Куин, женщина-врач". 16.20, 0.40. Сегодничко. 17.30. Сериал "Захватчики". 18.25. Впрок. 18.50. Сериал "Любовь и тайны сансет бич". 19.40. 1.20. Криминал. 22.10. Намедни-70. 01.35. Антропология.

**DISCOVERY CHANEL** 19.00. Катастрофы. 19.35. Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30. Мир Уолкера. 21.00. В кабине самолета. 21.30, 5.30. Кладоискатели. 22.00. Дикая природа подает сигнал СОС. 22.30. Дикая Африка. 23.30. Знаменитые побеги. 0.00. Загадки истории. 1.00. История письменности. 2.00. Египет. 3.00. Генералы Гитлера. 4.30. Знаменитые побеги. 5.00. В кабине самолета. 6.00. Трое на воздушном шаре.

## 4 აგვისტო, ოთხშაბათი

**1** 7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.15 50-50. 19.05 სერიალი „დალასი". 20.35 „ბასტი-ბუბუ". 20.50 „რა ხდება...". 21.25 „ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" — ი. ჭავჭავაძე. 21.45 ტელესკოპი. 21.50 ვიდეოპატრული-02. 22.00 ვესტნიკი. 22.30 გიგა ჯაფარიძე — 75. 23.00 მისტერ რალი-99. 23.20 ტელე-სინე-ვიდეო. 0.15 მხ. ფ. „აფიორა". დასარულს — მო-TV.

**2** 19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 19.45 შალვა გაწერელია (ნაწ. 1). 20.05 5-5. 21.10 სერალი „ანტონელა". 22.40 ქართ. მხ.ფ. „მევლუდი". 0.05 ჰიტ-პარადი.

**რუსთავი 2** 7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 „ზოლიანი ბანანები". 9.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 3.05 კურიერი. 8.15 მელტსერიალი. 9.00 „ორნი". 10.00, 18.15 „ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 „ცისფერი ხე". 11.20, 20.05, „გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ. ფ. 14.10 „ნანო". 16.30 დოკ. ფ. 17,10 „ლას-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა 21.40 მხ. ფ. „ხმელთაშუა ზღვა". 23.55 „მაშველები". 0.50 მხ. ფ. „კრომველი". 3.15 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.05 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ. ფ. „ლილი დელი". 13.30 „ავტოპილოტი" (გამეორ.). 18.20 მხ. ფ. „ეის ვენტურა-2". 19.45, 0.05 მუს. ტაიმ-აუტი. 22.10 მუს. ლაბირინთი. 22.15 მხ. ფ. „თევზი, სახელად ვანდა". 0.15 დოკ. ფ. „ავტოკატასტროფები". 0.40 მხ. ფ. „დრაკულა".

**კავკასია** 17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტსერიალი. 17,35 დოკ. ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45, 23.35 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ. ფ. 0.15 მხ. ფ. „ჭკვიანი". 1.45 მუს. კალეიდოსკოპი.

**ივერია** 11.00, 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია-25". 11.30, 20.30 ზლაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი „მხოლოდ შენ". 14.15 მხ. ფ. „დანახვისთანავე". 18.05 მუსიკა. 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 სპორტ. პროგრამა. 21.30 დოკ. ფ. 22.25 მხ. ფ. „კლასიკა". 22.45 მხ. ფ. „სახიფათო პროფესია".

**ს** 10.00, 17.30, 20.30, 22.00, 0.20 ექო. 10.15, 16.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ. მხ. ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.15, 15.15,21.00, 23.35, 1.20 მხ. ფ. 14.45 დოკ. ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.15, 19.00, 20.55. 23.00. 0.45 მუსიკა. 10.30 მხ. ფ. 12.25 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტსერიალი. 19.10 მხ.ფ . „პოლიციელი ბევერლი-ჰილზიდან-3". 21.05 მხ. ფ. „დაუვიწყარი". 23.15 მხ. ფ. „ჩავარდნა". 1.00 მხ. ფ „თავშესაფარი". 2.40 ნონ-სტოპი.

**1** 07.00. Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00. 01.20. Новости. 10.15, 18.00. Сериал "во имя любви". 11.15. "Джентлмен-шоу". 11.50. Домашняя библиотека. 12.00. Сериал "звездные войны". 12.45. Мультфильм. 13.15. Телеканал "добрый день". 14.00. Х/Ф "Юркины рассветы". 15.05. Мультсериал. 15.30. "Вместе". 16.15. Сериал "Гарри - снежный человек". 16.45. "Классная компания". 19.15. Сериал "Графиня де Монсоро". 20.15. "Человек и закон". 20.50. Сериал "Мисс Марпл". "Тело в библиотеке". 22.00. Время. 22.45. Х/Ф "Мерт по прибытии". 00.30. Сериал "Темные небеса". 01.40. Сериал "Апостолы Петр и Павел".

**НТВ** 08.00. Сегодня утром. 10.10, 23.45. Сериал "Солдаты удачи". 11.00, 13.00, 15.00, 17,00, 20.00, 23.00. Сегодня. 11.20. Х/Ф "Приключения Шерлока Холмса и Доктора Ватсона". 12.40. Мультфильм. 13.30. Х/Ф "Голубые дороги". 15.30. Сериал "Доктор Куин, женщина-врач". 16.20, 0.40. Сегодничко. 17.30. Сериал "Захватчики". 18.25. Впрок. 18.50. Сериал "Любовь и тайны Сансет Бич" (сша). 19.40. Криминал. 20.40. Профессия-репортерЮ 21.00. Футбол. Лига чемпионов. "Мельде" (Норвегия) - ЦСК 01.20. Футбольный клуб.

**DISCOVERY CHANEL** 19.00. Катастрофы. 19.35. Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30. Мир Уолкера. 21.00, 5.00. В кабине самолета. 21.30, 5.30. Экспедиция. 22.00. Дикая природа подает сигнал СОС. 22.30. Дикая Африка. 23.30. Знаменитые побеги. 0.00. Сюрпризы погоды. 1.00. Анды. 2.00. Планета Океан. 3.00. Крылья. 4.00. Египет. 6.00. Век войн.

## 5 აგვისტო, ხუთშაბათი

**1** 7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.20 „ხელთუფალნი" — მ. ფეიქრიშვილი. 18.35 ჰიგია. 19.00 სერიალი „დალასი". 20.35 „ბასტი-ბუბუ". 20.55 ვიდეოპატრული-02. 21.05 ეკო-დაიჯესტი. 21.05 „მრავალსახეობა". 22.00 ვესტნიკი. 22.20 სპორტ. პროგრამა. 23. 10 „საღამო მშვიდობისა!" 0.15 მხ. ფ. „როგორ მოვიპაროთ მილიონი". დასასრულს — მო-TV.

**2** 19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულფილმები. 19.50 შალვა გაწერელია (ნაწ. 2). 21.10 სერიალი „ანტონელა". 22.00 შვიდეული. 22.25 მხ. ფ. „უკანასკნელი გაკვეთილი". 23.50 ჰიტ-პარადი.

**რუსთავი 2** 7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 „ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00 15.00. 18.00, 21.00, 23.30, 3.15 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00 „ორნი". 10.00, 18.15 „ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 „ცისფერი ხე". 11.20, 20.05 „გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ. ფ. 14.10 „ნანო". 16.30 დოკ. ფ. 17,10 „ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 „მაშველები". 0.50 მხ.ფ . „თორმეტი ბინძური". 3.25 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.10 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ. ფ. „გზატკეცილი". 13.30 „შეხვედრები ატლანტიდაში" (გამეორ.). 18.10 მხ. ფ. „საცოლე კრედიტით". 19.40, 23.35, 0.05 მუს. ტაიმ-აუტი. 20.35 მხ. ფ. „სულელი და უფრო სულელი". 22.15 მუს. ლაბირინთი. 22.20 მხ. ფ. „ალადინი-99". 0.00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი: „რეალი სოსიედადი" — „ვერდერი". 2.15 მხ. ფ. „ჰელოუინი".

**კავკასია** 17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15ტ მელტსერიალი. 17.35 დოკ. ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45, 23.45 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ. ფ. „იმოქმედე, დაიკო!". 0.15 მხ. ფ. „სახიფათო კავშირი". 2.05 მუს. კალეიდოსკოპი.

**ივერია** 11.00, 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია-25". 11.30 ზლაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი „მხოლოდ შენ". 14.15 მხ. ფ. „სახიფათო პროფესია". 18.05, 20.30 მუსიკა. 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.35 „ფეხბურთის ლეგენდები". 22.30 მხ. ფ. „ღმერთის გასახიერება".

**ს** 10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.00 ექო. 10.15, 17.15 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ. მხ. ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.05, 15.45, 21.00, 23.30, 1.15 მხ. ფ. 15.00 მუსიკა. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.05, 19.00, 20.30, 22.25, 0.10 მუსიკა. 10.30 მხ. ფ. „ჩავარდნა". 12.15 კლიპ-მიქსი. 18.00 მულსერიალი. 19.10 მხ. ფ. „გაუნადგურებელი ჯაშუში". 20.40 მხ. ფ. „სასიკვდილო კავშირი". 22.40 მხ. ფ. „ერთგული მეუღლე". 0.25 მხ. ფ. 2.00 ნონ-სტოპი.

**1** 07.00. Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00. 01.25. Новости. 10.15, 18.00. Сериал "во имя любви". 11.15. "Каламбур". 11.50. Домашняя библиотека. 12.00. Сериал "звездные войны". 12.25. Мультфильм. 13.15. Телеканал "добрый день". 14.00. Х/Ф "Юркины рассветы". 15.05. Мультсериал. 15.30. "Вместе". 16.15. Сериал "Гарри - снежный человек". 16.45. Три репортажа о необычных событиях и людях. 17.00. "Улица Сезам". 17.30. "... До 16 и старше". 19.15. Сериал "Графиня де Монсоро". 20.15. "Экстренный вызов". 20.40, 22.45. Х/Ф "Золотой теленок". 22.00. Время. 00.30. Приглашает концертная студия "Останкино". С. Юрский. 01.40. Сериал "Темные небеса". 02.30. Сериал "Апостолы Петр и Павел".

**НТВ** 08.00. Сегодня утром. 10.10, 23.45. Сериал "Солдаты удачи". 11.00, 13.00, 15.00, 17,00, 20.00, 23.00. Сегодня. 11.20. Х/Ф "Дикий восток". 13.30. Х/Ф "Музыкальная история". 15.30. Сериал "Доктор Куин, женщина-врач". 16.20, 0.40. Сегодничко. 17.30. Сериал "Захватчики". 18.25. Впрок. 18.50. Сериал "Любовь и тайны Сансет Бич" (сша). 19.40. Криминал. 20.40. х/ф "Приключения Шерлока Холмса и доктора Ватсона". 22.10. Намедни-67. 01.35. Антропология.

**DISCOVERY CHANEL** 19.00. Катастрофы. 19.35. Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30. Мир Уолкера. 21.00, 5.00. В кабине самолета. 21.30, 5.30. Экспедиция. 22.00. Дикая природа подает сигнал СОС. 22.30. Дикая Африка. 23.30. Знаменитые побеги. 0.00. Детективы-медики. 1.00. Криминалисты. 2.00. Архивы ФБР. 3.00. Суперкорабль. 4.00. Планета Океан. 6.00. Реактивный самолет 21-го века.

## 6 აგვისტო, პარასკევი

**1** 7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.15 50-50. 19.05 სერიალი „დალასი". 20.36 „ბასტი-ბუბუ". 20.50 „რა ხდება..." 21.25 ასპარეზი. 21.35 დჟრიტა-ტვ. 2.00 ვესტნიკი. 22.20 ვიდეოპატრული-02. 22.30 „თბილისის დროით..." 22.50 ტელესკოპი. 22.55 „კავკასიური სამკუთხედი". 23.20, 0.15 ვ. კიკაბიძის კონცერტი. 0.15 მხ. ფ. „ეს არის შეშლილი. შეშლილი, შეშლილი მსოფლიო". დასასრულს — მო-TV.

**2** 19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 18.45 მესამე სექტორი. 20.05 რაგბის მოყვარულთათვის. 21.10 სერიალი „ანტონელა". 22.00 ანტრე. 22.30 მხ. ფ. „ტროცკი". 0.05 ჰიტ-პარადი.

**რუსთავი 2** 7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 „ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00. 18.00, 21.00, 23.30, 3.30 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 23.55 "მაშველები" 10.20, 18.15 „ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 „ცისფერი ხე". 11.20, 20.05 „გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ. ფ. 14.10 „ნანო". 16.30 დოკ. ფ. 17.10 „ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ. ფ. „მოწმის გარეშე". 0.50 „სიმფსონები". 1.20 „ფანტაზიები". 1.50 მხ.ფ . „ავტოკატასტროფა". 3.40 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.10 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ. ფ. „მთვარის პოლიციელი". 18.10 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი: „რეალი სოსიედადი" — „ვერდერი". 18.45, 22.10, 2.35 მუს. ტაიმ-აუტი. 20.35 მხ.ფ . „მეკაბელე". 22.30 დოკ. ფ. 22.45 თიკო ვირტუალურ სამყაროში. 22.55 მუს. ლაბირინთი. 23.0- ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი: „ბაიერნი ლევერკუზენი" — „მილანი" (იტალია). 1.00 მხ.ფ . „მართალი საქმე". 2.55 მხ. ფ. „ოღონდ ამ ქალაქში არა".

**კავკასია** 17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტსერიალი. 17,35 დოკ. ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 21.40 მხ. ფ. „ხასიათი". 0.15 მხ. ფ. „მამიკოს შვილი". 1.50 მუს. კალეიდოსკოპი.

**ივერია** 11.00, 18.00, 22.00 „სტუდია-25". 11.30, 20.30 ზლაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი „მხოლოდ შენ". 14.15 მხ. ფ. „ღმერთის განსახიერება". 18.05 მუსიკა. 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 „კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება". 22.30 მხ. ფ. „კინ-ძა-ძა".

**ს** 10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო. 10.15, 17.00 მულფილმები. 11.00, 18.00 ქართ. მხ. ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.30, 15.30, 21.00, 23.30, 1.30 მხ. ფ. 15.00 დოკ. ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.05, 18.55, 20.25, 22.00, 0.05 მუსიკა. 10.30 მხ. ფ. „ერთგული მეუღლე". 12.15 კლიპ-მიქსი. 18.00 დოკ. ფ. 19.05 მხ.ფ . „შიშველი პისტოლეტი". 20.30 მხ. ფ. „დათვლილი წამები". 22.15 მხ. ფ. „ორიდან ერთი". 0.20 მხ. ფ. „დრაკულა". 2.25 ნონ-სტოპი.

**1** 07.00. Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00. 01.20. Новости. 10.15, 18.00. Сериал "во имя любви". 11.15. "Макси-шоу". 11.40. Смак. 12.00. Сериал "Звездные войны". 12.45, 15.15, 17.45. Мультфильм. 13.15. Телеканал "добрый день". 14.00. Х/Ф "Юркины рассветы". 15.30. "Вместе". 16.15. Х/Ф "Тамми". 19.15. Сериал "Графиня де Монсоро". 21.10. Док. фильм "Заказан дважды". 21.40. "Спокойной ночи малыши!". 22.00. Время. 22.45. Х/Ф "Старый портвейн". 00.30. "Песня-99". 01.35. Х/Ф "Не тот человек".

**НТВ** 08.00. Сегодня утром. 10.10. Сериал "Солдаты удачи". 11.00, 13.00, 15.00, 17,00, 20.00, 23.00. Сегодня. 11.20, 20.45. Х/Ф "Дикий восток". 12.45. Мультфильм. 13.30. Х/Ф "Свинарка и Пастух". 15.30. Сериал "Доктор Куин, женщина-врач". 16.20. Сегодничко. 17.30. Сериал "Захватчики". 18.30. Впрок. 18.55. Футбольный клуб. 19.40. Криминал. 22.10. "намедни-72". 23.45. "Криминальная Россия". 00.15. Х/Ф "Как хорошо эти белые".

**DISCOVERY CHANEL** 19.00. Катастрофы. 19.35. Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30. Мир Уолкера. 21.00, 5.00. В кабине самолета. 21.30, 5.30. Экспедиция. 22.00. Дикая природа подает сигнал СОС. 22.30. Дикая Африка. 23.30. Знаменитые побеги. 0.00. Охотники на крокодилов. 1.00. Босоногий мушмен. 2.00. Оружие животных. 3.00. Экстремальные машины". 4.00. Архивы ФБР. 6.00. Джотто. Близкие встречи второго рода.

## 7 აგვისტო, შაბათი

**1** 10.00 დილის პროგრამა. 12.05 მხ. ფ. „მარკო პოლო". 13.35 კონცერტი. 1.40 „...და ეს ყველაფერი ჩვენზეა". 14.20 მესაკუთრე. 14.35 „ობიექტივშია მსოფლიო". 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 15.15 კვალი. 15.45 მულტფილმი „მარტალკომბატი". 16.45 კოლაჟი. 18.15 მო-ტვ. 18.30 „საოჯახო ლოტო". 19.10 აჭარა. 19.30 საქართველოს კონსტიტუცია. 20.35 „ბასტი-ბუბუ". 20.55 ტელესკოპი. 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 „მაესტრო". 22.15 „მჯერა!". 22.30 ტელემობილი. 22.50 როლან პეტი მარსელში. 0.15 „ილუზიონი" — მხ. ფ. „ფინცი კონტინის ოჯახის ბაღი".

**2** 19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 1?.45 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ოსტატები. 20.10 ოაზისი. 21.25 ჯაზ-სპირიტი. 21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ... 22.00 მხ. ფ. „თვალთვალი-2". 23.50 ჰიტ-პარადი.

**რუსთავი 2** 8.00, 11.30 მუსიკა. 9.00, 18.00, 21.00, 0.50, 4.05 კურიერი. 9.10 მულტსერიალი. 9. 40, 18.40 საბ. სერიალი. 10.10 ფილმი-ბავშვებს. 12.00 „სიმფსონები". 12.30, 19.40 „მეორე მე". 13.20 მხ. ფ. 15.20, 19.10 „მანსტრების ოჯახი". 18.20 აკუნა მატატა. 21.50 ფსიქო — მხ. ფ. „მაღალი ქუსლები". 1.10 „ფანტაზიები". 1.30 მხ. ფ. „ფრინველი". 4.15 ღამის ჯაზი.

**VII არხი** 1..04, 20.05, 23.10 ტელეგაზეთი. 17.10 დოკ. ფ. 17.40 „ვარსკვლავი". 18.15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი: „ბაიერნი ლივერკუზენი" — „მილანი" (იტალია). 20.10 აჩიკუდა. 20.35 მუსიკა. 20.55 მხ. ფ. „ტრუმენის შოუ". 22.35 „შეხვედრები ატლანტიდაში". 23.15 "ბედნიერი ერი". 23.20 მხ. ფ. "კასაბლანკა". 0.45 მუს. ტაიმ-აუტი. 1.05 მხ. ფ. „გველის სორო".

**კავკასია** 12.00 მულფილმი. 13.20 გასართ. პროგრამა. 14.00, 15.30 მხ. ფ. „ჟანა დარკი". 15.25, 18.00, 20.20, 21.45 მუსიკა. 17.30 რიკი რეინერი. 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 19.00 სპექტრი. 21.00 ვარსკვლავები. 21.45 მხ. ფ. „შეცვლა-2". 2.15 მუს. კალეიდოსკოპი.

**ივერია** 11.00 „სტუდია-25". 11.30, 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 მხ. ფ. „რიჩი-რიჩა"; 13.25, 22.25 მუსიკა. 13.30 მხ. ფ. „ბინგო-ბონგო". 15.00 თბვენი ადვოკატი. 16.00 სპორტ. პროგრამა. 16.30 მხ. ფ. „წინ წარსულში". 18.00 სცენის ოსტატები. 19.00 „შაბათიდან-შაბათამდე". 19.45 „სტილი". 20.15 მხ. ფ. „დისკოს მოცეკვავე". 22.30 მხ. ფ. „ქამელეონი".

**ს** 10.00, 17,30, 22.45, 0.45 ექო. 10.15, 17.00 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ. მხ. ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.30, 15.30, 21.00, 23.00, 1.45 მხ. ფ. 15.00, 23.45 მუს. კოლაჟი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.25, 14.05, 19.10, 20.45. 22.25, 0.35 მუსიკა. ძ10.30 მხ.ფ . „ორიდან ერთი". 12.35, 18.00 მულტფილმები. 14.15 მხ. ფ. „ციხეში მინდა". 15.50 კლიპ-მიქსი. 19.20 მხ. ფ. „შიშველი პისტოლეტი-2". 20.55 მხ. ფ. 22.40 მხ. ფ. „თქვენთვის წერილია". 0.50 მხ. ფ. „ჩაკის საცოლე". 2.15 ნონ-სტოპი.

**1** 09.00. Мультфильм. 09.10. Х/Ф "Смотри в оба!" 10.25. Слово пастыря. 10.45. "Домашняя библиотека". 11.00, 16.00, 19.00. Новости. 11.15. "100 процент". 11.45. "Утреняя почта".12.15. Каламбур. 12.50. Смак. 13.10. "История одного шедевра". 13.35. "Экстренный вызов". 14.10. Х/Ф "Месяц авгут". 15.25. "Уивилизация". 16.15. В мире животных. 16.50. Мультфильм. 17.05. "Игорь Крутой - друзья и песни". 19.15. "Тема". 19.58. "Ералаш". 20.10. Х/Ф "Жандарм женится". 22.00. Время. 22.50. Сериал "Секретные материалы". 00.35. "Женские истории". Л. Долина. 01.05. Х/Ф "Большое приключение коротышки".

**НТВ** 09.00, 11.00, 13.00, 15.00, 17,00, 20.00, 23.00. Сегодня. 9.15. Х/Ф "Приключения Шерлока Холмса и доктора Ватсона". 10.30. Мультфильм. 10.40. "Фитиль". 11.15. Криминал. 11.40. "Добро пожаловать". 12.20. Сериал "Нигде и никогда". 13.20. "Впрок". 13.35. Своя игра. 14.05. Х/Ф "Желание любви". 16.05. Суд идет. 17.30. Сериал "Она написала убийство". 18.30. "Антропология". 19.20. Дог-шоу "Я и моя собака". 20.35. Х/Ф "Тарзан в Манхэтене". 22.20. "Весь Жванецкий". 23.45. Х/Ф Болотная стриит, или средство против секса". 01.10. Ток-шо "Про это". 01.50. Х/Ф "Пояс верности".

**DISCOVERY CHANEL** 19.00. Парусники. 19.35. Первые полсты. 20.00. Великие полководцы. 21.00. Танки (История боевого танка). 22.00. История письменности. 0.00. Билет на Сириус. 1.00. Именем Бога. 2.00. Юрассика. 3.00. Сексуальный императив. 4.00. Архивы ФБР. 5.00. Орудия войны. 6.00. Крыля над морем.

## 8 აგვისტო, კვირა

**1** 10.00 დილის პროგრამა. 12.00 სპა. 12.30 მხ. ფ. „მარკო პოლო". 14.00 საბავშვო პროგრამების სტუდია წარმოგიდგენთ... 14.40 „ეძიე ქალი..." 15.00, 18.00, 0.00 მოამბე. 15.15 „ბავშვები — უპირველეს ყოვლისა". 15.25 „სოფლის ქრონიკები". 15.45 „მსოფლიოს ახალი ამბები". 16.10 მხ. ფ. „უხამსი წინადადება". 18.20 „ლატარია ყველასათვის". 18.40 „ბუნების კარი". 19.20 „ენერგია". 19.35 აფხაზეთის ტელევიზია. 20.15 ტოტო-ლოტო. 20.45 ტელესკოპი. 20.50 ვიდეოპატრული-02. 21.00 ტაიმ-აუტი. 22.00 „ფორტუნა". 22.40 „დიდების ზღაპარი". 0.15 „შერბურული ქოლგები".

**2** 19.00 მულტფილმი, გაიღიმე, სუპერ-მატჩი, ბომონდი, „კერპები", შვიდეული, კინოსეანსი, ღამის ქალაქი.

**რუსთავი 2** 8.00, 11.30 მუსიკა. 9.00, 18.00, 1.20, 4.05 კრიერი. 9.10 მულტსერიალი. 9.40, 18.40 საბ. სერიალი. 10.10 ფილმი-ბავშვებს. 12.00, 1.10 „სიმფსონები". 12.30, 20.05 „მეორე მე". 13.20 მხ. ფ. 15.20, 19.10 „მანსტრების ოჯახი". 18.20 აკუნა მატატა. 19.40 სპორტული პროგრამა. 21.00 კვირა. 21.50 მხ. ფ. „სპარტიკა". 1.30 მხ.ფ . „ცოდვილი სიყვარული". 4.15 კლასიკა.

**VII არხი** 17.05, 20.55, 22.55 ტელეგაზეთი. 17.20 ფილმი-ბავშვებს. „101 დოლმატინელი". 19.00 გასართ. პროგრამა. 19.30 დოკ. ფ. 20.10 აჩიკუდა. 20.35 მუსიკა. 20.55 მხ. ფ. „მატყუარა, მატყუარა". 22.35 ავტოპილოტი. 23.00 მხ. ფ. „ერთი შეშლილი ზაფხული". 0.30 მუს. ტაიმ-აუტი. 0.45 მხ. ფ. „ლტოლვის ობიექტი".

**კავკასია** 12.00 ინდური მხ. ფ. 14.30 გასართ. პროგრამა. 15.00 მხ. ფ. „ღამის სიმხურვალე". 16.30 დებიუტი-99. 17.30 „ცხოვრება სიტყვაში „ ჯონის მაიერი". 18.00 მუსიკა. 19.00 მხ. ფ. „მამაკაცთა სტრიპტიზი". 20.30, 0.00 დღეს. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ. ფ. 0.15 ჯაზ-პარნასი. 0.45 მხ. ფ. „სიკვდილის ნიღაბი". 2.15 მუს. კალეიდოსკოპი.

**ივერია** 11.00 „ცისკრის ზარები". 11.05 ქართ. მულფილმები. 11.25, 18.25 დოკ. ფ. 12.00 დილის ლოცვა. 12.05 ქართ. მხ. ფ. „როცა აყვავდა ნუში". 13.20, 18.50 მუსიკა. 13.45 ქართ. სერიალი „მშობლიურო ჩემო მიწავ". 15.00-18.00 რელიგიის საათები 18.00 მოკლ, მხ. ფ. „გამსელელი პაიკი". 19.00 თბილისური ოჯახები. 19.30 „ბრავო, მაესტრო!" კონცერტი. 20.30 „XIX საუკუნე" მონო-სპექტაკლი. 21.00 მუს. მხ. ფ. „არაჩვეულებრივი გამოფენა".

**ს** 10.00 ექო. 10.15, 18.00 მულტფილმი. 11.00, 18.45 ქართ. მხ. ფ. 12.30 დოკ. ფ. 14.15, 16.30, 20.45, 23.15, 1.45 მხ. ფ. 15.45, 20.15 მუსიკა. 22.15 ფარდის გახსნამდე... 1.00 ტელეფილმი.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.40, 14.20, 19.10, 20.40, 22.25, 0.40 მუსიკა. 10.30 მხ. ფ. „თქვენთვის წერილია". 12.55, 18.00 მულტფილმები. 14.30 მხ. ფ. „კავკასიელი ტყვე ქალი". 15.50 კლიპ-მიქსი. 19.20 მხ. ფ. „შიშველი პისტოლეტი-3". 20.50 მხ. ფ. „უკანასკნელი გაცილება". 22.40 მხ. ფ. 0.55 მხ. ფ. „სამი..." 2.20 ნონ-სტოპი.

**1** 09.00. Х/Ф "Когда песня не кончается". 10.30, 16.45, 17,10. Дисней-клуб. 11.00, 16.00. Новости. 11.15. "Непутевые заметки". 11.30. "Пока все дома". 12.05. "Утренняя звезда". 12.55, 19.35. "Ералаш". 13.05. "Армейский магазин". 13.35. "Играй, гармонь, любимая!" 14.05. "Крестьянские ведомости". 14.30. "Все путешествия команды Кусто". 15.20. "Смехопанорама". 16.15. "Здоровье". 17.40. "Игорь Крутой - друзья и песни". 19.45. Х/Ф "Где находится нофелет". 21.15. "Серебяный шар". 22.00. Время. 22.35. КВН099. 00.25. Футбольное обозрение. 00.55. "Абажур". 01.25. Сериал "Майкл Хаммер _ Больше, чем убийство".

**НТВ** 09.00, 11.00, 13.00, 17,00, 20.00, 23.00. Сегодня. 9.15. Х/Ф "Каменный цветок". 10.40. "Фитиль". 11.15. Х/Ф "Странные люди". 13.20. "Поймы меня". 13.50. "Невероятные путешествия". 14.20. Х/Ф "Последний суд" 17.30. "Профессия - репортер". 17.45. "Свадьба". 18.15. Х/Ф "Она написала убийство". 19.05. Док. сериал. 20.35. Х/Ф "Афера". 23.45. Х/Ф "танцевальная машина".

**DISCOVERY CHANEL** 19.00. Ультранаука. 20.00. Крылья. 21.00. Экстремальные машины. 22.00. Юрассика. 23.00. Охотник на крокодилов. 0.00. Загадки истории. 1.00. Кто был Моисей? 2.00. Свитки Мертвого моря - разгадка тайны. 3.00. Маршрутами Нового Завета. 4.00. Журнал открытий. 5.00. Архивы правосудия. 6.00. Божественное волшебство.

# სკანვორდი

თეიმურაზ ზანიძის სკანვორდი (ფრჩხილებში ნაჩვენებია ასოთა რაოდენობა სიტყვაში)




# მილოცვა

საქართველოს სახალხო ფრონტი დიდი სიხარულით ულოცავს სრულიად საქართველოს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო აზრის გამარჯვებას.

მადლობას უხდის კოსმოსური მშენებლობების ცენტრის კოლექტივს, მის დირექტორს ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილს, რომლებმაც მოუტანეს ეს გამარჯვება საქართველოს, განუმტკიცეს ავტორიტეტი საქართველოს მეცნიერებას, შეჰმატეს გამარჯვების რწმენა ქართველთ.

ეს წარმატება ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ საქართველოს შეუძლია იამაყოს არა მხოლოდ წარსულში შექმნილი მაღალი ცივილიზაციით და ჰუმანიტარული კულტურით, — არამედ ასევე ღირსეული ადგილიც დაიმკვიდროს დღეს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების გვერდით.

**საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტი**

ეკა კოზოლაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ბედნიერ მომავალს, ლამაზ და საინტერესო ცხოვრებას.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

## ბატონ გიორგი ლეონიძეს

ვუერთდებით იმ უამრავ მილოცვას, რომლებიც თქვენ მიიღეთ დაბადების დღესთან დაკავშირებით.

არასოდეს დაგეკარგოთ ის დიდი მეგობრობის გრძნობა, სიკეთის თესვის უნარი, სითბოსა და სიყვარულის გამოხატვის ნიჭი, რომლითაც თქვენ ასე მდიდარი ბრძანდებით.

გვიგულეთ თქვენს გვერდით. პატივისცემით, თქვენი მეგობრები: **ნათია ჭანტურია, ნათია კორახაშვილი, ვახტანგ ნადირაძე და ზაზა ტალახაძე.**





გარდაიცვალა მე-5 ბატალიონის მებრძოლი, აფხაზეთის მკვიდრი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის თავდადებული, რამოდენიმეჯერ მტერთან შეტაკებისას დაჭრილი, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული უტეხი რაინდი —

**გოდერძი თამლიანი.**

მსუბუქი იყოს, ძმაო, შენთვის მშობლიური ქართული მიწა.

**გოგი თამლიანი**

გასვენება ხუთშაბათს, 5 აგვისტოს, 3 საათზე.

მისამართი: ქვემო ფონიჭალა, მე-5 ატეკის ჩასახვევი, გაზოგასამართ სადგურთან.

**საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტი**, გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს მეგობარსა და თანამებრძოლს გოგი თამლიანს ბიძაშვილის, **გოდერძი თამლიანის** გარდაცვალების გამო.

## ალექსანდრე (ალეკო) ზურაბის ძე მიქანაძეს



ისე გაატარა თავისი ხანმოკლე წუთისოფელი, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეეფერებოდა. სადაც კი მიდიოდა და რასაც აკეთებდა, ყველგან პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ სამუშაოს. როცა საქართველოს უჭირდა, ხელში იარაღი აიღო და აფხაზეთში გმირულად იბრძოლა. 1997 წელს ავტოკატასტროფაში მოყვა და ტრაგიკულად დაიღუპა.

დარჩა სამი შვილი და დედა, რომლებიც მის ნათელ ხსოვნას სათუთად ინახავენ.

## სოსო არღვლიანი



ჩვენო ძვირფასო და ყველასათვის იმედიანო ძმაო სოსო. გვიმძიმს ყველა შენიანს უშენობა. შენ ხომ განსაკუთრებული თვისებების: შენეული სიდინჯის, მოზომილი სიტყვის, ნაბიჯის გამბედაობის და ვაჟკაცობის ეტალონი იყავი. შენ ხომ მართლაც ისეთი იყავი, როგორც ერთმა ახლობელმა თქვა: არა მგონია სოსოსნაირი კაცური კაცი დედამიწის ზურგზე თუ დადიოდაო. ამიტომაც მთელმა თბილისმა, სვანეთმა და ვინ მოთვლის საიდან, რომელი მხრიდან ჩამოსულმა მეგობრებმა მდულარე ცრემლებით დაგიტირა, შენი ღვიძლი ცხომარივით შეუდარებელი სილამაზის ვაჟკაცი ცხოვრების შუა გზაზე მისულს უცებ რომ შემოგალამდა.

ძმაო სოსო, შეგიძლია მშვიდად იძინო, რადგან იმ ტრადიციებს, რაც შენი ოჯახის მთავარი ხაზი იყო, ღირსეულად უძღვება გარეგნულად სათნო, მაგრამ შინაგანად ძლიერი მზია.

შეგიძლია მშვიდად იძინო, რადგან საამაყო ადამიანებად იზრდებიან შენი შვილები, ლელა და ლევანი.

ხშირად გიგონებთ, მაგრამ მაინც ვერ ვიოხებთ გულს, რადგან ის ადგილი, რაც ყველას გულში გეკავა, ჩვენო სოსო, ისევ ღია ჭრილობად რჩება და მისი მოშუშება შეუძლებელია. ნათელში იყავ, ძმაო.

**მეგობრები, შენი ოჯახის ახლობლები**

მთავარი რედაქტორი სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444
ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.